ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
1 აპრილი ორშაბათი 2013
№075 (13 991) ფასი 80 თეთრი


ტორპედო-დინამო 1:1 ფოტო: www.fctorpedo.ge

# სანამ ტორპედომ და დინამომ ერთმანეთი დატორეს

## დილამ 6-ჯერ გაისროლა და ლიდერს ქულამდე მიუახლოვდა

| ად | გუნდი | თ | ქ |
|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 25 | 57 |
| 2 | დილა | 25 | 56 |
| 3 | ჩიხურა | 25 | 50 |
| 4 | ტორპედო | 25 | 48 |
| 5 | ზესტაფონი | 25 | 38 |
| 6 | ზუგდიდი | 25 | 35 |

საქართველოს ჩემპიონატი 2-4

# ფაჩულიას 6 თვე



## ზაზას აქილევსის მყესი საქართველოს აქილევსის ქუსლია

ქართველი ცენტრი ოთხშაბათს ოპერაციას იკეთებს

სპორტს ილუსტრეიდი: ასეთი ოპერაციის შემდეგ სპორტსმენის გამოჯანმრთელებას 6 თვე სჭირდება

ევრობასკეტ 2013-მდე 6 თვეზე ცოტა რჩება...

13

# ლეო მესიმ ჯადოსნური წრე შეკრა!



შაბათს ლეო მესიმ მორიგი რეკორდი მიითვალა

7

# ლევან კობიაშვილი: ნაველი, მაგრამ დავბრუნდები


ლევან კობიაშვილმა ნაკრებიდან წასვლის განცხადება ოფიციალურად გააკეთა

5

# რობერტ შავლაყაძე -80


რობერტ შავლაყაძეს (მარცხნივ) იუბილეს ულოცავს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ალექსი ახვლედიანი

12

...თამასა ორი სანტიმეტრით ამაღლდა. ქართველი სპორტსმენი უპრობლემოდ გადაევლო მას. იქუხა „ფორო იტალიკომ" - დაემხო დიუმასის ოლიმპიური რეკორდი (214). მეტოქეებს ფერი არ ადევთ სახეზე... 27 წლის რობერტ შავლაყაძე ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ეს იყო რომში 1960 წელს...

ლეგენდარული ქართველი მძლეოსანი რობერტ შავლაყაძე დღეს იუბილარია - 80 წელი უსრულდება!

## საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა.

I-VI ადგილები

30.03. ქუთაისი. ტორპედო.
8 500 მაყურებელი

ტორპედო **1**
დინამო (თბ) **1**

1:0 ბერიაშვილი (28), 1:1 ჩისკო (43. მერებაშვილის პასით)

| ტორპედო 4-4-2 | დინამო (თბ) 4-3-2-1 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | გ. ლორია |
| ტაბატაძე | შაშიაშვილი |
| ზ. ჭელიძე | გ. კვარაცხელია |
| გ. ონიანი | უსტარიცი |
| გ. გურული | მილხრაუმი |
| დოლიძე | გრაციარი |
| გიგაური | ხმალაძე |
| კუხიანიძე | ძარია |
| ე. გრიგალაშვილი | მერებაშვილი |
| ბერიაშვილი | ჩისკო |
| საბანაძე | დვალი |
| მწვრთნელი: გ. გეგუჩაძე | მწვრთნელი: დ. უჯრინი |

**ტორპედო**

66. ბერიაშვილი - **ფანცულაია**
77. ე.გრიგალაშვილი - **ვ.ბოლქვაძე**
83. დოლიძე - **ტულუში**

*სათადარიგოები: ქვილითაია, რიგვავა, .დათუნაიშვილი, ფირცხალავა*

**დინამო (თბ)**

78. ხმალაძე - **ალვარო**
84. მერებაშვილი - **გლიშიჩი**
86. დვალი - **ტატანაშვილი**

სათადარიგოები: ზარქუა, სეთურიძე, პაპავა, კოტო

გაფრთხილება: უსტარიცი (52), შაშიაშვილი (90)

არბიტრი: ო. ხეცაძე


ფოტო: www.fcdinamo.ge

# კლასიკო ჩვეული სცენარით

„ტორპედოსა" და „დინამოს" მეტოქეობა მრავალ წელიწადს ითვლის და ალბათ, სანამ ეს გუნდები იარსებებენ, მათ შორის ყოველთვის პრინციპული დაპირისპირება იქნება. შაბათის კლასიკო სატურნირო თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მატჩის დაწყებამდე ტურის სხვა მატჩების ანგარიშები ცნობილი იყო, რაც მეტოქეებს კარგ პერსპექტივას ვერ სთავაზობდა. ზუგდიდელებთან „დილას" საშინაო გამარჯვებამ „დინამოს" ლიდერობას საფრთხე შეუქმნა, საჩხერლებმა კი „ზესტაფონის" დამარცხებით „ტორპედოს" მესამე ადგილი დააკარგვინა. ამდენად, თავიდანვე ცხადი იყო, რომ გამარჯვებისთვის ორივე გუნდი მაქსიმუმს გაიღებდა.

ასეთი საინტერესო და ემოციებით დატვირთული მატჩი საქართველოს ჩემპიონატში კარგა ხანია არ ყოფილა. სავსე ტრიბუნები, შესანიშნავი ამინდი და იდეალური მოედანი შეხვედრას მეტ ელფერს მატებდა. შეხვედრა საკმაოდ მაღალ ტემპში წარიმართა და არაერთი ლამაზი ეპიზოდიც ვიხილეთ. საერთო ჯამში „ტორპედო" უფრო მონდომებითა და აგრესიით გამოირჩეოდა, თუმცა რეალური საგოლე მომენტები „დინამოს" მეტი ჰქონდა. ისეთი თამაში იყო, ნასაგებად ვერც ერთს რომ ვერ გაიმეტებდი, ამიტომ ფრე სამართლიან შედეგად უნდა მივიჩნიოთ. სამწუხაროდ, დადებითთან ერთად, უარყოფითიც უნდა ვახსენოთ. აშკარად შეცდა მატჩის არბიტრი **ოთარ ხეცაძე,** რომელმაც მატჩის მიწურულს ტულუშის დარტყმის შემდეგ შაშიაშვილის საკუთარ საჯარიმოში ხელით თამაში ვერ შენიშნა და „დინამოს" კარში პენალტი არ დანიშნა... მატჩის შემდეგ მსაჯები რამდენიმე ხანი ვერ ბედავდნენ მოედნის დატოვებას და მხოლოდ მას შემდეგ გავიდნენ გვირაბში, როცა უსაფრთხოების გარანტიები მიიღეს.

შეხვედრა სტუმრებმა გაცილებით აქტიურად დაიწყეს და სწრაფ გოლთანაც ახლოს იყვნენ, **ჩისკოს** ჯარიმის შემდეგ „დინამოს" ბასკმა ლეგიონერმა **უსტარიცმა** თავით ტორპედოელთა შორეულ ძელთან ჩააგდო ბურთი, ჯაბა დვალმა, რომელიც კარისკენ მოძრაობდა, ვარდნაში სცადა დარტყმა, მაგრამ ბურთს მიმართულება ვერ შეუცვალა... ქუთათურებმა თამაში მალე დაალაგეს და „დინამოს" მწვავედაც შეუტიეს. გია გეგუჩაძის გუნდი ტრადიციულად აქტიურად იყენებდა ფლანგებს. თავიდან უფრო პროდუქტიული მარჯვენა ფრთა იყო, სადაც **ტაბატაძე** და **დოლიძე** ირჯებოდნენ, თუმცა მასპინძლებმა პირველი ხიფათი საწინააღმდეგო ფლანგიდან შექმნეს- **გურულის** მიერ მახვილი კუთხიდან დარტყმული ბურთი ლორიამ კუთხურზე მოიგერია. დინამოელები სტანდარტულებს ძალიან სახიფათოდ ასრულებდნენ და ამ გზით ამწვავებდნენ მდგომარეობას. ქუთათურები განსაკუთრებით მაშინ ფრთხილობდნენ, როცა კუთხურის ჩასაწოდებლად ან ჯარიმის დასარტყმელად ბურთთან ჩისკო მიდიოდა. ესპანელი მართლაც ოსტატურად ასრულებდა სტანდარტულებს, მისი „წყალობით" **მიგინეიშვილის** კართან ზედიზედ რამდენჯერმე „ჩამოცხა", მაგრამ ქუთათურებმა შეძლეს მდგომარეობის განმუხტვა. ამასობაში ბრწყინვალედ ითამაშა **ბერიაშვილმა,** რომელმაც **უსტარიცს** აართვა ბურთი და **ლორიასთან** პირისპირ გასულმა საქართველოს ნაკრების მეკარესაც არ დაუტოვა შანსი-1:0 გოლმა დინამოელები დააბნია. ქუთათურებს კიდევ ერთხელ მართებდათ მათი დასჯა, **დოლიძემ** შესანიშნავად ჩააწოდა საბანაძეს, თუმცა დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან ხეირიანად ვერ დაარტყა და ბურთი ხარიხას გადააცილა. მეორე ეპიზოდში კი


ჩისკოს გატანა კიდევ შეეძლო

**გიგაურის** დარტყმა ლორიამ მოიგერია. ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა დაცვაში შეცდომებს უმატეს. ერთ ეპიზოდში ონიანმა საკუთარ ნახევარზე უწყინარ სიტუაციაში დაკარგა ბურთი, რასაც დინამოელთა საგოლე შეტევა მოჰყვა, **მერებაშვილის** ჩაწოდება ჩისკომ თავური დარტყმით დააგვირგვინა. იქვე ქუთათურებმა კიდევ ერთი შეცდომა დაუშვეს, დვალი დარჩა დასარტყმელ პოზიციაზე, თუმცა მიგინეიშვილმა ივაჟკაცა. ტაიმის უკანასკნელ წუთზე **კუხიანიძემ** და **დვალმა** გაცვალეს სახიფათო დარტყმები.

■ ■ ■

შესვენების შემდეგ თბილისელთა პირველივე შეტევა კინაღამ გოლით დასრულდა. ჩისკოს ჩაწოდების შემდეგ ქუთაისელი მცველები კვლავ შეცდნენ და დვალს ახლოდან კარში დარტყმის საშუალება მისცეს, მიგინეიშვილის სასწაულებრივმა რეაქციამ იხსნა კარი გოლისგან. ქუთაისელთა კიპერმა მალე მერებაშვილის სახიფათო დარტყმაც გააუვნებელჰყო. მერე ტორპედოელებმაც გამოასწორეს თამაში — განსაკუთრებით ელგუჯა **გრიგალაშვილის** საჯარიმო დარტყმა და ბერიაშვილის სახიფათო თავური იყო გამოსარჩევი. თუმცა, ჩისკოსთან ახლოს ვერც ერთი მივა, ესპანელი მოჭრილი დარტყმით ლამობდა „ტორპედოს" კარის დალაშქვრას, მაგრამ ბურთი ხარიხას გაარტყა. ამის შემდეგ, გუნდებმა თამაში დააწყნარეს, თუმცა სანაცვლოდ „ტორპედოსა" და „დინამოს" გულშემატკივრები შეეჯიბრნენ ერთმანეთს პეტარდების დანთებაში, სტადიონი კვამლითა და დენთის სუნით გაიჟღინთა, თბილისელთა ტრიბუნის ზემოთ ფეიერვერკებიც გაიშალა, რამაც სტადიონზე შექმნილი შესანიშნავი ატმოსფერო კიდევ უფრო გაალამაზა. შეხვედრის ბოლოს ათი წუთი ძალიან დაძაბული და ემოციებით დატვირთული გამოდგა. მასპინძლები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ თბილისელებმა სწრაფი კონტრშეტევებით ზედიზედ სამი საგოლე ეპიზოდი შექმნეს. მიგინეიშვილმა **გრაციარის** ორი დარტყმა მოიგერია, ჩისკოსაც ჰქონდა გოლის გატანის ნაღდი შანსი, როცა მცველების შეცდომით მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ბურთი სანტიმეტრებით ასცდა კარს. **გეგუჩაძემ** შეტევების გასაძლიერებლად კარგად ჩაერთო თამაშში **ტულუში,** იგი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, ლორიაც მოატყუა, მაგრამ დარტყმას **შაშიაშვილი** გადაელობა, რომელსაც ბურთი აშკარად ხელზე მოხვდა. ქუთათურები პენალტს ითხოვდნენ და სამართლიანადაც, მაგრამ... აღსანიშნავია, რომ ოთარ ხეცაძემ ამ გუნდებს შორის მიმდინარე ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩიც (3:2) იმსაჯა თბილისში და ორივე გუნდი უკმაყოფილო დარჩა. დარჩენილ დროშიც ანგარიში აღარ შეცვლილა. „დინამო" ლიდერობას ინარჩუნებს, „ტორპედო" კი ზედიზედ მესამე ფრის შემდეგ მეოთხე პოზიციაზე ჩამოქვეითდა.

**მატჩის შემდეგ**

**დუშან უჯრინი:** „ვიცოდით, რომ „დილამ" „ზუგდიდს" 6:0 მოუგო და ეს შეხვედრა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. თავიდან მეტოქეს უკეთ გამოდიოდა თამაში, პირველ ტაიმში მოედნის ცენტრში ორი შეცდომა დავუშვით და გოლიც მივიღეთ, მაგრამ შემდეგ თამაში გამოვასწორეთ და ანგარიში გავათანაბრეთ. მეორე ტაიმში კი გაცილებით აქტიურად ავთამაშდით. სამწუხაროდ, რეალური საგოლე შანსები ვერ გამოვიყენეთ. ძალიან დაძაბული მატჩი იყო, ორივე გუნდს ჰქონდა მომენტები და ვფიქრობ, ფრე ლოგიკური ანგარიშია."

**გია გეგუჩაძე:** „ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. ბიჭები ბოლომდე დაიხარჯნენ და საკმაოდ აზრიანი ფეხბურთი აჩვენეს. რა თქმა უნდა, იყო შეცდომებიც, მაგრამ საერთო ჯამში გუნდი კარგად გამოიყურებოდა. დიდ მადლობას ვუხდი გულშემატკივრებს საოცარი მხარდაჭერისთვის. ვისურვებდი ასეთ ქომაგობას სხვა შეხვედრებშიც.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

# ბეწვის ხიდზე

30.03. ივანწმინდა.
300 მაყურებელი

ჩიხურა **1**
ზესტაფონი **0**

1:0 ოდიკაძე (3)

| ჩიხურა | ზესტაფონი |
|---|---|
| სომხიშვილი | რ. კვასხვაძე |
| ოდიკაძე | თორ. გრიგალაშვილი |
| საჯაია | თედ. გრიგალაშვილი |
| რეხვიაშვილი | ლოსანო |
| კაშია | თ. ღონღაძე |
| ლომაშვილი | ბენაშვილი |
| დ. ბოლქვაძე | ილიჩი |
| ჩიკვაიძე | შარიქაძე |
| დეკანოიძე | ენდელაძე |
| გოცირიძე | აფციაური |
| ნ. კვასხვაძე | კუბალია |
| მწვრთნელი ს. ფრუიძე | მწვრთნელი კ. კაჭარავა |

**ჩიხურა**

70. ბოლქვაძე – **ქიმაძე**
82. დეკანოიძე – **გ. ჩხეტიანი**
90. გოცირიძე – **ლ. ჭელიძე**

*სათადარიგოები: მწყერაშვილი, ძამსაშვილი, ზაბახიძე, ბერიანიძე*

**ზესტაფონი**

46. ბენაშვილი – **რეკრუკი**
65. შარიქაძე — **გორგიაშვილი**
73. ენდელაძე — **ჭანტურიშვილი**

*სათადარიგოები: მეშველიანი, პეტკოვი, რაჟამაშვილი*

გაფრთხილება: ბოლქვაძე (31), ლომაშვილი (75), საჯაია (82), ქიმაძე (90)

არბიტრი: ა. ბასლეჰლო

რა სატურნირო მდგომარეობასა და როგორ სპორტულ ფორმაშიც უნდა იყოს, ჩემპიონი მაინც ჩემპიონია. ამიტომაც მასთან თამაშს ყველა დიდი მონდომებით და სიფრთხილით ეკიდება, მით უმეტეს, როცა მოწინააღმდეგეზე მეტი აქვს დასაკარგი.

ამან განაპირობა „ჩიხურას" თავდაცვითი ტაქტიკა, რაც, ამ მიზეზებს გარდა, ტრავმირებული **კირკიტაძისა** და **დილმელაშვილის** დანაკლისითაც იყო განპირობებული.

უნდა ითქვას, რომ, თუმცა მასპინძელთა გუნდმა მთელი შეხვედრა, გარდა პირველი სამი წუთისა, ბეწვის ხიდზე გაიარა, მაინც გაამართლა **ფრუიძის** ტაქტიკამ: მატჩის მესამე წუთზე ერთადერთი გატანილი გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა. ეს კი ასე მოხდა: პირველივე წუთზე საჩხერლების ნაკუთხურალი მცველებმა გამოიტანეს, მაგრამ საჯარიმო მოედნის გარეთ დაჯარიმდნენ. **კვასხვაძის** დარტყმა „კედელმა" აისხლიტა და რთულ მდგომარეობაში მყოფ **ოდიკაძეს** მიუგორდა ბურთი. „ჩიხურას" დაცვის (და არამარტო დაცვის) ბურჯი შესანიშნავად გაერკვა სიტუაციაში და „ცხრიანში" ჩაუხვია ოდნავ წინ გამოსულ ზესტაფონელთა გოლკიპერს. ამის შემდეგ ტაიმის ბოლომდე სტუმრების კონტროლითა და კარნახით მიმდინარეობდა შეხვედრა, თუმცა ოდიკაძე, **საჯაია, რეხვიაშვილი** და, განსაკუთრებით, **ჩიკვაიძე,** რომელმაც გასაქანი არ მისცა აფციაურს და ყველა სხვასაც იმდენად შეთანხმებულად და ზუსტად მოქმედებდნენ, რომ **სომხიშვილს** თითქმის არ დასჭირვებია საქმეში ჩარევა.

მეორე ტაიმის დასაწყისი კინაღამ პირველის ანალოგიური გამოდგა: ისევ ნაკუთხურალს იმდენად ძლიერად დაარტყა თავი კვასხვაძემ, რომ მცველებმა ძმას ძმის დაჩაგვრა უდიდესი თავგანწირვის ხარჯზე არ დაანებეს.

თამაშის უთავბოლო კონტროლს და ბურთის დიდოსტატურად გორებას კი ახერხებდნენ, მაგრამ, ამის იქით სტუმრები ვერ მიდიოდნენ. პირიქით, სახიფათო მომენტები მასპინძლებმა შექმნეს თანაც ოთხჯერ (ოდიკაძე, გოცირიძე, ბოლქვაძე, დეკანოიძე).

და მაინც გადაუარა გმინვის ტალღამ საჩხერელ მაყურებელს, როცა 84 –ე წუთზე ზესტაფონელებმა სომხიშვილი აიძულეს, გამოსვლაზე შემცდარიყო და მცველებმა მოწინააღმდეგეს ცარიელ კარში ბურთის გადაგზავნის საშუალება არ მისცეს.

მსაჯის მიერ სამართლიანად მიცემული ოთხი გაფრთხილება (ოთხივე – მასპინძლებს), სულაც არ მიანიშნებს, რომ თამაში უხეში იყო. ოთხივე „ყვითელი" მოედნის ცენტრთან ახლომახლო, ვაჟკაცურ ორთაბრძოლაშია ნაჩვენები, ოღონდ ეგ იყო, საჩხერლებმა ამ მომენტებში ოდნავ ზედმეტად იაქტიურეს.

ბოლოს ერთ სიახლეზეც: თამაშს სჯიდა ფიფას არბიტრი, სირიელი **ბასლეჰლო,** რომელმაც იმდენად კარგად გაართვა თავი მოვალეობას, რომ ერთი უბრალო კითხვაც არავისთვის დაუტოვებია, და არც მაყურებლისგან ისმოდა საქართველოს სპორტულ მოედნებზე მავნე ტრადიციად დამკვიდრებული, ქართული მენტალიტეტისათვის შეუფერებელი ბილწსიტყვაობა.

**მატჩის შემდეგ**

**კახა კაჭარავა:** თამაშს კი ვაკონტროლებთ, მაგრამ რად გინდა, პირველ სამ წუთში წავაგეთ შეხვედრა. იყო უიღბლობაც, თუმცა საჩხერლებმა დამსახურებულად მოიგეს.

**სოსო ფრუიძე:** ვიცოდით, რომ უძნელესი შეხვედრა გვექნებოდა. ამიტომაც უარი ვთქვით ლამაზ თამაშზე და ძირითადად ყურადღება შედეგზე გადავიტანეთ. მადლობა ბიჭებს თავდადებისა და დავალებების შერულებისათვის.

**თამაზ ლაშხი**
საჩხერიდან

**I-VI ადგილები**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 25 | 17 | 6 | 2 | 67 | 20 | 57 |
| 2 | დილა | 25 | 18 | 2 | 5 | 44 | 16 | 56 |
| 3 | ჩიხურა | 25 | 15 | 5 | 5 | 39 | 22 | 50 |
| 4 | ტორპედო | 25 | 14 | 6 | 5 | 42 | 19 | 48 |
| 5 | ზესტაფონი | 25 | 11 | 5 | 9 | 31 | 23 | 38 |
| 6 | ზუგდიდი | 25 | 10 | 5 | 10 | 28 | 38 | 35 |

**XXVI ტური**

**6 აპრილი, შაბათი**

ზუგდიდი-ზესტაფონი
დინამო (თბ)-ჩიხურა
დილა-ტორპედო

**VII-XII ადგილები**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | მეტალურგი | 25 | 11 | 5 | 9 | 26 | 29 | 38 |
| 8 | მერანი | 25 | 7 | 3 | 15 | 24 | 39 | 24 |
| 9 | დინამო (ბთ) | 25 | 6 | 4 | 15 | 26 | 47 | 22 |
| 10 | ვიტ ჯორჯია | 25 | 5 | 7 | 13 | 17 | 36 | 22 |
| 11 | სიონი | 25 | 5 | 6 | 14 | 17 | 41 | 21 |
| 12 | კოლხეთი | 25 | 2 | 4 | 19 | 14 | 45 | 10 |

**XXVI ტური**

**6 აპრილი, შაბათი**

კოლხეთი–დინამო (ბთ)
მეტალურგი–სიონი
მერანი–ვიტ ჯორჯია

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჩისკო (დინამო თბ) | 19 |
| დვალი (დინამო თბ) | 17 |
| ს. ლომია (მერანი) | 13 |

I-VI ადგილები



გოგიტა გოგუა ლევან აკობიას წინააღმდეგ — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# მესამე მწვრთნელის გაორმაგებული

30.03. გორი. თ. ბურჯანაძე. 3000 მაყურებელი

**დილა 6**

**ზუგდიდი 0**

1:0 მოდებაძე (20. გორელიშვილის პასით), 2:0 მოდებაძე (26, ჟუნიორის პასით), 3:0 ილურიძე (68. მოდებაძის პასით), 4:0 არაბული (78. ჟუნიორის პასით), 5:0 არაბული (87, ლეონარდოს პასით), 6:0 გორელიშვილი (90. ჟუნიორის პასით)

| დილა 4-4-2 | ზუგდიდი 4-5-1 |
|---|---|
| შეყრილაძე | მაქაცარია |
| ალადაშვილი | ქვარცხავა |
| კვახაძე | აფაქიძე |
| ი. მაისურაძე | რ. ონიანი |
| კვირკველია | აკობია |
| აბურჯანია | ნ. შონია |
| ლეონარდო | წურწუმია |
| გოგუა | გ. ლომაია |
| გორელიშვილი | სიხარულია |
| ჟუნიორი | გუგუჩია |
| მოდებაძე | გაბედავა |
| მწვრთნელი ვ. ივანაუსკასი | მწვრთნელი ე. ქომეთიანი |

**დილა**

46. აბურჯანია — **ილურიძე**
72. მოდებაძე — **არაბული**
72. გოგუა — **არზიანი**

*სათადარიგოები: მამალაძე, თოთაძე, ბეჟვაია, ნ. ჯიშკარიანი*

**ზუგდიდი**

58. სიხარულია — **ხუბუა**
58. გუგუჩია — **კუკავა**
68. შონია — **ფარჯიკია**

სათადარიგოები: ძაგანია, კანკია, გამრეკლიძე, ხუხია

გაფრთხილება: აფაქიძე (9), გუგუჩია (30), აკობია (63), გორელიშვილი (90)

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

მესამე მწვრთნელით ეთამაშა მიმდინარე სეზონში „დილა“ „ზუგდიდს“ და სამივეჯერ ერთიორად უკეთეს შედეგს იღებდა. თუ პირველად, **თემურ შალამბერიძის** ხელმძღვანელობით გორელების დაპირისპირება მათთან ნულოვანი ყაიმით დასრულდა, მეორედ **გიორგი დარასელიას** თავკაცობით „დილამ“ 3:0 მოიგო, ხოლო ამჯერად **ვალდას ივანაუსკასის** დამოძღვრილებმა ორჯერ მეტი უპასუხო გოლი გაუტანეს ზუგდიდელებს. ამ უკანასკნელთ კი სამივეჯერ **ელგუჯა ქომეთიანი** წვრთნიდა და საგულისხმოა, რომ მან სწორედ „დილასთან“ მარცხის შემდეგ დაუსვა საკუთარ თავს აღნიშნულ პოსტზე დარჩენის ყოფნა - არყოფნის შესახებ კითხვა და როგორც მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განგვიცხადა, გადაწყვიტა კიდეც პოსტი დაეტოვებინა.

არა გვგონია ზუგდიდელები გორში მაინცდამაინც მოსაგებად ყოფილიყვნენ ჩამოსულნი, მაგრამ ასეთი ანგარიშით ნაგებას ძნელად თუ წარმოიდგენდნენ. მატჩის წინა დღეს სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ზუგდიდის“ ფანები გორში მათი საყვარელი გუნდის თამაშზე დასასწრებად წაყვანას ითხოვდნენ. ფინანსური პრობლემების გამო ისინი ქართლში ვერ ჩამოიყვანეს, თუმცა ალბათ, ჯობდა იქაური ქომაგი ამ ეტაპზე გორს არც სტუმრებოდა. სრული ორი ტაიმის განმავლობაში „დილა“ დომინირებდა მინდორზე. ტემპს და ბურთის კონტროლს ისინი კარნახობდნენ. თითქმის უსაქმოდ იყვნენ გორელების მეკარე და დაცვის ხაზი. მცველებს თავის უპირველეს მოვალეობაზე მეტად შეტევაში ჩართვის საშუალება ეძლეოდათ, თუმცა გოლების გასატანად ისინი თანაგუნდელ შუახაზელებს და შემტევთ „არ შეუწუხებიათ“. სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა **ირაკლი მოდებაძემ.** განსაკუთრებით პირველ ტაიმში იყოჩაღა მან, რადგან დროის ამ მონაკვეთში ორი გოლი და ერთი საგოლე პასი მიითვალა. მუდამ კართან ჩასაფრებულმა „დილას“ გამოკვეთილმა ფორვარდმა პირველად **მიხეილ გორელიშვილის** საჯარიმოს გარედან ჩაწოდებული მაღალი პასისას ისარგებლა და ფეხით შეაგდო, ხოლო რამდენიმე წუთში სტანდარტულის გათამაშების მერე ჟუნიორისგან ორიოდ მეტრში მიღებული ბურთი ახლო მანძილიდან თავით გაახვია ბადეში 2 : 0. გოლის გატანას იმსახურებდა ჟუნიორი, რადგან ძალიან აქტიურობდა და თანაგუნდელთა გოლების უმეტესობაში გარკვეული წილი დაიდო. მოედნიდან მშრალად გამოსვლა კი, პირველ ყოვლისა, საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. თუნდაც 36-ე წუთზე მართებდა ბრაზილიელს ანგარიშში სხვაობის გაზრდა, როდესაც მოდებაძე უწევდა ასისტენტობას, მაგრამ მშვენიერი პოზიციიდან ცუდად დაარტყა.

მეორე ტაიმში სტუმრების შეცდომებმა უფრო იმატა, რაც ადეკვატურად აისახა ანგარიშში. ვიდრე მასპინძლები მესამე გოლს გაიტანდნენ, ჟუნიორი სამჯერ უშედეგოდ დაემუქრა **მაქაცარიას** კარს. გატანა კი შეცვლაზე შემოსულმა **გიორგი ილურიძემ** სწრაფი კონტრშეტევისას 68-ე წუთზე მოდებაძის პასით შეძლო. არანაკლებ ნაყოფიერი გამოდგა ასევე შეცვლაზე შემოსული კიდევ ერთი „დილელის“ **ბაჩანა არაბულის** მინდორზე გამოჩენა. 78-ე წუთზე **დავით კვირკველიას** მიერ საჯარიმოს მისადგომებთან ჩაწოდებული სტანდარტული ჟუნიორმა თავით არაბულს დაუგდო, მან კი გაისწორა ბურთი და ძლიერი დარტყმით მაქაცარიასგან შორეულ კუთხეში შეაგდო 4 : 0. კიდევ 9 წუთში არაბულმა დუბლი გაიფორმა. აღსანიშნავია, რომ ბაჩანას აქამდე „დილას“ მაისურით გოლი არ ჰქონდა გატანილი. შეხვედრის წერტილი კი ბოლო წუთზე გორელიშვილმა დასვა კონტრშეტევისას. ასისტენტად ისევ ჟუნიორი მოგვევლინა. მისგან მიღებული ბურთით გორელიშვილმა თავის ფლანგზე დაახლოებით 30 მეტრი ჩაირბინა და მახვილი კუთხიდან აილო კარი — 6 : 0.

**მატჩის შემდეგ**

**ვალდას ივანაუსკასი** (დილა): „ანგარიში კარგად მეტყველებს ჩვენს უპირატესობაზე. ფავორიტებად ვითვლებოდით, რადგან სატურნირო ცხრილში მეტოქე უფრო ქვემოთაა განლაგებული და ეს სტატუსი გავამართლეთ. ფეხბურთელები ყურადღებით მოეკიდნენ შეხვედრას. ისინი იბრძვიან ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად, თუმცა, რასაკვირველია, იქ ყველა ვერ მოხვდება. არჩევანის გაკეთება რთულია. სასიამოვნო იყო ახალგაზრდების შედეგიანი თამაში, რომელთაც გამოცდილები დაეხმარნენ რათა კარგად წარმოეჩინათ თავი“.

**ელგუჯა ქომეთიანი** (ზუგდიდი): „ძნელია ასეთი თამაშის შემდეგ რაიმეს თქმა. ფეხბურთელებს ვაძლევთ თავის გამოჩენის საშუალებას, მაგრამ ისინი სათანადოდ არ ეკიდებიან საქმეს. რალაცები უნდა შეიცვალოს გუნდში და ყველამ აილოს თავისი წილი პასუხისმგებლობა. მე პირადად ვაპირებ კლუბის ხელმძღვანელობას შევხვდე და დაველაპარაკო გადადგომის თაობაზე, თუმცა იმ შემთხვევაში თუ შემცვლელი არ მოიძებნა, არც ის მინდა, გუნდი შუა გზაზე მივატოვო.“

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

VII-XII ადგილები

# ბათუმმა შტორმივით აიწყვიტა

30.03. ბოლნისი. თ. სტეფანია 2000 მაყურებელი

**სიონი 0**

**დინამო (ბთ) 1**

0:1 გურული (63. მუჯირის პასით)

| სიონი 4-2-3-1 | დინამო (ბთ) 4-2-3-1 |
|---|---|
| ბობღიაშვილი | პიცანი |
| ორბელაძე | ფარტენაძე |
| სვანიძე | ქვანია |
| ქემოკლიძე | ზ. ლობჟანიძე |
| ელიავა | გაბუნია |
| ჰაიდუჩეკი | მახარაძე |
| ცხადაია | მუჯირი |
| ლექვთაძე | ს. გურული |
| მიკუჩაძე | კოშკაძე |
| კლიმიაშვილი | მაკარიანი |
| ახალაია | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი ა. ჯელაძე | მთ. მწვრთნელი გ. გურული |

**სიონი**

46. ცხადაია – **ნემსაძე**
58. ლექვთაძე – **უგრეხელიძე**
70. ჰაიდუჩეკი - **მანწკავა**

*სათადარიგოები: მერლანი, ისიანი, ჯოჯუა, ბიბილეიშვილი.*

**დინამო (ბთ)**

81. ს. გურული – **გოგიტიძე**
87. კოშკაძე – **ბაციკაძე**

სათადარიგოები: ტაკიძე, ცანავა, თევდორაძე, კიკნაველიძე, ქორიძე,

გაფრთხილებები: ცხადაია (44), სვანიძე (54), მიკუჩაძე (56), კოშკაძე (59), ჩიმაკაძე (77), მუჯირი (79), ლობჟანიძე (90+1).

არბიტრი: ლ. სილაგავა

პირველი წრის ერთ-ერთი უსუსტესი გუნდი ბათუმის “დინამო” ახალწვეულებმა მოაფერიანეს და ქვედა ექვსეულში მშვენივრად ათამაშდა: გია გურულის განწრთნილებმა მარტვილის “მერანისა” (1:0) და “ვიტ ჯორჯიას” (2:0) დამარცხების შემდეგ, მოღონიერებულ “სიონს” 3 ქულა ბოლნისში გამოგლიჯეს. საგულისხმოა, რომ ზღვისპირელებს სამ შეხვედრაში ჯერ ბურთი არ გაუშვიათ.

ისინი ბოლნისს დანაკლისით ესტუმრნენ: “დინამოდან” განათხოვრებულ **ნიკა დიასამიძეს** კუნთი აქვს გაჭიმული და მკურნალობს.

მატჩი დაძაბულად წარიმართა, მაგრამ არა – სანახაობრივად. ერთ-ერთი მიზეზი საფარის მდგომარეობა იყო. ბოლნისელთა მცდელობის მიუხედავად, ბოლო ერთი წელიწადია, მოედნის მდგომარეობა უარესდება და როგორც ჩანს, ხანდაზმულობის გამო, შესაცვლელია.

ასეა თუ ისე, უხარისხო საფარმა თამაშზე გავლენა მოახდინა, ბურთის გაგორება და კომბინაციური თამაში შეუძლებელი იყო. საკმაოდ მრავალრიცხოვანი გულშემატკივრებისგან გამხნევებულმა ბოლნისელებმა სტუმრებს თავიდანვე შეუტიეს. მაგრამ საჯარიმოში შეღწევა მეტისმეტად უჭირდათ. ბათუმელების კონტრშეტევების მცდელობას კი მასპინძელთა მცველები დროულად ახშობდნენ.

29-ე წუთზე “სიონში” ერთ-ერთი ყველაზე აქტიური **ლადო ახალაია** მცველებს გასცდა და მახვილი კუთხიდან კარში სახიფათოთ დაარტყა – მეკარე **ივან პიცანმა** ბურთი დაამინა. მალე ბათუმელთა მეკარემ ახალაიას კიდევ ერთი შეტევა მოიგერია, რომელიც **ირაკლი კლიმიაშვილის** სახიფათო ჩაწოდებას მოჰყვა. ტაიმის მიწურულს ახალაიამ მცველს საჯარიმო ხაზთან ბურთი აართვა, კარისკენ მოულოდნელად შემოტრიალდა და გაისროლა – ამჯერადაც უშედეგოდ.

მასპინძლებმა მეორე ნახევარი აგრესიულად დაიწყეს და მე-60 წუთზე ანგარიშის გახსნაც შეეძლოთ: მარცხენა ფლანგზე ისევ კლიმიაშვილმა იაქტიურა და ბურთი საჯარიმოში ჩაკიდა, მაგრამ უმეთვალყურეოდ დარჩენილი **კოკა მიკუჩაძის** ახლო მანძილიდან თავური დარტყმა მიზანს ასცდა.

ბათუმელებმა მასპინძლების შეტევები შეაჩერეს, მალე თავადაც თამამად შეუტიეს და 63-ე წუთზე დაწინაურდნენ. მარცხენა ფლანგზე **ბესიკ ჩიმაკაძემ** ბურთისთვის იბრძოლა, მოედნის ცენტრში **ამირან მუჯირი** მოძებნა, რომელმაც შეტევა მარჯვენა ფლანგზე გათავისუფლებულ **სანდრო გურულს** გააგრძელებინა, საქართველოს ნაკრების კანდიდატის დარტყმამ კი მასპინძლები მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო – 0:1.

“სიონმა” მთელი ძალებით შეუტია, მაგრამ კართან მიახლოება უჭირდა. 78-ე წუთზე მიკუჩაძემ ბედი შორეული დარტყმით სცადა, ერთ-ერთ ეპიზოდში **ჯიმი გაბუნიამ** ბურთი კარიდან გამოიტანა. ამასობაში ბოლნისელებმა დაცვა მოაშიშვლეს და რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა გამოეპარათ. **ალეკო კოშკაძის** უძლიერესი დარტყმა “სიონის” მეკარე **მინდია ბობლიაშვილმა** მოიგერია; მალე **ალეკო ბაციკაძემ** კარიდან გამოსული მეკარე შენიშნა, მაგრამ ბურთი თავზე ვერ გადაუგდო.

მატჩის მიწურულს ბობლიაშვილი შეტევებში უკანხმოუხედავად ჩაერთო და ამ დროს ბაციკაძემ მოედნის ცენტრიდან კიდევ ერთხელ სცადა ცარიელი კარის აღება, მაგრამ სუსტად დაარტყა და ბოლნისელები **ლადო უგრელიძემ** გადაარჩინა.

“სიონის” მცდელობის მიუხედავად, გია გურულის განწრთნილებმა კარი მშრალად შეინახეს, უშუალო კონკურენტებთან დამსახურებულად გაიმარჯვეს (1:0) და ქვედა ექვსეულში ბოლოდან მეორე ადგილს თავი დააღწიეს. “სიონმა” კი მდგომარეობა გაირთულა.

**მერაბ მამულაშვილი**
ბოლნისი-თბილისი

## საქართველოს ჩემპიონატი

**პირველი ლიგა. XXII ტური**

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| დინამო-2 – გაგრა | 3:2 |
| ჭიათურა – სქური | 2:1 |
| სასკო – ბეთლემი | 4:1 |
| გურია – სტუ | 1:1 |
| რაჭა – მეშახტე | 1:1 |
| იმერეთი – სულორი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 22 | 18 | 2 | 2 | 60-14 | 56 |
| 2. სასკო | 22 | 16 | 2 | 4 | 64-21 | 50 |
| 3. დინამო-2 | 22 | 13 | 4 | 5 | 67-33 | 43 |
| 4. გაგრა | 22 | 14 | 1 | 7 | 45-25 | 43 |
| 5. სტუ | 22 | 9 | 2 | 11 | 45-25 | 29 |
| 6. მეშახტე | 22 | 8 | 5 | 9 | 26-46 | 29 |
| 7. სქური | 22 | 7 | 6 | 9 | 24-36 | 27 |
| 8. ბეთლემი | 22 | 8 | 2 | 12 | 27-47 | 26 |
| 9. იმერეთი | 22 | 7 | 4 | 11 | 23-32 | 25 |
| 10. ჭიათურა | 22 | 5 | 5 | 12 | 21-38 | 20 |
| 11. სულორი | 22 | 4 | 4 | 14 | 19-49 | 16 |
| 12. რაჭა | 22 | 3 | 3 | 16 | 23-48 | 12 |

**დუბლების ჩემპიონატი**

**XXVI ტური**

| | |
|---|---|
| სიონი – მეტალურგი | 2:1 |
| ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი | 4:1 |
| დინამო (თბ) – ზუგდიდი | 6:1 |
| კოლხეთი – ტორპედო | 0:0 |
| მერანი – ჩიხურა | 0:2 |
| დინამო (ბთ) – დილა | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 26 | 18 | 2 | 6 | 67-30 | 56 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 26 | 16 | 4 | 6 | 58-27 | 52 |
| 3. ზუგდიდი | 26 | 14 | 5 | 7 | 42-35 | 47 |
| 4. ჩიხურა | 26 | 14 | 4 | 8 | 35-28 | 46 |
| 5. ზესტაფონი | 26 | 12 | 6 | 8 | 67-48 | 42 |
| 6. დილა | 26 | 11 | 6 | 9 | 39-31 | 39 |
| 7. მეტალურგი | 26 | 11 | 4 | 11 | 47-43 | 37 |
| 8. ტორპედო | 26 | 10 | 6 | 10 | 34-31 | 36 |
| 9. კოლხეთი | 26 | 8 | 5 | 13 | 26-49 | 29 |
| 10. დინამო (ბთ) | 26 | 7 | 4 | 15 | 33-50 | 25 |
| 11. სიონი | 26 | 4 | 5 | 17 | 25-60 | 17 |
| 12. მერანი | 26 | 4 | 3 | 19 | 13-54 | 15 |

**საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა.** XXV ტური

VII-XII ადგილები

# გართულებული საქმე

30.03. მცხეთა. მცხეთა პარკი. 200 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 2**
**მეტალურგი 3**

0:1 სიხარულიძე (29. ახალკაცის პასით), 1:1 ჯანელიძე (37), 2:1 ე. ლობჯანიძე (60. ჯანელიძის პასით), 2:2 ახალკაცი (63. ზ. ლობჯანიძის პასით), 2:3 ზ. ლობჯანიძე (73. ახალკაცის პასით)

| ვიტ ჯორჯია 4-4-2 | მეტალურგი 4-2-3-1 |
|---|---|
| დაუშვილი | ბათიაშვილი |
| მჭედლიშვილი | გავაშელიშვილი |
| ადამაძე | მახვილაძე |
| კასრაძე | ინწკირველი |
| ჯავაშვილი | სუხიაშვილი |
| დავლაშელიძე | ქავთარაძე |
| გურეშიძე | რაზმაძე |
| ვასაძე | ხაბელაშვილი |
| ჯანელიძე | ახალკაცი |
| ე. ლობჯანიძე | ზ. ლობჯანიძე |
| გაბრიჭიძე | სიხარულიძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| მ. კოჭლაშვილი | გ. ყიფიანი |

**ვიტ ჯორჯია**
46. მჭედლიშვილი – **გეთიაშვილი**
52. ვასაძე – **ლიპარაძე**
64. გაბრიჭიძე – **კუხალეიშვილი**
*სათადარიგოები: რეჭია, ტეტუნაშვილი, გოგიაშვილი, ნ. იაშვილი*

**მეტალურგი**
46. გავაშელიშვილი – **დობროვოლსკი**
69. ხაბელაშვილი – **ფიფია**
77. სიხარულიძე – **ვ. კვარაცხელია**
*სათადარიგოები: ბედიაშვილი, ცნობილაძე, ოთარაშვილი, განუგრავა*
გაფრთხილება: გურეშიძე (22), მჭედლიშვილი (31), კუხალეიშვილი (72), ქავთარაძე (78)
არბიტრი: ხ. გაგნიძე

უმაღლესი ლიგის ქვედა ექვსეულის ბინადართაგან "მეტალურგი" ერთადერთი გუნდია, რომელსაც უძლიერესთა შორის ადგილი დაბევებული აქვს, თუმცა რუსთაველთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ "ვიტ ჯორჯიასთან" მატჩს სრული პასუხისმგებლობით მოეკიდნენ. ვეტერინარებს კი საქმე სახუმაროდ არ აქვთ – "ვიტ ჯორჯიას", რომელიც ახლო წარსულში უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოდა, პირველ ლიგაში დაქვეითება ემუქრება და მისთვის თითოეული ქულა ძალიან ძვირად ფასობს.

"მცხეთა პარკზე" უკომპრომისო ბრძოლა გაიმართა, სადაც მეტოქეებმა წარმატებისთვის მაქსიმუმი გაიღეს. პირველ ტაიმში ბურთს მასპინძლები უფრო ფლობდნენ, მაგრამ მიზანს ქვემოქართლელთა კონტრშეტევამ მიაღწია – ვიტელთა ყოფილმა ფორვარდმა **ირაკლი სიხარულიძემ რომან ახალკაცის** გადაცემა მიიღო და "ვიტ ჯორჯიას" კარი მეორე მცდელობით დალაშქრა.

ვეტერინარებში ყველაზე შესამჩნევი **გიორგი ჯანელიძე** იყო და ლოგიკურიც არის, რომ ანგარიში სწორედ მან გაათანაბრა. ჯანელიძემ პირველი ნახევრის ბოლოს წონასწორობა საჯარიმო დარტყმით აღადგინა.

მასპინძლები ჯანელიძის საგოლე გადაცემით დაწინაურდნენ. მე-60 წუთზე "ვიტ ჯორჯია" თავური დარტყმით **ელგუჯა ლობჯანიძემ** წინ გაიყვანა, სამ წუთში კი უკვე მეტალურგელმა ლობჯანიძემ შეიტანა წვლილი რუსთაველთა გოლში. ზვიადის მიერ მოწოდებული კუთხურის შემდეგ ვიტელთა კარი ახალკაცმა დალაშქრა.

შეხვედრა ორმხრივი შეტევებით გაგრძელდა, მიზანს კი სტუმრებმა მიაღწიეს. ამჯერად ლობჯანიძემ და ახალკაცმა როლები გაცვალეს და პირველმა თავურით გაიტანა მეორის პასით.

ახალკაცის სტატისტიკური მონაგარი მართლაც შთამბეჭდავია – გოლი და ორი საგოლე პასი ნებისმიერი რანგის მატჩში გამოსარჩევი მიღწევაა.

დარჩენილ დროში "ვიტ ჯორჯიას" თამაშის გადარჩენის რეალური შანსი აღარ მისცემია და იმის მიუხედავად, რომ ურიგოდ ნამდვილად არ უთამაშიათ, ვეტერინარებმა მაინც მარცხი იწვნიეს. მასპინძელთა მცირერიცხოვანმა გულშემატკივრებმა არბიტრ **ხვიჩა გაგნიძის** მიმართ ემოციურად გამოხატეს უკმაყოფილება.

ვნახოთ, შეძლებს თუ არა **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდი უმაღლეს ლიგაში დარჩენას, "მეტალურგის" მთავარი საზრუნავი კი საქართველოს თასზე წარმატებაა.

**ლევან ჯანეზაშვილი**
მცხეთა-თბილისი

30.03. მარტვილი. ცენტრალური. 800 მაყურებელი

**მერანი 0**
**კოლხეთი 1**

0:1 ზ. ჯანაშია (80. კილასონიას პასით)

| მერანი | კოლხეთი |
|---|---|
| შეროზია | ხარშილაძე |
| გეგეჭკორი | გ. კილასონია |
| ლ. ლონლაძე | ჩადუნელი |
| ქარქუზაშვილი | ფარულავა |
| ხუბუა | ლ. კაკულია |
| დიდავა | გოგონაია |
| ბუკია | მოისწრაფიშვილი |
| ფონიავა | როსინი |
| ტორონჯაძე | კრასოვსკი |
| კუჭუხიძე | ზ. ჯანაშია |
| ს. ლომია | კვანტალიანი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| მ. ქვანია | ს. ფილია |

**მერანი**
46. ხუბუა- **მელიავა**
60. ტორონჯაძე- **კრისი**
72. ს. ლომია- **ი. მონიავა**
*სათადარიგოები: მუჯირიშვილი, იობაშვილი, გაბისონია, წულაია*

**კოლხეთი**
69. როსინი- **ხოშტარია**
74. კრასოვსკი- **ნაბრია**
90. კვანტალიანი- **ბუხაიძე**
*სათადარიგოები: ბუბუტეიშვილი, ცხვიტარია, მ. ლორია, სარსანია*
გაფრთხილება: ჩადუნელი (25), ფონიავა (45), მოისწრაფიშვილი (65), კვანტალიანი (83), კრისი (89)
არბიტრი: ჯ. ხორავა

წინა ტურში ფოთის "კოლხეთმა" ნავსი გატეხა და წლევანდელ ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვა. გუნდმა საკუთარ მოედანზე ბოლნისის "სიონი" დაამარცხა (2:1). მანამდე ალბათ, არავის სჯეროდა, რომ ფოთელები იმავეს მარტვილში გაიმეორებდნენ, ადგილობრივ "მერანთან". მით უფრო, რომ მასპინძლებმა უკანასკნელ შეხვედრაში რუსთავში, თავი ნორმალურად წარმოაჩინეს და ქულასაც გამოჰკრეს ხელი. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, მატჩს „მერანისთვის" ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, სტუმართათვის

# მერანი: მარტვილით ფერმკრთალი

"კოლხურ დერბიში" გამარჯვება კი მხოლოდ პრესტიჟის საქმე იყო. თავიდანვე ვთქვათ, რომ მთელი 90 წუთი, განსაკუთრებით კი მისი მეორე ტაიმი, უფერული გამოდგა. არც განსაკუთრებული მონდომება, არც ბრძოლისუნარიანობა, არც გამარჯვებისათვის სწრაფვა ფეხბურთელებში არ იგრძნობოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მარტვილელი ქომაგი ასეთი იმედგაცრუებული არასოდეს დარჩენილა. და მაინც, თუ ამ თამაშში გოლი გავიდა, ეს უთუოდ ფოთელთა თავდამსხმელის **ზამირ ჯანაშიას** პირადი დამსახურებაა, რომელმაც მართლაც ეფექტური ბურთი ასე გაიტანა: მარჯვენა ფრთაზე აქტიურმა **გიორგი კილასონიამ** რამდენიმე მცველი მოატყუა და საჯარიმოში უზადოდ ჩააწოდა. დაახლოებით თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან ყველას ჯანაშიამ დაასწრო და ერთი შეხებით ბურთი კარის ბადეში გაახვია 0:1

ახლა რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას. თავდაპირველად გუნდებმა კინაღამ გოლები გაცვალეს: მე-4 წუთზე სტუმრებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს, აქტიურმა ზამირ ჯანაშიამ მოედნის ცენტრის სიახლოვეს მეტოქეს ბურთი აართვა და უმალ გადააწოდა **როსინის**. ამ უკანასკნელმა **კრასოვსკის** უპასა, საბოლოოდ, ბურთი ისევ ჯანაშიას მიუვიდა, რომლის ძლიერად დარტყმული **ჯონი შეროზიამ** შესანიშნავ ნახტომში მოიგერია. მას მყისვე მოჰყვა მასპინძელთა რეაქცია: დასარტყმელ პოზიციაზე **საბა ლომია** გავიდა, ერთი შეხედვით ლომიას ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ ბოლო წამს ბურთი ფეხებში აებლანდა და მდგომარეობაც განიმუხტა. შემდეგ, გოლის გატანის ჩინებული შანსი ვერ გამოიყენეს **ლონლაძემ** და კილასონიამ.

მეორე ნახევარში "მერანის" შემადგენლობაში ორი ახალი ფეხბურთელი, **კიჭი მელიავა** და **კრისი** გამოჩნდა. მასპინძლები ორფორვარდიან ტაქტიკაზეც გადავიდნენ, თუმცა რა გამოვიდა, თავადაც ხედავთ. მატჩის განახლებიდან სამი წუთიც არ იყო გასული, როდესაც მარტვილელებმა რეალური მომენტი შექმნეს: **ლაშა კუჭუხიძის** გადაცემის შემდეგ, ისევ საბა ლომია გავიდა მეკარესთან პირისპირ, ძლიერი დარტყით კი ბურთი სანტიმეტრებით ასცდა კარს. ფოთელები აშკარად გადარჩნენ. დარჩენილ დროში მოედანზე საინტერესო ფაქტობრივად, არაფერი მომხდარა, ეტყობა ფეხბურთელებს ძალა გამოელიათ: იკლო კომბინაციურმა თამაშმა და ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრთან ტრიალებდა.

ბოლო წუთებში მასპინძლები ანგარიშის გათანაბრებას ცდილობდნენ, მაგრამ დასამახსოვრებელი და საინტერესო არაფერი მომხდარა. ამ წაგებით მართალია, "მერანის" მდგომარეობა სატურნირო ცხრილში დიდად არ გართულებულა (რაშიც კონკურენტებმა შეუწყვეს ხელი), თუმცა უმაღლესი ლიგიდან გავარდნის საშიშროების წინაშე აშკარად კი დადგნენ.



სოსო ფილიას „კოლხეთმა" ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო

**მატჩის შემდეგ:**

**მალხაზ ჟვანია (მერანი):** "ვერ ვიტყვი, ბიჭებმა არ იბრძოლეს-მეთქი, თუმცა შანსები ვერ გამოვიყენეთ, რისთვისაც მატჩის ბოლოსკენ დავისაჯეთ კიდეც. "მერანი" ახალგაზრდული გუნდია და შესაბამისად, ფეხბურთელებიც ბევრ შეცდომას უშვებენ.... დარჩენილ მატჩებში ვეცდებით, სიტუაციის გამოსწორებას."

**სოსო ფილია (კოლხეთი):** "ასეთ მოედანზე თამაში ძალიან ძნელია. მეტოქის საწყისი უპირატესობის შემდეგ, შეხვედრა გავათანაბრეთ და სასურველი გამარჯვებაც მოვიპოვეთ. ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვნახოთ, რა გამოგვივა".

**ბესიკ გვაზავა**
მარტვილიდან

**U17**

# მიზნამდე ერთი გოლი დაგვაკლდა

## ფინალური ეტაპი დიდი სახელების გარეშე

**ავსტრია–საქართველო 2:1**

1:0 ჟივოტიჩი (14), 2:0 გრბიჩი (24), 2:1 ზარანდია (38)

ავსტრია: შლაგერი, რიპიჩი (72. შტაინერი), პერიჩი, ტურში, ლერხერი, გრბიჩი (80. ბაუმგარტნერი), ჰორვატი, პელეგრინი, გლუჰაკოვიჩი, პრობსტი, ჟივოტიჩი
*სათადარიგოები: ჰარტლი, მატისი, მაირი, ბერგმაისტერი, ვუკოვიჩი*
მწვრთნელი: ჰ. შტადლერი

საქართველო: გოშაძე, პატარკაციშვილი, მარგველაშვილი, ტაბიძე, თევზაძე (67. ჩაბრაძე), ზარანდია, გოროზია (63. ბერიძე), რ. ჭანტურია, ხარაიშვილი, გელაშვილი, შულაია
სათადარიგოები: ქურდაძე, მალანია, რუხაძე, ბარამიძე
მწვრთნელი: გ. დევდარიანი
გაფრთხილება: მარგველაშვილი (24), პელეგრინი (36), გელაშვილი (39), ლერხერი (69)
არბიტრი: ი. კოზიკი (უკრაინა)

**ირლანდია–სერბეთი 1:1**

1:0 ბირნი (50. პენ.), 1:1 რადონიჩი (55)

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსს ელიტრაუნდის ბოლო ტურამდე ინარჩუნებდა, ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა. არადა, პარალელურად მიმდინარე მატჩში მოვლენები ჩვენთვის სასურველი სცენარით განვითარდა – სერბეთმა ვერ გაიმარჯვა, ეს კი **გიორგი დევდარიანის** გუნდს ჯგუფის მოგების შანსს უტოვებდა.

რაც ყველაზე გულდასაწყვეტია, საქართველოს ნაკრებს მეორე მატჩის ფრედ დასრულების შემთხვევაში ფინალურ რაუნდში 2:2-იც კი გაიყვანდა. ასე რომ, დიდ წარმატებამდე ერთადერთი გოლი დაგვაკლდა...

ჩვენს ჯგუფში, სადაც მოვლენები მართლაც უცნაურად განვითარდა, მასპინძელმა ავსტრიამ გაიმარჯვა, რომელმაც ელიტრაუნდში ასპარეზობა ირლანდიასთან მარცხით დაიწყო.

ფინალურ ეტაპზე, რომელსაც მაისში სლოვაკეთი უმასპინძლებს, მასპინძელთა და ავსტრიელთა გარდა ითამაშებენ: ხორვატია, შვედეთი, უკრაინა, შვეიცარია, რუსეთი და იტალია.

როგორც ხედავთ, ფინალის მიღმა ისეთი საფეხბურთო ქვეყნები დარჩნენ, როგორებიც არიან: ევროპის მოქმედი ჩემპიონი ჰოლანდია, ვიცე-ჩემპიონი გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, ინგლისი და პორტუგალია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ავსტრია | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 2. სერბეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 3. ირლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| 4. საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |

**ლევან ჯანეზაშვილი**

**ამბები**

# ალექსიძე კარიერას ასრულებს?



რატი ალექსიძე

ორიოდე დღის წინათ ვწერდით, რომ **რატი ალექსიძე** უნგრული "დიორ ეტოდან" მოდის. მაგრამ მაშინ დაზუსტების საშუალება არ მოგვეცა, თუ რა გეგმები ჰქონდა 34 წლის თავდამსხმელს.

რატის გუშინ დაველაპარაკეთ და დავინტერესდით, "დიორ ეტოდან" წასვლა რამ გადააწყვეტინა, კარიერას ასრულებს თუ ახალი კლუბი მოძებნა?

*"ფაქტობრივად, მიმდინარე სეზონი, გამიცდა. სულ სამი თამაში ჩავატარე და დასაწყისშივე უკანა კუნთი გამიწყდა. ვარჯიში მცირე ხნის წინ განვაახლე და ახლა ჩვეულებრივად, გუნდთან ერთად ვემზადები. მაგრამ "დიორ ეტოს" ვერ ვეხმარები და ამის გამო, მაისში წამოსვლა გადავწყვიტე. წინადადება საქართველოდანაც მაქვს და უნგრეთშიც სურთ ახალი კონტრაქტის გაფორმება, კლუბში დარჩენასა და მუშაობასაც მთავაზობდნენ. მაგრამ ჯერ ისიც არ ვიცი, დავასრულებ თუ არა კარიერას და ახლა ვფიქრობ, რა ვქნა... დიდი ხანია, უცხოეთში ვარ და სიმართლე გითხრათ, ასეთმა ცხოვრებამ დამღალა, სახლი, ოჯახი და ახლობლები სულ მენატრება. ყველაფერზე ვფიქრობ, საქართველოში თამაშზე, ევროპაში დარჩენაზე, კარიერის დასრულებასა და კიდევ ორი წლით გაგრძელებაზე. თუმცა, ჯერ გადაწყვეტილება არ მიმიღია"* – ამბობს ალექსიძე.

# ფლორა ბეგლარიშვილს აბრკოლებს

**ზაქარია ბეგლარიშვილის** ბოლნისის "სიონში" ჩარიცხვა გადაწყვეტილი ამბავი გვეგონა. ესტონეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირს ტალინის "ფლორასთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და თავად გვითხრა, ესტონეთიდან გათავისუფლების ფურცელს ველოდები და მალე საჩემპიონატო განაცხადში შემიყვანენო.

მართალია, 22 წლის პლეიმეიკერს "ფლორასთან" კონტრაქტი ორი თვის შემდეგ უმთავრდება, მაგრამ ესტონური კლუბის პრეზიდენტმა **აივარ პოლაკმა** დაიმედა, რომ საკომპენსაციო თანხას (60 ათასი ევრო) აღარ გამოეკიდებოდა და გათავისუფლების ფურცელს კონტრაქტის დასრულებამდე მისცემდა.

სამწუხაროდ, "სიონმა" ახალგაზრდა ფეხბურთელი დღემდე ვერ დაიმატა. საქმე ისაა, რომ ესტონელებმა გადაიფიქრეს და ზაქარია ბეგლარიშვილი გუნდს კიდევ ორ თვეს ვერ დაეხმარება. მერე 23 წლის გახდება, კონტრაქტი დაუსრულდება და სასურველ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხება.

**მერაბ მამულაშვილი**

**ფუტსალი**

# კარი მოგებით გავიჯახუნეთ

**საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ელიტ რაუნდის ბოლო ტურში ბელარუსს სძლია და ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა.**

ჯვაროსნები" **მურთაზ კაკაბაძემ** ულამაზესი დარტყმით დააწინაურა, 29-ე წუთზე კი 3:1-ს ვიგებდით, მაგრამ ბელარუსებმა 3:4 დაწინაურება შესძლეს. ამ მომენტში ლიდერის თვისებები კიდევ ერთხელ გამოავლინა **დავით ბობოხიძემ**, რომელმაც სლავების კარი ორჯერ აილო, ჯამში პოკერი შეასრულა. ფიფას რეიტინგში 64-ე ადგილზე მყოფმა საქართველომ მე-19-ადგილოსან ბელარუსს 5:4 სძლია.

**საქართველო - ბელარუსი 5:4**

**30 მარტი. როტერდამი. "ტოპსპორტცენტრუმ".**

1:0 კაკაბაძე (11), 2:0 ბობოხიძე (14), 2:1 ალექსანდრე ჩერნიკი (22), 3:1 ბობოხიძე (29), 3:2 ჩერნიკი (31), 3:3 ვადიმ ლუშკოვსკი (33), 3:4 ლუშკოვსკი (36), 4:4 ბობოხიძე (37), 5:4 ბობოხიძე (37),

საქართველო: ჯამბურია, კაკაბაძე, კობაიძე, სიგუნავა, ლუკავა - *გაბუჩია (მ), ალთუნაშვილი, ბობოხიძე, ჭანუყვაძე, შელეგია, ჯაფარიძე, მაისაია, სოზაშვილი, სებისკვერაძე.*

ჯგუფში გამარჯვებული და ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე ჩეხეთი გახდა, რომელმაც მასპინძელი ჰოლანდია გაანადგურა - 5:1.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩეხეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 13-5 | 9 |
| 2. ჰოლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 10-9 | 6 |
| 3. საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 9-15 | 3 |
| 4. ბელარუსი | 2 | 0 | 0 | 2 | 8-11 | 0 |

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონის უქმეები

# კობის გულისტკივილი და კაშიას საჩემპიონო შანსი

მოგესალმებით,

ვწუხვარ, რომ ამ ფორმით მიწევს თქვენთვის მადლობის გადახდა. მადლობა იმ მხარდაჭერისა და გვერდში დგომისათვის, რომელსაც წლების განმავლობაში ვგრძნობდი თქვენგან. საქართველოს ნაკრების წევრობა ყოველთვის პრიორიტეტული და საამაყო იყო ჩემთვის. მიუხედავად მრავალი სირთულისა, თავი არასოდეს დამიზოგავს. გუნდისთვის, ისევე როგორც ჩემი ქვეყნისთვის ვაკეთებდი მაქსიმუმს.

ყოველთვის დიდ ბედნიერებას მანიჭებდა ეროვნული გუნდის მაისურის ტარება. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვისთან ერთადაც მომიწია თამაში საქართველოს ნაკრებში; ყველა იმ მწვრთნელს, ვისთანაც მიმუშავია. განსაკუთრებით მსურს გამოვყო რეზო ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე და დავით ყიფიანი. მათ დიდი როლი ითამაშეს ჩემს საფეხბურთო კარიერაში.

სამწუხაროდ, ჩემი და ქართველი გულშემატკივრის ოცნება - გვეთამაშა ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატზე - ჩემთვის, როგორც ფეხბურთელისთვის, აუხდენელი დარჩა. წარმატებებს ვუსურვებ ეროვნულ ნაკრებს. მათ დღეიდან, ჩემი სახით, ერთით მეტი ჭეშმარიტი გულშემატკივარი შეემატა.

ფეხბურთის ფედერაციაში მოღვაწეობენ ადამიანები, რომლებიც თავად იყვნენ ფეხბურთელები და სწორედ მათ კარგად უნდა ესმოდეთ, თუ რას ნიშნავს სპორტსმენისთვის ღირსეულად დამშვიდობება. ვწუხვარ, რომ მათი მხრიდან არ მოხდა შესაბამისი ქმედებები.

იმედი მაქვს მომავალში ფეხბურთის ფედერაცია დაარღვევს ამ ცუდ ტრადიციას, გამოიჩენს მეტ პროფესიონალიზმს და ღირსეულად გააცილებს დამსახურებულ ფეხბურთელებს. მე მივდივარ, როგორც აქტიური ფეხბურთელი ნაკრებიდან, მაგრამ აუცილებლად დავბრუნდები ქართულ ფეხბურთში.

პატივისცემით, თქვენი ლევან კობიაშვილი



ლევან კობიაშვილი ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, ვისაც ეროვნულ ნაკრებში 100 მატჩი აქვს ჩატარებული

ეს მიმართვა **ლევან კობიაშვილმა** სოციალურ ქსელ "ფეისბუქზე", საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა და ვფიქრობთ, მის სიტყვებს ზედმეტი კომენტარი არ ესაჭიროება. დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ გამორჩეულ ვარსკვლავს სამშობლოში აშკარად მეტი დაფასება ესაჭიროებოდა. ბოლო სანაკრებო მატჩი კობიმ ეროვნულ ნაკრებში 2011 წლის ნოემბერში ჩაატარა და ეს შეხვედრა მის სანაკრებო კარიერაში მეასე იყო.



შოთა არველაძის ქასიმფაშა თურქეთის ჩემპიონატში მესამე ადგილზეა

■ ■ ■

გასული უქმეები ქართული ლეგიონისთვის გამორჩეული ნამდვილად არ ყოფილა. მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი შეგვიძლია აღვნიშნოთ და უპირველესად, **გურამ კაშია** უნდა ვახსენოთ, რომლის "ვიტესიც" ჰოლანდიის ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებს. არნემელები ლიდერ "აიაქსს" მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩებიან, ერედივიზიეს დასრულებამდე კი ექვსი ტურია დარჩენილი. გასული ტურის მატჩი "ვიტესმა" არცთუ იოლად მოიგო, მაგრამ მთავარია, რომ დაგეგმილი სამი ქულის მოპოვება შეძლო.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში "ქართული დერბი" უნდა შემდგარიყო, მაგრამ თუკი "ჰერტას" შემადგენლობაში ლევან კობიაშვილმა შეუცვლელად ითამაშა, ერთი ბოხუმელი ქართველი, **ალექსანდრე იაშვილი** სათადარიგოთა სკამზე დარჩა, ხოლო მეორე, **ნიკოლოზ გელაშვილი** – განაცხადს მიღმა.

რუსეთში მოასპარეზე ლეგიონერთა უმრავლესობა საქმეში ვერ ვნახეთ. გამონაკლისია **აკაკი ხუბუტია**, რომლის "მორდოვიამაც" ამ გამარჯვებით პრემიერლიგაში დარჩენის შანსი შეინარჩუნა.

უკრაინის პრემიერლიგაში "კარპატი" ძალიან ეცადა ლიდერ "შახტარის" შეჩერებას, მაგრამ მაინც მინიმალურად დამარცხდა. **მურთაზ დაუშვილმა** დონეცკელებთან ბრძოლაში წითელი ბარათი მიიღო, რაც მისთვის მიმდინარე სეზონში უკვე მესამე გაძევებაა.

"ლელოს" შაბათის ნომერში უკვე გამცნეთ, რომ საფრანგეთის ლიგა 2-ში სეზონის პირველი მატჩი ჩაატარა **გიორგი მაკარიძემ**. იმედია, ახალგაზრდა ქართველი მეკარე შეძლებს გუნდში იმ პოზიციების დაბრუნებას, რომელზეც ტრავმამდე იმყოფებოდა.

**შოთა არველაძის** "ქაშიმფაშა" თურქეთის სუპერლიგაში მესამე ადგილამდე აღზევდა, რასაც "ბურსასფორთან" საშინაო 2:0-ით მიაღწია.

**ლადო დვალიშვილი**, რომელიც ცოტა ხნის წინ "პოლონიას" ღირსებას იცავდა, ყოფილ კლუბს "ლეგიას" მაისურით დაუპირისპირდა და გამარჯვებაც იზეიმა.

აზერბაიჯანის პრემიერლიგაში ტურისა და მთლიანად ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი გაიმართა, სადაც ბაქოს "ინტერმა" თანაქალაქელ "ნეფთჩის" უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა. ამით "ნეფთჩიმ" **კახა ცხადაძის** გუნდთან უპირატესობა ოთხ ქულამდე გაზარდა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**



გურამ კაშიას (№37) ვიტესს ჰოლანდიის ჩემპიონობის რეალური შანსი აქვს

| ფეხბურთელი | ას | კლ. | მეტ | შედ. | შენ | თ | გ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია. ერედივიზიე. XXVIII ტური | | | | | | | |
| გურამ კაშია | 25 | ვიტესი | ზვოლე | შ 2:1 | 90 წთ | 27 | 2 |
| ვაკო ყაზაიშვილი | 20 | ვიტესი | ზვოლე | შ 2:1 | სათად. | 2 | - |
| რუსეთი. პრემიერლიგა. XXII ტური | | | | | | | |
| ჯანო ანანიძე | 20 | სპარტაკი მ. | ყუბანი | შ 2:2 | არ უთამ. | 12 | 2 |
| საბა კვერკველია | 21 | რუბინი | ლოკომოტივი | შ 2:0 | არ უთამ. | - | - |
| ნუკრი რევიშვილი | 26 | კრასნოდ. | ანჟი | შ 4:0 | არ უთამ. | 4 | - |
| გია გრიგალავა | 23 | ვოლგა | ამკარი | შ 1:1 | არ უთამ. | 19 | 1 |
| ალექს. ამისულაშვილი | 30 | კრილია | მორდოვია | შ 0:2 | არ უთამ. | 2 | - |
| აკაკი ხუბუტია | 27 | მორდოვია | კრილია | ს 2:0 | 90 წთ | 3 | - |
| გიორგი ჭანტურია | 19 | ალანია | ცსკა | შ | დღეს | 1 | - |
| მამუკა კობახიძე | 20 | ალანია | ცსკა | შ | დღეს | - | - |
| უკრაინა. პრემიერლიგა. XXII ტური | | | | | | | |
| ჯაბა კანკავა | 27 | დნიპრო | ვოლინი | ს 1:1 | 37-ე წთ-დან | 12 | 1 |
| ალექსანდრე კობახიძე | 26 | დნიპრო | ვოლინი | ს 1:1 | 68-ე წთ-დან | 2 | - |
| დავით თარგამაძე | 23 | ილიჩევეცი | გოვერლა | ს 1:1 | 87-ე წთ-დან | 21 | 1 |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 21 | ილიჩევეცი | გოვერლა | ს 1:1 | 90 წთ | 21 | 3 |
| გიორგი ჯგერენაია | 19 | ილიჩევეცი | გოვერლა | ს 1:1 | არ უთამ. | - | - |
| ჯაბა ლიპარტია | 25 | ზარია | ვორსკლა | ს 0:0 | 71-ე წთ-მდე | 21 | 1 |
| უჩა ლობჟანიძე | 26 | კრივბასი | მეტალისტი | შ 1:1 | 90-ე წთ-დან | 18 | - |
| მურთაზ დაუშვილი | 23 | კარპატი | შახტარი | შ 1:2 | გაძევ. 81-ე წთ. | 16 | - |
| ლევან ყენია | 22 | კარპატი | შახტარი | შ 1:2 | 90 წთ | 14 | 2 |
| თურქეთი. სუპერლიგა. XXVII ტური | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 31 | კაისერი | კარაბუქი | ს | დღეს | 21 | - |
| პოლონეთი. ეკსტრაკლასა. XX ტური | | | | | | | |
| ლადო დვალიშვილი | 26 | ლეგია | პოლონია | ს 2:1 | 74-ე წთ-მდე | 5 | 1 |
| ნიკა ძალამიძე | 21 | იაგელონია | პიასტი | ს 1:1 | ტრავმა | 15 | 4 |
| დანია. სუპერლიგა. XXV ტური | | | | | | | |
| მათე ვაწაძე | 24 | ორჰუსი | ბრონდბიუ | ს | დღეს | 13 | 3 |
| დავით დევდარიანი | 25 | ორჰუსი | ბრონდბიუ | ს | დღეს | 17 | 3 |
| დავით სხირტლაძე | 20 | ორჰუსი | ბრონდბიუ | ს | დღეს | 12 | 1 |
| გერმანია. II ბუნდესლიგა. XXVII ტური | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | 35 | ჰერტა | ბოხუმი | შ 2:0 | 90 წთ | 6 | - |
| ალექსანდრე იაშვილი | 35 | ბოხუმი | ჰერტა | ს 0:2 | სათად. | 24 | - |
| ნიკოლოზ გელაშვილი | 27 | ბოხუმი | ჰერტა | ს 0:2 | არ უთამ. | 11 | 1 |
| იტალია. სერია B. XXXIV ტური | | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 23 | ემპოლი | პრო ვერჩელი | ს 1:0 | 82-ე წთ-დან | 11 | - |
| ირაკლი შეყილაძე | 20 | ემპოლი | პრო ვერჩელი | ს 1:0 | არ უთამ. | 8 | - |
| საფრანგეთი. ლიგა 2. XXX ტური | | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 23 | ლე მანი | ლავალი | ს 1:2 | 90 წთ | 1 | - |
| აზერბაიჯანი. პრემიერლიგა. XXIV ტური | | | | | | | |
| გიორგი ლომაია | 33 | ინტერი | ნეფთჩი | შ 0:1 | 90 წთ, გაფ. | 19 | - |
| რევაზ თევდორაძე | 25 | ინტერი | ნეფთჩი | შ 0:1 | სათად. | 4 | - |
| ვალერი აბრამიძე | 33 | ინტერი | ნეფთჩი | შ 0:1 | არ უთამ. | 12 | - |
| ილია კანდელაკი | 31 | ინტერი | ნეფთჩი | შ 0:1 | 78-ე წთ-მდე | 17 | - |
| ბაჩანა ცხადაძე | 25 | ინტერი | ნეფთჩი | შ 0:1 | 90 წთ | 21 | 7 |
| გიორგი ადამია | 32 | ინტერი | ნეფთჩი | შ 0:1 | ტრავმა | 4 | 1 |
| გიორგი ფოფხაძე | 26 | ბაქო | სიმურგი | ს 1:0 | 85-ე წთ-დან | 12 | - |
| ირაკლი ბერაია | 29 | თურანი | რავანი | შ 2:6 | 46-ე წთ-დან | 17 | 1 |
| დავით ჯანელიძე | 23 | თურანი | რავანი | შ 2:6 | 90 წთ, გაფრთ. | 6 | - |
| ნიკოლოზ მაისურაძე | 23 | თურანი | რავანი | შ 2:6 | 90 წთ | 11 | - |
| უნგრეთი. NBI. XX ტური | | | | | | | |
| გიორგი ქვილითაია | 19 | დიორი | დიოშდიორი | შ 2:0 | სათად. | 1 | - |
| გივი იოსელიანი | 22 | კეჩკემეტი | პეჩი | შ 0:2 | 63-ე წთ-დან | 2 | - |
| შვეიცარია. ჩელენჯლიგა. XXV ტური | | | | | | | |
| გიორგი ივანიშვილი | 23 | ბელინცონა | ვადუცი | ს | დღეს | 10 | 1 |
| სამხრეთ აფრიკა. XXIII ტური | | | | | | | |
| გიორგი ნერგაძე | 30 | მოროკა | ფრი სტეიტი | შ 1:0 | სათად. | 18 | - |

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXI ტური

# მესამე ადგილი ლონდონელებისთვის

## რთული კალენდრის მსხვერპლი

ტურის წინასიტყვაობაშიც ვწერდით, რომ „სენტ მერიზე" პრემიერლიგის გრანდებს თამაში ძალიან უჭირთ. „წმინდანებს" წინა შეხვედრებში შინ „მანჩესტერ სიტი" და „ლივერპული" ჰყავდათ დამარცხებული და ახლა „ჩელსიც" ზედ მიაყოლეს. ლონდონელებს რამდენიც უნდათ ილაპარაკონ გადატვირთულ გრაფიკზე, **მაურისიო პოჩეტინოს** შეგირდები გამარჯვებას 100%-ით იმსახურებდნენ.

თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. პირველ გოლამდე მათ ორი შესანიშნავი მომენტი შექმნეს. განსაკუთრებით **ჯეი როდრიგესის** კონტრშეტევა უნდა აღინიშნოს, ვინც 4 მეტოქე ჩამოიცილა, მაგრამ საბოლოო დარტყმა აღარ გამოუვიდა. შემდეგ **რიკი ლამბერტმა** სცადა ბედი, მაგრამ **პეტრ ჩეხმა** ისევ დამაჯერებლად ითამაშა. ანგარიში 23-ე წუთზე გაიხსნა. როდრიგესი **სტივენ დევისთან** გათამაშებული კომბინაციის შემდეგ მეკარესთან პირისპირ დარჩა და შანსი აღარ დაუტოვა. „ჩელსიმ" მალე გაათანაბრა. **მარკო მარინის** კუთხურს **ჯონ ტერი** თავურით გამოეხმაურა. თუმცა ზუსტად 2 წუთში სტატუს-კვო აღდგა: ლამბერტმა შესანიშნავი ჯარიმა გაიტანა. **რაფა ბენიტესმა** მეორე ტაიმში **ედენ აზარი** ჩართო თამაშში. ბელგიელი ბევრს ეცადა, მაგრამ უშედეგოდ. შეცვლაზე შესულმა **კელვინ დევისმა** საკუთარი კარი რამდენჯერმე იხსნა გოლისგან. საბოლოოდ „ჩელსი" მეოთხე ადგილამდე ჩამოქვეითდა. მას ახლა „არსენალისგან" მართებს თავის დაცვა. სხვაობა მათ შორის სულ რაღაც 2 ქულაა.




საუთჰემპტონელმა ჯეი როდრიგესმა პეტრ ჩეხს ეფექტური ბურთი გაუტანა

## ტოტენჰემი ცოცხალია

თანაქალაქელი ცხრილში „ტოტენჰემმა" ჩააჩოჩა. „დეზებმა" „სუონსის" გასვლაზე სძლიეს. ბოლო წლებში ჩრდილოლონდონელებმა რამდენჯერმე ჩააგდეს ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპი. ამჯერადაც „ლიბერთი სთედიუმის" შეხვედრას ისინი პრემიერლიგაში ორი წაგებით შეხვდნენ. თუმცა, როგორც ჩანს, **ანდრე ვილაშ ბოაშმა** სიტუაციის გაკონტროლება შეძლო. გუნდებმა ულამაზესი სანახაობა შემოგვთავაზეს. გამარჯვებულის ბედი სტუმართა ინდივიდუალურმა ოსტატობამ გადაწყვიტა. ჯერ **იან ვერტონგენმა** გამოიჩინა თავი, ვისაც **გარეთ ბეილმა** გაუმართა ხელი, მერე ბელგიელმა თანაგუნდელს ვალი დაუბრუნა და მეკარესთან პირისპირ დატოვა. ორივე გოლი მეტად ეფექტური გამოდგა. 71-ე წუთზე **მიგელ მიჩუმ კის** კუთხურს თავი დაუხვედრა და სხვაობა შეამცირა. ესპანელი შემტევი რატომღაც მთელი თამაში ძალიან აგრესიული იყო. ჯერ იყო და **სკოტ პარკერს** დაეჯახა ჰაერში, მერე ვერტონგენთან ჭიდაობა გამართა და ბოლოს ხელიც ჰკრა. ბეილს მატჩის მიწურულს კიდევ ერთიც გატანა შეეძლო. უელსელის 70-მეტრიანი სოლო რეიდი ძლიერი დარტყმით დასრულდა, მაგრამ ბურთმა ძელს სანტიმეტრებში ჩაუქროლა.

## ონილის ეპოქის დასასრული

**მარტინ ონილი** „მანჩესტერ იუნაიტედთან" მარცხის შემდეგ „სანდერლენდის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგა. ჩრდილოირლანდიელისგან ამ ნაბიჯს არ ველოდით, რადგან ახლა, როცა „შავ კატებს" გასავარდნ ზონას კინკილა ქულა აშორებთ, ეს ბრძოლის ველიდან გაქცევას უფრო ჰგავს, ვიდრე გულშემატკივართა წინაშე ბოდიშის მოხდას. სტუმრებს დღეს საღამოს „სტემფორდ ბრიჯზე" ასოციაციის თასის 1/2-ფინალისთვის ბრძოლა უწევთ. ცხადია, მათ ვერც მოსთხოვდი, რომ მაქსიმალური კონცენტრაციით ეთამაშათ. თუმცა **ალექს ფერგიუსონის** გუნდმა რაც ითამაშა, წარმატებისთვის ესეც ეყო. მატჩის ერთადერთი გოლი **რობინ ვან პერსის** აქტიურობას მოჰყვა. 29 წლის ჰოლანდიელი საჯარიმოში ფლანგიდან შეიჭრა. ის **ანტონიო ვალენსიას** მისამართით აპირებდა პასის გაკეთებას, მაგრამ **ტიტუს ბრამბლის** მუხლი უადგილო ადგილას გამოეჩხირა და რიკოშეტის შემდეგ ბურთი ბადეში გაეხვია. მთელი დანარჩენი თამაში საშინელი სანახავი იყო. მასპინძელს შეტევაში ფანტაზია არ ჰყოფნიდა, სტუმარს თამაშის გამწვავების სურვილი არ ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ „ეშმაკების" მხრიდან ყველაზე მეტი რეალური მომენტი თამაშს მოწყურებულ **ალექსანდერ ბიუტნერს** ჰქონდა. ჰოლანდიელ მარცხენა მცველს ორჯერ შეეძლო გატანა.

## რეაბილიტაცია

წინა ტურში „ევერტონთან" მარცხის გამო „მანჩესტერ სიტიმ" სრულიად „ეტიჰადის" წინაშე მოიხადა ბოდიში და თანაც ეს შთამბეჭდავ სტილში გააკეთა. პირველ ტაიმში „ნიუკასლი" კიდევ ახერხებდა მრისხანე მეტოქისთვის წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ ტაიმის მიწურულს უკანა ხაზი ჩამოიშალა. „ქალაქელებმა" 6-წუთიან მონაკვეთში ორჯერ გაიტანეს. მეორე ნახევრის დებიუტში გამოჯანმრთელებულმა **ვენსან კომპანიმ** საჯარიმოს გარედან **გარეთ ბარის** ძლიერ დარტყმას უხერხული მოძრაობით მიმართულება შეუცვალა და **რობ ელიოტი** შეხვედრაში მესამედ დააშამათა. საბოლოო ანგარიში **იაია ტურეს** მონდომების წყალობით დაფიქსირდა. ივუარელის დარტყმა **ჯეიმს პერჩს** მოხვდა და გოლი სწორედ უკანასკნელს ჩაეწერა „აქტივში".

## შესაშური სტატისტიკა

როგორც მოსალოდნელი იყო, „არსენალმა" „რედინგთან" 100%-იანი სტატისტიკა შეინარჩუნა. „მეთოფეებს" „არისტოკრატებთან" აქამდე გამართული ყველა დაპირისპირება მოგებული აქვთ. მიმდინარე სეზონში ისინი მესამედ გადაეყარნენ ერთმანეთს და წინა მატჩებისა არ იყოს (7:5, 5:2), ახლაც გოლების წვიმა ვიხილეთ. მასპინძლებმა რაც გაიტანეს, ერთი ამდენი კიდევ შეეძლოთ. „თავი გამოიჩინა" არბიტრმა **კრის ფოიმ**, ვინც მე-17 წუთზე **სტიუარტ ტეილორის** მიერ **ოლივიე ჟირუს** წაქცევისთვის აშკარა პენალტი არ დანიშნა, სამაგიეროდ, 77-ე წუთზე **ადრიან მარიაპას** საჯარიმოს კიდეზე წესის დარღვევა შეაფასა თერთმეტმეტრიანად.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

### სანდერლენდი-იუნაიტედი 0:1

**გოლი:** 0:1 ბრამბლი (27 ს.კ.)

**სანდერლენდი** (4-4-1-1): მინიოლე – ბერდსლი (79. ლარსონი), ოში, ბრამბლი, როუზი (85. კოლბეკი) – ნდიაიე, გარდნერი, ა. ჯონსონი (76. უიკჰემი), მაკლინი - სესინიონი - გრემი

**იუნაიტედი** (4-4-1-1): დე ხეა – რაფაელი (33. ევანსი), სმოლინგი, ვიდიჩი, ბიუტნერი – კერიკი, ანდერსონი (84. კლევერლი), ვალენსია, იანგი – კაგავა (79. უელბეკი) – ვან პერსი

**გაფრთხილება:** ნდიაიე, ოში, ბერდსლი – ვან პერსი

**კარში დარტყმა:** 6-12 (1-9) **კუთხური:** 3-6 **თამაშგარე:** 1-2 **ჯარიმა:** 12-8 **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 43 760

### არსენალი-რედინგი 4:1

**გოლები:** 1:0 ჟერვინიო (11), 2:0 კასორლა (48), 3:0 ჟირუ (67), 3:1 რობსონ-კანუ (68), 4:1 არტეტა (77-პენ)

**არსენალი** (4-4-2): ფაბიანსკი – სანია, მერტეზაკერი, კოშელნი, მონრეალი (71. გიბსი) – რემსი, არტეტა, როსიცკი, კასორლა – ჟერვინიო (75. ოქსლეიდ-ჩემბერლენი), ჟირუ (75. პოდოლსკი)

**რედინგი** (4-5-1): ტეილორი – კელი, პირსი, მარიაპა, შორი – კარაჯანი (76. აკპანი), გატრი, მაკანუფი, ლიგერტვუდი, რობსონ-კანუ (80. მაკლირი) – პოგრებნიაკი (61. ჰანტი)

**გაფრთხილება:** გატრი

**კარში დარტყმა:** 15-2 (9-2) **კუთხური:** 11-3 **თამაშგარე:** 3-2 **ჯარიმა:** 8-11 **ბურთის ფლობა:** 70%-30%

**მაყურებელი:** 60 082

### სიტი-ნიუკასლი 4:0

**გოლები:** 1:0 ტევესი (41), 2:0 დ. სილვა (45), 3:0 კომპანი (56), 4:0 პერჩი (69 ს.კ-ში)

**სიტი** (4-2-3-1): ჰარტი – საბალეტა, კომპანი (73. ხ. გარსია), ლესკოტი, კლიში – ბარი, ი. ტურე – ნასრი (70. აგუერო), დ. სილვა (82. სინკლერი), ტევესი - ჯეკო

**ნიუკასლი** (4-2-3-1): ელიოტი – სიმპსონი, ს. ტეილორი, იანგა-მბივა, ხონასი – კაბაი (74. ბიგირიმანა), ანიტა – ობერტანი (46. პერჩი), გუფრანი (63. გოსლინგი), სისოკო - სისე

**გაფრთხილება:** ანიტა, კაბაი

**კარში დარტყმა:** 16-5 (8-3) **კუთხური:** 9-2 **თამაშგარე:** 6-3 **ჯარიმა:** 7-9 **ბურთის ფლობა:** 67%-33%

**მაყურებელი:** 47 201

### საუთჰემპტონი-ჩელსი 2:1

**გოლები:** 1:0 როდრიგესი (23), 1:1 ტერი (33), 2:1 ლამბერტი (35)

**საუთჰემპტონი** (4-2-3-1): ბორუცი (46. კ. დევისი) – კლაინი, იოშიდა, ჰოიველდი, შოუ – კორკი, ს. დევისი (85. ფოქსი) – შნაიდერლინი, პანჩეონი (62. ვორდ-პრაუსი), ჯ. როდრიგესი - ლამბერტი

**ჩელსი** (4-2-3-1): ჩეხი – ასპილიკუეტა, ივანოვიჩი, ტერი, ბერტრანი – ლამპარდი, მიკელი (72. რამირესი) – ოსკარი (76. ბენაიუნი), მარინი (60. აზარი), მოზესი - ტორესი

**გაფრთხილება:** ლამბერტი, შნაიდერლინი - ტორესი

**კარში დარტყმა:** 9-6 (4-3) **კუთხური:** 7-7 **თამაშგარე:** 3-4 **ჯარიმა:** 12-8 **ბურთის ფლობა:** 40%-60%

**მაყურებელი:** 31 779

### სუონსი-ტოტენჰემი 1:2

**გოლები:** 0:1 ვერტონგენი (7), 0:2 ბეილი (21), 1:2 მიჩუ (71)

**სუონსი** (4-2-3-1): ვორმი – ბ. დევისი, უილიამსი, ჩიკო (67. მონკი), ტიენდალი – დე გუზმანი (57. კი), ბრიტონი – ერნანდესი (79. შეხტერი), რუტლეჯი, დაიერი - მიჩუ

**ტოტენჰემი** (4-2-3-1): ფრიდელი – უოლკერი, დოუსონი, ვერტონგენი, ნაუტონი – პარკერი, დემბელე – ლენინი, სიგურდსონი (76. ჰოლტბი), ბეილი – ადებაიორი (61. დეფო)

**გაფრთხილება:** მიჩუ, ბ. დევისი – ადებაიორი, უოლკერი, ჰოლტბი, პარკერი

**კარში დარტყმა:** 12-9 (4-7) **კუთხური:** 5-2 **თამაშგარე:** 4-0 **ჯარიმა:** 5-10 **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 20 604

### ვესტ ჰემი-ვესტ ბრომვიჩი 3:1

**გოლები:** 1:0 ე. კეროლი (16), 2:0 ონილი (28), 3:0 ე. კეროლი (80), 3:1 დორანსი (88-პენ)

**ვესტ ჰემი** (4-3-3): იასკელაინენი – ობრაიენი, კოლინსი, რიდი, დემელი (78. მაკარტნი) – ონილი, დიამე (82. კოლისონი), ნოლანი (69. მ. ტეილორი) – ვას ტე, ჯარვისი, ე. კეროლი

**ვესტ ბრომვიჩი** (4-4-2): ფოსტერი – მაკაული, რიჯუელი, ბ. ჯონსი, ოლსონი – დორანსი (88. ფორჩუნი), მულუმბუ, იაკობი (71. ოდემვინგე), ბრანტი – ლონგი (71. როსენბერგი), ლუკაკუ

**გაფრთხილება:** რიდი – ლონგი

**გაძევება:** - მულუმბუ (90+5)

**კარში დარტყმა:** 4-3 (1-2) **კუთხური:** 5-3 **თამაშგარე:** 3-2 **ჯარიმა:** 11-13 **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 34 966

### უიგანი-ნორვიჩი 1:0

**გოლი:** 1:0 კონე (81)

**უიგანი** (3-4-3): ჯოელი – შარნერი, ალკარასი, ფიგეროა – მაკარტი, გომესი, ბოისი, ბოსეჟური – მელონი, მაკმანამანი (67. მაკარტური), კონე (70. დი სანტო)

**ნორვიჩი** (4-4-1-1): კემპი – მარტინი, ტერნერი, ბასონგი, გარიდო – ბ. ჯონსონი, სნოდგრასი, ჰოუსონი (85. ტეტი), ე. ბენეტი – ჰულაჰანი (85. ბეკიო) – კამარა (80. ჰოლტი)

**გაფრთხილება:** შარნერი – ე. ბენეტი, ჰოლტი

**კარში დარტყმა:** 6-2 (1-0) **კუთხური:** 10-3 **თამაშგარე:** 0-3 **ჯარიმა:** 12-12 **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 17 784

### ევერტონი-სტოკი 1:0

**გოლი:** 1:0 მირალიაში (28)

**ევერტონი** (4-4-2): ჰოვარდი – იაგიელკა, ჰეიტინგა, დისტენი, ბეინსი – გიბსონი, ოსმანი, მირალიაში (80. ბერკლი), კოულმენი – ანიჩებე, იალავიჩი

**სტოკი** (4-4-2): ბეგოვიჩი – კემერონი (79. ადამი), შოუკროსი, ჰუთი, უილსონი – უელანი, ნზონზი, შოტონი, უოლტერსი – კრაუჩი (79. ჯონსი), ჯერომი

**გაფრთხილება:** ბერკლი – უელანი, შოუკროსი, შოტონი

**კარში დარტყმა:** 11-7 (6-3) **კუთხური:** 4-3 **თამაშგარე:** 1-2 **ჯარიმა:** 13-18 **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 33 977

### ასტონ ვილა-ლივერპული 1:2

**გოლები:** 1:0 ბენტეკე (31), 1:1 ჰენდერსონი (48), 1:2 ჯერარდი (60-პენ)

**ასტონ ვილა** (4-3-3): გუზანი – ლოუტონი, ვლაარი, ბეიკერი, ჯ. ბენეტი – ბენანი (62. დელფი), ვესტვუდი, სილა (77. ელ აჰმადი) – აგბონლაჰორი, ბენტეკე, ვაიმანი (63. ნზოგბია)

**ლივერპული** (4-2-3-1): რეინა – გ. ჯონსონი, კარაგერი, აგერი, ხ. ენრიკე – ლუკასი, ჰენდერსონი – დაუნინგი, ჯერარდი, კოუტინიო (77. სტერლინგი) - სუარესი

**გაფრთხილება:** ვესტვუდი - ჯერარდი

**კარში დარტყმა:** 7-12 (4-8) **კუთხური:** 7-8 **თამაშგარე:** 1-6 **ჯარიმა:** 10-9 **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 42 037

### 1 აპრილი

ფულჰემი-ქუინზ პარკი 23:00

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 30 | 25 | 2 | 3 | 70-31 | 77 |
| 2. სიტი | 30 | 18 | 8 | 4 | 55-26 | 62 |
| 3. ტოტენჰემი | 31 | 17 | 6 | 8 | 53-38 | 57 |
| 4. ჩელსი | 30 | 16 | 7 | 7 | 59-32 | 55 |
| 5. არსენალი | 30 | 15 | 8 | 7 | 59-33 | 53 |
| 6. ევერტონი | 30 | 13 | 12 | 5 | 47-35 | 51 |
| 7. ლივერპული | 31 | 13 | 9 | 9 | 59-40 | 48 |
| 8. ვესტ ბრომვიჩი | 31 | 13 | 5 | 13 | 41-41 | 44 |
| 9. სუონსი | 31 | 10 | 10 | 11 | 41-40 | 40 |
| 10. ფულჰემი | 29 | 9 | 9 | 11 | 40-44 | 36 |
| 11. ვესტ ჰემი | 30 | 10 | 6 | 14 | 35-44 | 36 |
| 12. საუთჰემპტონი | 31 | 8 | 10 | 13 | 44-53 | 34 |
| 13. სტოკ სიტი | 31 | 7 | 13 | 11 | 27-36 | 34 |
| 14. ნორვიჩი | 31 | 7 | 13 | 11 | 28-47 | 34 |
| 15. ნიუკასლი | 31 | 9 | 6 | 16 | 41-56 | 33 |
| 16. სანდერლენდი | 31 | 7 | 10 | 14 | 33-43 | 31 |
| 17. უიგანი | 30 | 8 | 6 | 16 | 36-56 | 30 |
| 18. ასტონ ვილა | 31 | 7 | 9 | 15 | 31-58 | 30 |
| 19. ქუინზ პარკი | 30 | 4 | 11 | 15 | 26-48 | 23 |
| 20. რედინგი | 31 | 5 | 8 | 18 | 36-61 | 23 |

**ბომბარდირები:** 22 - **ლუის სუარესი** (ლივერპული), 19 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), 17 - **გარეთ ბეილი** (ტოტენჰემი), 16 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი), 15 - **დემბა ბა** (ნიუკასლი/ჩელსი) 14 – **რიკი ლამბერტი** (საუთჰემპტონი)

### მომდევნო ტური

6 აპრილი: რედინგი-საუთჰემპტონი, ნიუკასლი-ფულჰემი, ნორვიჩი-სუონსი, სტოკი-ასტონ ვილა, ვესტ ბრომვიჩი-არსენალი

7 აპრილი: ლივერპული-ვესტ ჰემი, ტოტენჰემი-ევერტონი, ჩელსი-სანდერლენდი, ქუინზ პარკი-უიგანი, მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნაიტედი

### ჩემპიონშიპი. XXXIX ტური

**ბლექბერნი-ბლექპული 1:1**
გოლები: 0:1 მაკენზი (65), 1:1 როუდსი (80)

**უოტფორდი-ბარნლი 3:3**
გოლები: 0:1 ოსტინი (1), 1:1 დინი (6), 1:2 ოსტინი (23-პენ), 2:2 ფორესტიერი (29), 3:2 ფორესტიერი (72), 3:3 ვოუკსი (90)

**კრისტალ პალ-ბირმინგემი 0:4**
გოლები: 0:1 რედმონდი (24), 0:2 დელენეი (33-ს.კ-ში), 0:3 მორისონი (64), 0:4 ფერგიუსონი (69)

**დერბი-ბრისტოლ ს. 3:0**
გოლები: 1:0 ჰენდრიკი (36), 2:0 უორდი (54), 3:0 დევისი (90)

**ლესტერი-მილუოლი 0:1**
გოლი: 0:1 დანი (87)
გაძევება: მორგანი (3) -

**ჩარლტონი-ბოლტონი 3:2**
გოლები: 0:1 სორდელი (4), 0:2 მედო (20), 1:2 ჯექსონი (25), 2:2 დერვიტი (60), 3:2 კერმოგრანტი (63-პენ)
გაძევება: - რიკეტსი (58)

**იპსვიჩი-ლიდსი 3:0**
გოლები: 1:0 მაკგოლდრიკი (45), 2:0 მაკგოლდრიკი (49), 3:0 ემანუელ-ტომასი (68)
გაძევება: - ლისი (32)

**ნოტინგემი-ბრაიტონი 2:2**
გოლები: 0:1 ულოია (57), 1:1 მაკგუგანი (82), 1:2 ბაკლი (85), 2:2 ლენსბერი (90)

**პიტერბორო-კარდიფი 2:1**
გოლები: 0:1 გუნარსონი (23), 1:1 მაკანი (72-პენ), 2:1 მაკანი (79-პენ)

**შეფილდ უენ-ბარნსლი 2:1**
გოლები: 1:0 მედინი (65), 2:0 ჯონსონი (77), 2:1 ელანი (90)
გაძევება: ბაქსტონი (87, შეფილდი)

**ვულვზი-მიდლსბრო 3:2**
გოლები: 1:0 მაკმანუსი (17-ს.კ-ში), 1:1 ლიდბიტერი (25), 2:1 სიგურდარსონი (48), 2:2 ლიდბიტერი (52), 3:2 დოილი (70)

**ჰადერსფილდი-ჰალი 0:1**
გოლი: 0:1 ბოიდი (46)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარდიფი | 38 | 23 | 6 | 9 | 61-40 | 75 |
| 2. ჰალი | 39 | 22 | 5 | 12 | 56-45 | 71 |
| 3. უოტფორდი | 39 | 20 | 7 | 12 | 75-51 | 67 |
| 4. კრისტალ პალ. | 39 | 18 | 11 | 10 | 67-53 | 65 |
| 5. ნოტინგემი | 39 | 16 | 13 | 10 | 58-50 | 61 |
| 6. ბრაიტონი | 39 | 15 | 15 | 9 | 56-40 | 60 |
| 7. ლესტერი | 39 | 17 | 8 | 14 | 59-35 | 59 |
| 8. ბოლტონი | 39 | 14 | 12 | 13 | 57-53 | 54 |
| 9. მიდლსბრო | 39 | 17 | 3 | 19 | 57-61 | 54 |
| 10. ბირმინგემი | 39 | 13 | 13 | 13 | 54-59 | 52 |
| 11. ლიდსი | 39 | 14 | 10 | 15 | 49-57 | 52 |
| 12. დერბი | 39 | 13 | 12 | 14 | 57-54 | 51 |
| 13. ბარნლი | 39 | 13 | 11 | 15 | 53-54 | 50 |
| 14. ჩარლტონი | 39 | 13 | 11 | 15 | 49-54 | 50 |
| 15. მილუოლი | 37 | 14 | 8 | 15 | 47-52 | 50 |
| 16. იპსვიჩი | 39 | 13 | 10 | 16 | 39-55 | 49 |
| 17. ბლექპული | 39 | 11 | 14 | 14 | 54-53 | 47 |
| 18. ბლექბერნი | 38 | 11 | 14 | 13 | 46-49 | 47 |
| 19. ჰადერსფილდი | 39 | 12 | 11 | 16 | 40-65 | 47 |
| 20. შეფილდ უენ. | 38 | 13 | 7 | 18 | 43-53 | 46 |
| 21. პიტერბორო | 39 | 13 | 6 | 20 | 57-65 | 45 |
| 22. ვულვზი | 39 | 12 | 9 | 18 | 48-56 | 45 |
| 23. ბარნსლი | 38 | 12 | 8 | 18 | 48-60 | 44 |
| 24. ბრისტოლ ს. | 39 | 11 | 6 | 22 | 54-70 | 39 |

**ბომბარდირები:** 29 - **გლენ მარი** (კრისტალ პალასი), 24 – **ჩარლი ოსტინი** (ბარნლი), 22 - **ჯორდან როუდსი** (ბლექბერნი)

### ლიგა ერთი. XLI ტური

ბრენტფორდი-ნოთს ქაუნთი 2:1, ბერი-ქრიუ 2:2, კარლაისლი-შრიუსბერი 2:2, კოლჩესტრი-ბორნმუთი 0:1, ქოვენთრი-დონკასტერი 1:0, ქროული-სტივენეიჯი 1:1, ჰარტლპული-მილტონი 0:2, სკანტორპი-ლეიტონი 2:1, სუინდონი-ოლდჰემი 1:1, ტრანმერი-შეფილდ იუნ 0:1, იოვილი-უოლსოლი 0:0, პრესტონი-პორტსმუთი 1:1

### ლიგა ორი. XLI ტური

ბარნეტი-დაგენჰემი 0:0, ბრედფორდი-საუთენდი 2:2, ოქსფორდი-მორკემბი 1:1, პორტ ვეილი-ჩელტენჰემი 3:2, როჩდეილი-ალდერშოტი 1:1, როტერჰემი-უიმბლდონი 1:0, უოკომბი-აკრინგტონი 0:1, ნოტრჰემპტონი-ტორქი 1:0, პლიმუთი-ექსეტერი 1:0, ბრისტოლ რ-იორკი 0:0, ბარტონი-ჩესტერფილდი 0:1, ფლიტვუდი-ჯილინგემი 2:2

## ესპანეთი. ლა ლიგა. XXIX ტური



გასახდელიდან გამოჩენილ ერიკ აბიდალს „ბალაიდოსი" ფეხზე ამდგარი ოვაციებით შეხვდა

# ლეო მესის ჯადოსნური წრე

25 წლის არგენტინელმა ლიონელ მესიმ ისეთი რამ ჩაიდინა, რასაც ალბათ კარგა ხანს ვერავინ გაიმეორებს ასე მაღალ დონეზე - მან ზედიზედ 19 ტურში გაიტანა, გაუტანა ზედიზედ ყველა მეტოქეს ლა ლიგაში, რეკორდამდე რჩებოდა „სელტა" და არც თუ კარგად მოთამაშე მესიმ მაინც შეძლო გასროლა 73-ე წუთზე. ასე შეიკრა ჯადოსნური წრე, როგორც მას ესპანურმა პრესამ უწოდა.

## მალაგას საიდუმლო იარაღი

დორტმუნდის „ბორუსიას" მსტოვრები ალბათ გაოცებულნი ათვალიერებდნენ მატჩის განაცხადს, როცა „რაიო ვალეკანოსთან" საგარეო მატჩში **პედრო მორალესი** ამოიკითხეს, მათი გაოცება, და არა მარტო მათი, თამაშის შემდეგ უნდა გენახათ - 27 წლის ჩილელმა, რომელიც ზაგრების „დინამოდან" იჯარით (!) თამაშობს ანდალუსიურ კლუბში და პრიმერადივიზიონში პირველად (!) იყო სასტარტო შემადგენლობაში, გოლი და ორი საგოლე პასი მიითვალა, ერთხელ კიდევ მსაჯმა 100%-იანი პენალტი ვერ შეამჩნია მის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩილელმა, რომელსაც რამდენიმე თამაში ეროვნულ ნაკრებშიც აქვს გამართული, „მალაგას" ყველა საჯარიმო თუ კუთხური შეასრულა, ის დიდებულად აწოდებს (2 საგოლე პასიც ასე მიითვალა) და შორიდანაც ბრწყინვალედ ურტყამს (შესანიშნავი გოლი გაიტანა). მოკლედ, ძრწოდნენ გერმანელები, მანამდე კი ჩილელი ტურის ნამდვილი აღმოჩენაა. **მანუელ პელეგრინის** გუნდმა კი ერთობ შემტევ და სიმპათიურ „ელვებს" მისსავე მოედანზე **ველიგტონის, ჟულიო ბაპტიშტას** და მორალესის გოლების წყალობით 3:1 მოუგო და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაშიც სერიოზული განაცხადი გააკეთა.

**პაკო ხემესი** (რაიო ვალეკანო): *„ჩემი ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ დროა, მათ დაცვაში ასეთი შეცდომები აღარ დაუშვან".*

**მანუელ პელეგრინი** (მალაგა): *„ჩემი გუნდის ასეთი კარგი თამაში დიდად მახარებს, რაც შეეხება მორალესის თამაშს - დარწმუნებული ვიყავი, რომ ის გადამწყვეტი ფიგურა იქნებოდა მოედანზე".*

## აბიდალი სკამზე, ტიტო პარიზიდან

ვიგოში „ბარსას" სათადარიგოთა სკამზე არ იმყოფებოდა **ტიტო ვილანოვა** (ის პირველად პარიზში გამოჩნდება), მაგრამ სამაგიეროდ იყო სიმსივნესთან კიდევ ერთი მებრძოლი **ერიკ აბიდალი.** ფრანგს ამ შეხვედრაში არ უთამაშია, თუმცა მომავალ ტურში ალბათ ამასაც ვნახავთ. მანამდე კი **ჟორდი როურას** გუნდმა შერეული შემადგენლობით 2 ქულა დაკარგა - 2:2. ანგარიში **ნაჩო ინსამ** გახსნა, თუმცა ტაიმის მიწურულს **ლეო მესის** პასით **კრისტიან ტელიომ** ანგარიში გაათანაბრა. მეორე ტაიმში კი პირიქით მოხდა, მესის ისტორიულ გოლს **ბორხა ოუბინიამ** „სელტასთვის" ქულის მომტანი თავურით უპასუხა.

**აბელ რესინო** (სელტა): *„ყველაზე მეტად ჩემი გუნდის თამაშში ის მომეწონა, რომ მათ იოტისოდენა შიშიც კი ვერ შევატყვე „ბარსელონასი".*

**ჟორდი როურა** (ბარსელონა): *„შეტევების ინტენსივობა და კოლექტიური თამაში მოიკოჭლებდა, შედეგად მივიღეთ ფრე. მეტოქე ცუდ სიტუაციაშია და მათთვის ყოველი თამაში ფინალია, ეს უნდა გაგვეთვალისწინებინა".*

## რომ არა კრიშტიანო

„ბარსელონას" არც „რეალი" ჩამორჩა - „სამეფო კლუბმაც" შერეული შემადგენლობით ითამაშა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური ბატალიების წინ და მანაც 2 ქულა დაკარგა. „რეალი" აგებდა „სარაგოსასთან" და **კრიშტიანო რონალდოს** გოლის წყალობით, ქულა გადაარჩინა. მეორე ტაიმში საგოლე მომენტები ორივე კართან შეიქმნა. ერთ ეპიზოდში მსაჯი შეცდა, როცა **ელდერ პოშტიგაზე ესიენის** ჯარიმა ვერ შეამჩნია და „რეალის" კარში პენალტი არ დანიშნა.

**მანოლო ხიმენესი** (სარაგოსა): *„იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ვეთამაშეთ და მის კარში აშკარა პენალტი არ დაგვიდეს, ფრე პოზიტიურ შედეგად მიმაჩნია".*

**ჟოზე მოურინიო** (რეალი): *„სიმართლეს შეეფერება, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა თამაში და გოლების გატანას მოუკლეს, კრიშტიანო რონალდოს გარდა. ამიტომაც გაგვიჭირდა. დიეგო ლოპესი დიდებულად თამაშობს. ძალიან, ძალიან ძნელი იქნება მისი სასტარტო შემადგენლობიდან ამოგდება".*

## გარსიამ გაისროლა

შაბათის ბოლო მატჩი ვალენსიაში გაიმართა - „ლევანტემ" **რუბენ გარსიას** ერთადერთი გოლის წყალობით „სევილია" დაამარცხა და ცხრილში გადაასწრო. რუბენმა თავად მოიპოვა ბურთი მოედნის ცენტრში (**მადუროს** „მოპარა") და საკმაოდ შორი მანძილიდან გაიტანა.

**უნაი ემერი** (სევილია): *„ფრე უფრო სამართლიანი შედეგი იქნებოდა, თუმცა ჩვენ ამაზე უკეთ თამაში ნამდვილად გვმართებს".*

## 6-ქულიანები

კვირის მატჩებში პამპლონის „ოსასუნამ" ძალიან მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვა სტუმრად ვალიადოლიდში - 3:1. მატჩის გმირი ნავარელთა 27 წლის ფორვარდი **კიკე სოლა** იყო, რომელმაც დუბლი შეასრულა. ბოლოადგილოსანმა „დეპორტივომ" სტუმრად 6-ქულიანი და 5-გოლიანი თრილერი მოუგო „მალიორკას", ხოლო ბარსელონაში „ესპანიოლი" „რეალ სოსიედადს" დაუზავდა - 2:2.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### ვალეკანო-მალაგა 1:3

**გოლები:** 0:1 ველიგტონი (21), 1:1 პიტი (31-პენ), 1:2 ბაპტიშტა (55), 1:3 მორალესი (86)

**რაიო ვალეკანო (4-1-4-1):** კობენიო - ტიტო, გალვესი, ამატი, კასადო (78. ფ. ვასკესი) - ფუენგო - ლ. ბანგურა, ა. დომინგესი (73. ადრიანი), ხოსე კარლოსი (80. დელიბაშიჩი), პიტი - ლეო კარილიო.

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, ველიგტონი, ანტუნეში - ტულალანი, იტურა - ხოაკინი (76. პიაზონი), ისკო (71. პორტილიო), მორალესი - ბაპტიშტა (66. სანტა კრუსი).

**გაფრთხილება:** დომინგესი, გალვესი - კაბალიერო

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 14-5; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 15-12 (6-4); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 12 500

### სელტა-ბარსელონა 2:2

**გოლები:** 1:0 ინსა (38), 1:1 ტელიო (43), 1:2 მესი (73), 2:2 ოუბინია (88)

**სელტა (4-2-3-1):** ვარასი - ხონი, კაბრალი, დემიდოვი, ლაგო - ოუბინია, ინსა (80. მადინდა) - ა. ფერნანდესი, ორელიანა, პრანიჩი (68. დე ლუკასი) - პარკი (60. ბერმეხო).

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დ. ალვეში, ბარტრა, პიკე, მონტოია - ტ. ალკანტარა (64. ინიესტა), სონგი, ფაბრეგასი (83. ბუსკეტსი) - ტელიო, მესი, ა. სანჩესი (67. ვილია).

**გაფრთხილება:** კაბრალი, ოუბინია, ლაგო, ფერნანდესი - ფაბრეგასი, სანჩესი, ბუსკეტსი

**კუთხური:** 5-9; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 6-5; **კარში დარტყმა:** 8-8 (3-3); **ბურთის ფლობა:** 29%-71%.

**მაყურებელი:** 30 000

### სარაგოსა-რეალი 1:1

**გოლები:** 1:0 როდრი (6), 1:1 რონალდო (38)

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - სეპუნარუ, ლოოვენსი, ალვარო, აბრაამი - მოვილია, აპონიო (52. რომარიკი) - ე. ორიოლი (83. ვილჩესი), როდრი (62. ვ. როდრიგესი), მონტანიესი - პოშტიგა.

**რეალი (4-2-3-1):** დ. ლოპესი - არბელოა (60. ხედირა), პეპე, ს. რამოსი, მარსელო - ესიენი, მოდრიჩი - კალეხონი (60. დი მარია), კაკა (61. იოზილი), რონალდო - იგუაინი.

**გაფრთხილება:** ლოოვენსი, როდრი, ალვარო - მოდრიჩი, არბელოა, რამოსი

**კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 17-13; **თამაშგარე:** 0-10; **კარში დარტყმა:** 12-16 (5-6); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 28 000

### ლევანტე-სევილია 1:0

**გოლი:** 1:0 რუბენ გარსია (40)

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ლელი, ვინტრა, დ. ნავარო, ხუანფრანი - იბორა, დიოპი - რიოსი (89. როდასი), მიჩელი (77. ხუანლუ), რუბენ გარსია - აკვაფრესკა (84. როხერი).

**სევილია (4-2-3-1):** ბეტო - კოკე (70. სისინიო), ფასიო, ფ. ნავარო, მორენო - მადურო (46. მედელი), კონდობია (54. ბ. დიავარა) - ხესუს ნავასი, რაკიტიჩი, რეიესი - ნეგრედო.

**გაფრთხილება:** ვინტრა, ნავარო, რიოსი, გარსია - ნავარო, ნავასი, ნეგრედო

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 17-20 (4-5); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 20 500

### ვალიადოლიდი-ოსასუნა 1:3

**გოლები:** 1:0 რუბენი (11 ს.კ.), 1:1 კიკე სოლა (50), 1:2 კიკე სოლა (60), 1:3 დე ლას კუევასი (69)

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** დ. ერნანდესი - რუკავინა, რუედა, ვალიენტე, ბალენსიაგა - რუბიო, სასტრე - ებერტი (71. რამა), ოსკარი, ბუენო (59. ომარი) - მანუჩო (73. გერა).

**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - ბერტრანი, რუბენი, არიბასი (47. პუნიალი), დამია (46. ოიერი) - ლოლო, ფ. სილვა - არმენტეროსი, ნინო, დე ლას კუევასი (80. სეხუდო) - კიკე სოლა.

**გაფრთხილება:** რუედა - დე ლას კუევასი

**კუთხური:** 11-7; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 7-4; **კარში დარტყმა:** 9-12 (2-7); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 20 000

### მალიორკა-დეპორტივო 2:3

**გოლები:** 1:0 ვიქტორი (20), 1:1 სილვიო (27), 1:2 მარჩენა (48), 1:3 რიკი (60), 2:3 ნსუე (88)

**მალიორკა (4-3-3):** ავატე - ჰატონი, ჟერომელი, ნუნიეში, ლუნა - ტისონე (76. ხ. მარკესი), მარტი (56. ჰემედი), პინა - ალფარო, ვიქტორი (56. ნსუე), ჯოვ. დოს სანტოსი.

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - მ. პაბლო, აიტამი, მარჩენა, სილვიო - აგილარი, ხ. დომინგესი - გამა (73. სალომაო), ვალერონი (88. ზე კაშტრო), პიცი - რიკი (79. ოლივეირა).

**გაფრთხილება:** მარტი, პინა, ჟერომელი - მარჩენა, არანსუბია

**კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 12-6; **თამაშგარე:** 7-3; **კარში დარტყმა:** 20-14 (5-9); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 14 700

### ესპანიოლი-სოსიედადი 2:2

**გოლები:** 1:0 ს. გარსია (9), 1:1 ზურუტუზა (24), 2:1 სტუანი (38), 2:2 ხ. ლოპესი (76 ს.კ.)

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - ხ. ლოპესი, კოლოტო, მორენო, ვ. ალვარესი (70. რ. როდრიგესი) - ვ. სანჩესი, ფორლინი - სტუანი, ვერდიუ (83. ბაენა), სიმაო (80. პეტროვი) - ს. გარსია.

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ზუბიკარაი - კ. მარტინესი, მ. გონსალესი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - ბერგარა (63. იფრანი), ილარამენდი (73. პარდო) - ჩაბი პრიეტო, ზურუტუზა, გრიზმანი - აგირეჩე.

**გაფრთხილება:** ფორლინი, სანჩესი - ი. მარტინესი, აგირეჩე, გონსალესი, დე ლა ბელა

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 18-18; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 7-15 (4-4); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 27 500

### ატლეტიკო-ვალენსია 1:1

**გოლები:** 0:1 ჟონასი (5), 1:1 ფალკაო (6)

**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - მანკილიო, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - კოკე, მ. სუარესი, გაბი, არდა თურანი (26. რაულ გარსია) - ფალკაო, დ. კოშტა

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ჟ. პერეირა, რ. კოშტა, მატიო, გუარდადო - პარეხო, ტინო კოსტა - პიატი (83. ვიერა), ბანეგა (66. კანალესი), ჟონასი - ვალდესი (64. სისოკო).

**გაფრთხილება:** კოშტა, კოკე, ფილიპე ლუიში - პარეხო, პიატი, პერეირა

**კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 21-8; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 9-15 (4-3); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 49 000

### 1 აპრილი

| | |
|---|---|
| ბილბაო-გრანადა | 22:00 |
| ბეტისი-ხეტაფე | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 29 | 24 | 3 | 2 | 90-33 | 75 |
| 2. რეალი | 29 | 19 | 5 | 5 | 72-28 | 62 |
| 3. ატლეტიკო | 29 | 19 | 4 | 6 | 51-25 | 61 |
| 4. სოსიედადი | 29 | 13 | 9 | 7 | 51-37 | 48 |
| 5. მალაგა | 29 | 13 | 8 | 8 | 41-28 | 47 |
| 6. ვალენსია | 29 | 13 | 7 | 9 | 42-41 | 46 |
| 7. ბეტისი | 28 | 13 | 4 | 11 | 39-42 | 43 |
| 8. ხეტაფე | 28 | 12 | 6 | 10 | 38-44 | 42 |
| 9. ვალეკანო | 29 | 13 | 2 | 14 | 38-49 | 41 |
| 10. ლევანტე | 29 | 11 | 7 | 11 | 34-41 | 40 |
| 11. სევილია | 29 | 11 | 5 | 13 | 43-41 | 38 |
| 12. ესპანიოლი | 29 | 9 | 9 | 11 | 35-39 | 36 |
| 13. ვალიადოლიდი | 29 | 9 | 8 | 12 | 37-41 | 35 |
| 14. ბილბაო | 28 | 9 | 5 | 14 | 32-51 | 32 |
| 15. ოსასუნა | 29 | 8 | 7 | 14 | 26-33 | 31 |
| 16. გრანადა | 28 | 7 | 7 | 14 | 26-39 | 28 |
| 17. სარაგოსა | 29 | 7 | 6 | 16 | 26-43 | 27 |
| 18. სელტა | 29 | 6 | 6 | 17 | 29-43 | 24 |
| 19. მალიორკა | 29 | 6 | 6 | 17 | 32-58 | 24 |
| 20. დეპორტივო | 29 | 5 | 8 | 16 | 35-61 | 23 |

**ბომბარდირები:** 43 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 28 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 22 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 15 - ალვარო ნეგრედო (სევილია); 14 - რობერტო სოლდადო (ვალენსია).

### მომდევნო ტური

5 აპრილი: გრანადა-ბეტისი.

6 აპრილი: რეალ სოსიედადი-მალაგა, რეალი-ლევანტე, დეპორტივო-სარაგოსა, ბარსელონა-მალიორკა.

7 აპრილი: სელტა-რაიო ვალეკანო, ოსასუნა-ესპანიოლი, ხეტაფე-ატლეტიკო, ვალენსია-ვალიადოლიდი.

8 აპრილი: სევილია-ბილბაო.

## სეგუნდა დივიზიონი. XXXII ტური

**ლას პალმასი-გვადალახარა 0:1**

**გოლი:** 0:1 ხუანხო (48)

**ლუგო-ხერესი 4:0**

**გოლები:** 1:0 აირამი (5), 2:0 აირამი (8), 3:0 აირამი (64), 4:0 გალანი (84. ს.კ)

**სპორტინგი-რეალი II 1:0**

**გოლი:** 1:0 კანელია (40)

**კორდობა-საბადელი 3:0**

**გოლები:** 1:0 ფუენტასი (44), 2:0 ფედე (73), 3:0 ჩისკო (76)

**ერკულესი-პონფერადინა 1:1**

**გოლები:** 0:1 ფონსეკა (5), 1:1 ედუ ბედია (37)

**გაძევება:** როსასი (66. ერკულესი), პენია (81. ერკულესი)

**უესკა-ალმერია 1:2**

**გოლები:** 0:1 ვიდალი (31), 0:2 კ. ფერნანდესი (59), 1:2 პაჩეკო (72)

**რასინგი-ელჩე 0:0**

**მირანდესი-ვილიარეალი 1:5**

**გოლები:** 1:0 მუნეტა, 1:1 კანედა (34 ს.კ.), 1:2 კანი (37), 1:3 პერბე (52), 1:4 ხ. პერეირა (83), 1:5 ხ. პერეირა (89)

**უელვა-ბარსელონა II 2:0**

**გოლები:** 1:0 ჩული (10), 2:0 ბეროკალი (64)

**მურსია-ალკორკონი 1:1**

**გოლები:** 1:0 ბერხონი (18), 1:1 ხული (33)

**ნუმანსია-ჟირონა 2:1**

**გოლები:** 1:0 ნაგორე (2), 1:1 ხოსე (49), 2:1 რეგალონი (62)

**გაძევება:** ხაიო (54. ნუმანსია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ელჩე | 32 | 20 | 8 | 4 | 43-18 | 68 |
| 2. ალკორკონი | 32 | 17 | 5 | 10 | 45-39 | 56 |
| 3. ალმერია | 32 | 16 | 7 | 9 | 55-39 | 55 |
| 4. ვილიარეალი | 32 | 14 | 12 | 6 | 44-29 | 54 |
| 5. ჟირონა | 32 | 16 | 6 | 10 | 55-41 | 54 |
| 6. ლას პალმასი | 32 | 14 | 9 | 9 | 52-44 | 51 |
| 7. პონფერადინა | 32 | 15 | 4 | 13 | 46-43 | 49 |
| 8. კორდობა | 32 | 13 | 8 | 11 | 42-38 | 47 |
| 9. ბარსელონა II | 32 | 13 | 7 | 12 | 66-58 | 46 |
| 10. სპორტინგი | 32 | 12 | 10 | 10 | 45-39 | 46 |
| 11. ლუგო | 32 | 13 | 7 | 12 | 35-37 | 46 |
| 12. ნუმანსია | 32 | 11 | 12 | 9 | 39-35 | 45 |
| 13. უელვა | 32 | 13 | 5 | 14 | 40-47 | 44 |
| 14. საბადელი | 32 | 12 | 7 | 13 | 43-49 | 43 |
| 15. რეალი II | 32 | 11 | 5 | 16 | 52-52 | 38 |
| 16. გვადალახარა | 32 | 9 | 11 | 12 | 35-40 | 38 |
| 17. მურსია | 32 | 9 | 8 | 15 | 33-41 | 35 |
| 18. მირანდესი | 32 | 8 | 10 | 14 | 24-40 | 34 |
| 19. ერკულესი | 32 | 8 | 9 | 15 | 34-44 | 33 |
| 20. უესკა | 32 | 8 | 8 | 16 | 32-42 | 32 |
| 21. რასინგი | 32 | 8 | 8 | 16 | 27-43 | 32 |
| 22. ხერესი | 32 | 5 | 8 | 19 | 25-54 | 23 |

**ბომბარდირები:** 19 - შარლესი (ალმერია); 18 - დეულოფეუ (ბარსელონა II).

## პორტუგალია

### ლიგა საგრეში. XXIV ტური

**ფერეირა-ჟილ ვისენტე 3:2**

**გოლები:** 1:0 ჟოზე (14-პენ), 1:1 ვიეირა (24), 2:1 ვიტორი (35), 3:1 ჟოზე (55), 3:2 იერო (81)

**გაძევება:** ვიეირა (27. ჟილ ვისენტე)

**სეტუბალი-მარიტიმუ 2:4**

**გოლები:** 0:1 არტური (7), 0:2 ელდონი (26), 0:3 სუკი (37), 0:4 სამი (58), 1:4 ჟ. პედრო (80), 2:4 ტავარეში (84)

**მორეირენშე-ეშტორილი 1:1**

**გოლები:** 1:0 ლილასი (8), 1:1 ტ. ტეილორი (96)

**გაძევება:** ვიტორია (94. ეშტორილი)

**ბეირა მარი-ოლანენშე 0:1**

**გოლი:** 0:1 ვიეირა დე სოუზა (81)

**აკადემიკა-პორტუ 0:3**

**გოლები:** 0:1 მანგალა (16), 0:2 დანილო (52), 0:3 ა. კაშტრო (89)

**ბენფიკა-რიუ ავე 6:1**

**გოლები:** 1:0 მელგარეჟო (11), 2:0 მატიჩი (15), 3:0 ლიმა (42), 4:0 ლიმა (49), 4:1 ჰასანი (51), 5:1 ლიმა (76), 6:1 ე. პერესი (82)

**გაძევება:** ვირეში (60. რიუ ავე), ედიმარი (72. რიუ ავე), მელგარეჟო (90. ბენფიკა)

### 1 აპრილი

| | |
|---|---|
| ნასიონალი-გიმარაეში | 21:15 |
| ბრაგა-სპორტინგი | 23:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 24 | 20 | 4 | 0 | 66-15 | 64 |
| 2. პორტუ | 24 | 18 | 6 | 0 | 55-11 | 60 |
| 3. ფერეირა | 24 | 12 | 9 | 3 | 35-22 | 45 |
| 4. ბრაგა | 23 | 13 | 4 | 6 | 50-31 | 43 |
| 5. მარიტიმუ | 24 | 8 | 9 | 7 | 28-36 | 33 |
| 6. ეშტორილი | 24 | 9 | 5 | 10 | 35-32 | 32 |
| 7. რიუ ავე | 24 | 8 | 6 | 10 | 27-36 | 30 |
| 8. გიმარაეში | 23 | 8 | 6 | 9 | 26-38 | 30 |
| 9. ნასიონალი | 23 | 7 | 7 | 9 | 34-38 | 28 |
| 10. სპორტინგი | 23 | 6 | 9 | 8 | 23-27 | 27 |
| 11. სეტუბალი | 24 | 6 | 5 | 13 | 27-47 | 23 |
| 12. აკადემიკა | 24 | 4 | 9 | 11 | 28-39 | 21 |
| 13. ოლანენშე | 24 | 4 | 9 | 11 | 24-35 | 21 |
| 14. მორეირენშე | 24 | 4 | 9 | 11 | 23-37 | 21 |
| 15. ჟილ ვისენტე | 24 | 4 | 7 | 13 | 24-44 | 19 |
| 16. ბეირა მარი | 24 | 3 | 8 | 13 | 26-43 | 17 |

**ბომბარდირები:** 23 - ჯ. მარტინესი (პორტუ); 16 - ო. კარდოსო (ბენფიკა), 15 - ლიმა (ბენფიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A XXX ტური

# ტურინული ვენდეტა მილანში

## 2:1, რომელიც 9:2-ს სჯობია

**სერია A-ს მიმდინარე გათამაშების დასრულებამდე 8 ტური დარჩენილი, ტურინის „იუვენტუსი" კი უახლოეს მდევარს მთელი 9 ქულით უსწრებს. „ვეკია სენიორა" შესანიშნავად ასპარეზობს და ფაქტობრივად წარმოუდგენელია, რომ დარჩენილ ტურებში ფორა გაანიავოს. თუ სადმე უნდა დაეკარგა „იუვეს" ქულები, „ჯუზეპე მეაცაზე", მაგრამ არა – ანტონიო კონტეს გუნდმა კიდევ ერთი, დიდი ნაბიჯი გადადგა სკუდეტოსკენ.**

### დიდი იტალიური დერბი

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ თუ სადმე უნდა დაეკარგა „იუვეს" ქულები, პირველ რიგში „ინტერთან" გასვლით შეხვედრაში. არა იმიტომ, რომ „ნერაძურია" კარგ ფორმაში, უბრალოდ „იუვეს" უნდა დაეზოგა ძალები „ბაიერნთან" მოახლოებული მატჩის წინ, რის გამოც ბევრი უპირატესობას მასპინძელს ანიჭებდა. ვინც შეხვედრას თვალი ადევნა, შეექმნებოდა შთაბეჭდილება რომ „ბიანკონერიმ" დაზოგა კიდეც ძალები და ისე თად შემადგენლობაში გაამწესა. ანუ, დაცვაში ყველაფერი რიგზე იყო, ისევე როგორც სხვა რგოლებში. კარგად გაისარჯნენ ფორვარდებიც – კვალიარელას მეწყვილე **ალესანდრო მატრი** გახლდათ, რომელმაც თავისი სიტყვა ანტრაქტის შემდეგ თქვა.

მეორე ნახევარში სტრამაჩონიმ ცვლილებებს მიმართა და თამაშში გუარინი-კამბიასოს დუეტი ჩართო. ამან აშკარად გამოაცოცხლა „ინტერის" წინა ხაზი და სულ მალე, საპასუხო გოლიც ვიხილეთ. ანტონიო კასანომ როდრიგო პალასიო შესანიშნავი პასით მოძებნა, ეს უკანასკნელი კი მეკარესთან პირისპირ გავიდა და ბურთის ბადეში შეგორება აღარ გასჭირვებია, 1:1.

მილანელებს სიხარული დიდ ხანს არ დასცალდათ, რადგან გოლიდან 5-6 წუთში ტურინელებმა კიდევ ერთი გაიტანეს. ამჯერად, ფაბიო კვალიარელა ასისტენტის როლში მოგვევლინა, მისი პასი კი გოლად ალესანდრო მატრიმ აქცია, 1:2. დარჩენილ დროში, მასპინძლები უხეიროდ უტევდნენ, ტურინელები კი მშვიდად იცავდნენ თავს. საფინალო სასტვენის წინ, **ესტებან კამბიასოს** ნერვებმა უმტყუნა, არგენტინელი **სებასტიან ჯოვინკოს** ეცა და განზრახ ვარდნაში კოჭებში უთავაზა. ეს იყო საზარელი ეპიზოდი, რომელმაც თვით მილანელ გულშემატკივართა აღშფოთება გამოიწვია. ჯოვინკო უმძიმეს ტრავმას გადაურჩა, რაც კოჭის დამცავის დამსახურებაა. ნამატჩევს, ესტებან კამბიასო მეტოქის გასახდელში შევიდა და ჯოვინკოს ბოდიში მოუხადა, რაც ტურინელთა მწვრთნელმა **ანტონიო კონტემ** მოიწონა.

**ანტონიო კონტე (იუვენტუსი):** *„მაღალ დონეზე ვითამაშეთ და სრულიად დამსახურებულად გავიმარჯვეთ. სკუდეტოზე ფიქრი ჯერ ადრეა, რადგან წინ კიდევ არაერთი ტურია. ეს არ იყო ჩვენი მაქსიმუმი, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც მივაღწიეთ. დროა „ბაიერთან" შეხვედრაზე გადავერთოთ, წინ სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი ჯახია. ესტებან კამბიასოს აშკარად ზედმეტი მოუვიდა, მაგრამ მთავარია, რომ შეცდომა აღიარა, გასახდელში შემოვიდა და ბოდიში მოიხადა. მითამაშია ესტებანის წინააღმდეგ და ვიცი, რომ ძალიან კარგი ადამიანი და ბრწყინვალე სპორტსმენია. მადლობა ღმერთს, ჯოვინკო ტრავმას გადაურჩა".*

**ანდრეა სტრამაჩონი (ინტერი):** *„პირველი ტაიმი ცუდად ჩავატარეთ, მეორეში კი მკვეთრად მოვუმატეთ და ალბათ, ფრეს ვიმსახურებდით. შედეგი უარყოფითია, მაგრამ მთლიანობაში, გუნდის თამაშით მაინც კმაყოფილი ვარ. მიზანი უცვლელია - ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება გვსურს და ვფიქრობ, მიზნის მიღწევა ჯერ კიდევ შეგვიძლია".*

### ბრძოლა მეორე ადგილისთვის

როგორც ვივარაუდეთ, „მილანს" და „ნაპოლის" ძალიან გაუჭირდათ, მაგრამ სამ-სამი ქულა მაინც მოიპოვეს. **მასიმილიანო ალეგრის** გუნდი ვერონაში ჩავიდა, სადაც „კიევოს" ერთი უპასუხო ბურთი გაუტანა და შინ სამი ქულით ხელდამშვენებული დაბრუნდა. ერთადერთი და გამარჯვების გოლი **რიკარდო მონტოლივოს** ანგარიშზეა, რომელმაც **მარიო ბალოტელის** საჯარიმო დარტყმის შემდეგ მეკარის მიერ უკუგდებულ ბურთს დაამატა. „მილანს" კიდევ ჰქონდა მომენტები, მაგრამ არც „კიევო" იდგა ყრუ დაცვაში. საბოლოოდ, 1:0 „როსონერის" სასარგებლოდ, რამაც ლომბარდიული გრანდი კიდევ უფრო დაახლოვა ჩემპიონთა ლიგის ზონას.

დიდი ამბები იყო ტურინში, სადაც „ნაპოლი" ჩავიდა და „ტორინო" დაამარცხა, 5:3. ოლიმპიურ სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები რომ არ მოიწყენდნენ, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს და როგორც ნამატჩევს **ვალტერ მაცარიმ** აღნიშნა, ამ საოცარმა თამაშმა რაღაც პერიოდი ისიც რიგით გულშემატკივრად აქცია. ნეაპოლელთა შორის ჰეთთრიკი **ბლერიმ ჯემაილმა** შეასრულა, რომელმაც საკუთარ თავში **ედინსონ კავანი** აღმოაჩინა და „ტორინოს" სულ ნაირ-ნაირი გოლები უტანა. ორიც ხსენებულმა კავანიმ შეაგდო, რომელიც 65-ე წუთზე **ლორენცო ინსინიეს** ნაცვლად ჩაერთო თამაშში. ტურინელებმაც ეფექტური გოლები გაიტანეს, თამაშის სცენარი კი ისეთი გახლდათ, თქვენი მოწონებული. „ნაპოლიმ" უმნიშვნელოვანესი ქულები ჩაიწერა აქტივში, ვალტერ მაცარიმ კი ორივე გუნდი ქებით ცაში აიყვანა:

*„ფანტასტიკური თამაში იყო, რომელიც საბედნიეროდ ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. ვფიქრობ, თვით „ტორინოს" გულშემატკივრებმაც ისიამოვნეს, რადგან გუნდებმა ნამდვილი საფეხბურთო სპექტაკლი დადგეს. ერთი ხანობა, ისიც კი მიმავიწყდა რომ მწვრთნელი ვარ და ქომაგად ვიქეცი. მოკლედ, ბრავო ორივე გუნდს, თუმცა მოგებას ჩვენ ვიმსახურებდით".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



კვალიარელა გოლის შემდეგ

მოუგო მილანურ გრანდს. ეს არ იყო „იუვეს" მაქსიმუმი, რაც მატჩის შემდგომ თვით **ანტონიო კონტემ** განაცხადა. მოკლედ, „ვეკია სენიორამ" დახარჯა იმდენი ენერგია, რამდენიც სჭირდებოდა და როგორც ნამატჩევს „კორიერეში" დაიწერა – ეს იყო 2:1, რომელიც „ბაიერნის" 9:2-ს სჯობია – ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „იუვემ" იტალიური დერბი მოიგო.

თამაში ხეირიანად დაწყებული არ იყო, როდესაც **ფაბიო კვალიარელამ** ბურთი საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო, უძლიერესად დაარტყა და **სამირ ჰანდანოვიჩის** კარი დალაშქრა, 0:1. გოლი მართლაც ფანტასტიკური გამოვიდა, რაც ფაბიოსაგან ნამდვილად არ გვიკვირს. ამის შემდეგ, მილანელები გააქტიურდნენ, მაგრამ მათ შეტევებს სიმწვავე აკლდა. გამთამაშებლად გამწესებული **რიკი ალვარესი** აშკარად ვერ ართმევდა მოვალეობებს თავს და თავდამსხმელებს, **როდრიგო პალასიოს** და **ანტონიო კასანოს** ხშირად საკუთარ ნახევარზეც კი უწევდათ ჩასვლა ბურთის მისაღებად. **ანდრეა სტრამაჩონიმ** თადარიგში დატოვა **ფრედი გუარინი** და **ესტებან კამბიასო**, რამაც „ინტერის" შუა ხაზი თითქოს კიდევ უფრო გაალარიბა.

რაც შეეხება „იუვენტუსს", ყველაფერი საათივით გახლდათ აწყობილი. ანტონიო კონტემ გარისკა და ტრავმამოშუშებული **ჯორჯო კიელინი** ძირი-

### ატალანტა-სამპდორია 0:0

**ატალანტა (4-4-2):** კონსილი – კანინი, სტენდარდო, ლუკინი, დელ გროსო (68. ბრივიო) – რაიმონდი, ბიონდინი, ჩიგარინი, ბონავენტურა (82. კონტინი) – მორალესი (69. ბრიენცა), დენისი.

**სამპდორია (3-5-2):** რომერო – მუსტაფი, პალომბო, გასტალდელო - დე სილვესტრი, კრსტიჩიჩი, ობიანგი, პოლი, ბერარდი (89. ესტიგარიბია) – ედერი (72. სანსონე), იკარდი.

**გაფრთხილება:** კონსილი – კრსტიჩიჩი, ბერარდი, ედერი.

გაძევება: ლუკინი (70. ატალანტა).

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 11-20; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 8-7(2-1); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 14 000

### კალიარი-ფიორენტინა 2:1

**გოლები:** 1:0 პინილია (11), 2:0 პინილია (39-პენ.), 2:1 კუადრადო (74).

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი – პიზანო, როსეტინი, ასტორი, მურუ – ეკდალი (46. დესენა), ნაინგოლანი, კონტი (73. კაბრერა) – კოსუ – პინილია (68. იბარბო), საუ.

**ფიორენტინა (4-3-3):** ვივიანო – რონკალია, გონსალო, სავიჩი, პასკუალი - პისარო, აკვილანი, მილიაჩო (63. ფერნანდესი) – ლიაიჩი (46. ტონი), იოვეტიჩი (31. ლარონდო), კუადრადო.

**გაფრთხილება:** პიზანო, კოსუ, დესენა – გონსალო, კუადრადო.

**კუთხური:** 5-10; **ჯარიმა:** 13-18; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 7-11(5-3); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 15 000

### ჯენოა-სიენა 2:2

**გოლები:** 1:0 ბორიელო (6), 1:1 ემეგარა (43), 1:2 როზინა (52-პენ.), 2:2 იანკოვიჩი (71).

**ჯენოა (3-5-1-1):** ფრეი – ბოვო (74. გრანკვისტი), პორტანოვა, მანფრედინი – იანკოვიჩი, კუჩკა, მათუზალემი (90. მ. რიგონი), ანტონელი, მორეტი (56. იმობილე) – ხორკერა – ბორიელო.

**სიენა (3-4-2-1):** პეგოლო – პაჩი, ტერლიცი, ფელიპე – ანჯელო, დელა როკა, რუბინი, კალელო (86. ბოლცონი) – სესტუ (63. რეჯინალდო), როზინა (68. ვერგასოლა) – ემეგარა.

**გაფრთხილება:** ბოვო, მანფრედინი, მათუზალემი, მორეტი, ხორკერა, ბორიელო – ფელიპე, დელა როკა.

**კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 15-17; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 12-4(8-3); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 20 000

### ინტერი-იუვენტუსი 1:2

**გოლები:** 0:1 კვალიარელა (3), 1:1 პალასიო (54), 1:2 მატრი (60).

**ინტერი (3-4-1-2):** ჰანდანოვიჩი – რანოკია (66. კამბიასო), სამუელი, კივუ – პერეირა, ძანეტი, გარგანო (79. როკი), კოვაჩიჩი – ალვარესი (46. გუარინი) – პალასიო, კასანო.

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი – ბარცალი, ბონუჩი, კიელინი – პადოინი, პირლო, ვიდალი, მარკიზიო, ასამოა (64. პელუზო) – კვალიარელა (83. ჯოვინკო), მატრი (74. პოგბა).

**გაფრთხილება:** რანოკია, გარგანო, პერეირა – ბარცალი, კიელინი.

**გაძევება:** კამბიასო (90. ინტერი).

**კუთხური:** 11-3; **ჯარიმა:** 10-18; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 10-9(6-5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 80 000

### ლაციო-კატანია 2:1

**გოლები:** 0:1 ისკო (50), 1:1 ლეგროტალიე (79-საკ. კარში), 2:1 კანდრევა (81-პენ.).

**ლაციო (3-5-1-1):** მარკეტი – ცანა, ბიავა, რადუ – ონაზი (64. ედერსონი), გონსალესი, ლედესმა, ლულიჩი, ერნანესი (75. კლოზე) - კანდრევა – საა (63. კოზაკი).

**კატანია (4-3-3):** ანდუხარი – ალვარესი, ლეგროტალიე, ბელუში, მარკეზე – ბიაჯანტი (86. დუკარა), ლოდი, ისკო - ბერგესიო, ბარიენტოსი, გომესი (78. კასტრო).

**გაფრთხილება:** მარკეტი, ლედესმა – მარკეზე, ლოდი, ბარიენტოსი.

**კუთხური:** 16-5; **ჯარიმა:** 21-11; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 13-4(5-1); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 31 000

### პალერმო-რომა 2:0

**გოლები:** 1:0 ილიჩიჩი (21), 2:0 მიკოლი (35).

**პალერმო (3-5-2):** სორენტინო – ფონ ბერგენი, მუნიოსი, არონიკა – მორგანელა, ბარეტო (80. ფაურლინი), კურტიჩი, დონატი, დოსენა (60. გარსია) – ილიჩიჩი, მიკოლი (52. დიბალა).

**რომა (3-4-1-2):** სტეკელენბურგი – პირისი (73. ტოროსიდისი), ბურდისო, კასტანი – პანაიოტისი (46. პიანიჩი), პეროტა (73. ოსვალდო), დე როსი, მარკინიო – ფლორენცი - ლამელა, ტოტი.

**გაფრთხილება:** მუნიოსი, ილიჩიჩი – პირისი, ოსვალდო.

**კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 10-13; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 14-17(4-8); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 17 000

### პარმა-პესკარა 3:0

**გოლები:** 1:0 ბენალოუანე (18), 2:0 პალეტა (52), 3:0 ამაური (65).

**პარმა (4-4-3):** მირანტე – ბენალოუანე (68. სანტაკროჩე), ლუკარელი, პალეტა, გობი - ნინისი, პაროლო, მარკიონი – სანსონე, ბიაბიანი (83. ბონიპერტი), ამაური (76. ჩერი).

**პესკარა (4-3-3):** პელიცოლი – ძაური, კროლდრუპი, არსე, ბოკეტი – ბარნასონი (57. სელიკი), კაშონე, დაგოსტინო – კაპრარი (86. დი ფრანჩესკო), აბრუსკატო (64. სფორცინი), სკული.

**გაფრთხილება:** ნინისი - სელიკი.

**კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 11-18; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 18-4(8-1); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 10 000

### უდინეზე-ბოლონია 0:0

**უდინეზე (3-4-2-1):** ბრკიჩი – ბენეტია, დანილო, დომიცი – ბასტა, ლაძარი (78. მერკელი), ალანი, გაბრიელ სილვა (72. პასკუალე), პერეირა – მაიკოსუელი (60. მურიელი) – დი ნატალე.

**ბოლონია (4-3-1-2):** კურჩი – კერუბინი, ანტონსონი, მოტა, მორლეო - კონე, პაციენცა (55. კრჰინი), ტაიდერი – ხრისტოდოლოპულოსი (69. გუარენტე) – გაბიადინი (81. პასკუატო), ჯილარდინო.

**გაფრთხილება:** დომიცი – მოტა, ანტონსონი, კონე, პაციენცა, ხრისტოდოლოპულოსი.

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 20-19; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 10-6(5-1); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 17 000

### კიევო-მილანი 0:1

**გოლი:** 0:1 მონტოლივო (25).

**კიევო (5-3-2):** პუჯონი – ფრეი (63. ლუსიანო), ცეზარი, ანდრეოლი, დაინელი, დრამე, - ლ. რიგონი, გუანა (46. სტოიანი), კოფიე – თერეუ, პალოსკი (73. პელისიერი).

**მილანი (4-3-3):** აბიატი – აბატე, მექსე, ბონერა, დე შილიო - მონტოლივო, ამბროზინი, მუნტარი - ელ შაარავი, რობინიო (84. ნიანგი), ბალოტელი.

**გაფრთხილება:** ანდრეოლი, ცეზარი, დრამე, კოფიე - ბალოტელი.

გაძევება: დაინელი (78. კიევო).

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 11-17; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 5-11(2-9); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 20 000

### ტორინო-ნაპოლი 3:5

**გოლები:** 0:1 ჯემაილი (10), 1:1 ბარეტო (30), 1:2 ჯემაილი (47), 2:2 ჯონატასი (74-პენ.), 3:2 მეჯორინი (78), 3:3 ჯემაილი (80), 3:4 კავანი (84), 3:5 კავანი (90).

**ტორინო (4-2-3-1):** ჟილე – დამბროზიო (57. ს. მაზიელო), გლიკი, დარმიანი, როდრიგესი – ბაშა, გაცი – ვივესი (56. მეჯორინი), ჩერჩი, სანტანა – ბარეტო (66. ჯონატასი).

**ნაპოლი (3-4-1-2):** როზატი – ბრიტოსი (80. არმერო), კანავარო, გამბერინი – მაჯო, ჯემაილი, ბერამი, ცუნიგა – ჰამშიკი – პანდევი, ინსინიე (65. კავანი).

**გაფრთხილება:** დარმიანი, როდრიგესი, ბაშა - ჯემაილი.

**კუთხური:** 10-8; **ჯარიმა:** 14-15; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 7-12(4-8); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 30 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 30 | 21 | 5 | 4 | 59-19 | 68 |
| 2. ნაპოლი | 30 | 17 | 8 | 5 | 55-29 | 59 |
| 3. მილანი | 30 | 17 | 6 | 7 | 52-31 | 57 |
| 4. ფიორენტინა | 30 | 15 | 6 | 9 | 54-37 | 51 |
| 5. ლაციო | 30 | 15 | 5 | 10 | 38-35 | 50 |
| 6. რომა | 30 | 14 | 5 | 11 | 59-51 | 47 |
| 7. ინტერი | 29 | 14 | 5 | 10 | 44-38 | 47 |
| 8. კატანია | 30 | 13 | 6 | 11 | 40-38 | 45 |
| 9. უდინეზე | 30 | 10 | 12 | 8 | 38-38 | 42 |
| 10. პარმა | 30 | 10 | 8 | 12 | 39-39 | 38 |
| 11. კალიარი | 30 | 10 | 8 | 12 | 37-49 | 38 |
| 12. სამპდორია | 29 | 10 | 7 | 12 | 35-33 | 36 |
| 13. ბოლონია | 30 | 10 | 6 | 14 | 39-38 | 36 |
| 14. ტორინო | 30 | 8 | 12 | 10 | 37-41 | 35 |
| 15. კიევო | 30 | 10 | 5 | 15 | 31-45 | 35 |
| 16. ატალანტა | 30 | 10 | 6 | 14 | 30-42 | 34 |
| 17. ჯენოა | 30 | 6 | 9 | 15 | 31-46 | 27 |
| 18. სიენა | 30 | 8 | 8 | 14 | 31-42 | 26 |
| 19. პალერმო | 30 | 4 | 12 | 14 | 25-43 | 24 |
| 20. პესკარა | 30 | 6 | 3 | 21 | 21-61 | 21 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ბომბარდირები:** 22 - კავანი (ნაპოლი); 16 - ელ შაარავი (მილანი); 15 - დი ნატალე (უდინეზე); 13 - პაცინი (მილანი), ლამელა (რომა); 12 - დენისი (ატალანტა), იოვეტიჩი (ფიორენტინა); 11 - ოსვალდო (რომა), საუ (კალიარი), ჯილარდინო (ბოლონია), ტოტი (რომა).

### გამოტოვებული მატჩი

**3 აპრილი:** სამპდორია-ინტერი.

### მომდევნო ტური

**6 აპრილი:** იუვენტუსი-პესკარა, ბოლონია-ტორინო.

**7 აპრილი:** ფიორენტინა-მილანი, კატანია-კალიარი, უდინეზე-კიევო, სამპდორია-პალერმო, სიენა-პარმა, ინტერი-ატალანტა, ნაპოლი-ჯენოა.

**8 აპრილი:** რომა-ლაციო.

● საფრანგეთი. ლიგა 1. XXX ტური

# პსჟ-მ ბარსას წინ კარგი განწყობა შეიქმნა

**პსჟ-მონპელიე 1:0**

გოლი: 1:0 გამეირო (81).

**ტრუა-სტ. ეტიენი 2:2**

გოლები: 0:1 ობამეიანი (8), 1:1 ფოსურიე (25), 1:2 ბრანდაო (31), 2:2 ნივე (38).

**აიაჩო-ტულუზი 2:3**

გოლები: 1:0 ზებინა (18-საჯ. კარში), 1:1 კაპუ (25), 1:2 ტაბანუ (32), 2:2 მუტუ (41), 2:3 კაპუ (79-პენ).

**ევიანი-რეიმსი 2:2**

გოლები: 0:1 აიტე (12), 0:2 კურტე (67), 1:2 საგბო (68), 2:2 ნსიკულუ (90).

გაძევება: აიტე (15. რეიმსი).

**ბორდო-ლორიანი 1:1**

გოლები: 0:1 ალიადიერი (42), 1:1 ობრანიაკი (87).

**რენი-ნანსი 0:2**

გოლები: 0:1 აიასე (79), 0:2 ბაკარი (89).

**ვალანსიენი-ბასტია 3:4**

გოლები: 1:0 რ. გომისი (9), 1:1 მაულიდა (20), 2:1 დანიკი (30-პენ), 2:2 მაულიდა (49), 2:3 ტოვენი (84-პენ), 2:4 ტოვენი (89), 3:4 პუჟოლი (90).

**ნიცა-მარსელი 0:1**

გოლი: 0:1 ჟინიაკი (15).

**ბრესტი-ლილი 1:2**

გოლები: 1:0 რასპენტინო (10), 1:1 კალუ (18), 1:2 რუ (79).

**ლიონი-სოშო 1:2**

გოლები: 0:1 სიო (50), 1:1 ბ. გომისი (68-პენ), 1:2 ბაკამბუ (88).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 30 | 18 | 7 | 5 | 54-20 | 61 |
| 2. მარსელი | 30 | 16 | 6 | 8 | 35-32 | 54 |
| 3. ლიონი | 30 | 15 | 8 | 7 | 49-32 | 53 |
| 4. სტ. ეტიენი | 30 | 13 | 11 | 6 | 50-25 | 50 |
| 5. ლილი | 30 | 13 | 10 | 7 | 43-31 | 49 |
| 6. ნიცა | 30 | 13 | 9 | 8 | 41-34 | 48 |
| 7. მონპელიე | 30 | 13 | 6 | 11 | 44-36 | 45 |
| 8. ლორიანი | 30 | 11 | 11 | 8 | 48-45 | 44 |
| 9. ბორდო | 30 | 10 | 13 | 7 | 29-25 | 43 |
| 10. რენი | 30 | 12 | 6 | 12 | 41-41 | 42 |
| 11. ტულუზი | 30 | 10 | 11 | 9 | 36- 34 | 41 |
| 12. ვალანსიენი | 30 | 9 | 9 | 12 | 40-45 | 36 |
| 13. ბასტია | 30 | 10 | 6 | 14 | 38-56 | 36 |
| 14. აიაჩო | 30 | 8 | 11 | 11 | 32-40 | 33 |
| 15. ევიანი | 30 | 7 | 10 | 13 | 34-43 | 31 |
| 16. რეიმსი | 30 | 7 | 10 | 13 | 28-37 | 31 |
| 17. სოშო | 30 | 8 | 7 | 15 | 32-47 | 31 |
| 18. ბრესტი | 30 | 8 | 5 | 16 | 29- 44 | 29 |
| 19. ნანსი | 30 | 6 | 9 | 15 | 28-47 | 27 |
| 20. ტრუა | 30 | 4 | 13 | 13 | 36-53 | 25 |

შენიშვნა: „აიაჩოს“ – 2 ქულა

**ბომბარდირები:** 25 – იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 17 – ობამეიანი (სენტ ეტიენი); 12 – ალიადიერი (ლორიანი), ცვიტანიჩი (ნიცა), გომისი (ლიონი)



„მარსელის“ ჟინიაკმა (მარცხნივ) და ვალბუენამ მოაგებინეს

## ლიდერმა ჩემპიონს მოუგო

„პარი სენ ჟერმენს“ სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის მატჩი ელის, ამიტომ დედაქალაქელებმა თავისი მატჩი პარასკევს ჩაატარეს და მორიგი გამარჯვებაც მოიპოვეს. **კარლო ანჩელოტიმ**, „ბარსელონასთან“ მოახლოებული მატჩის მიუხედავად, მოედანზე ძირითადი შემადგენლობა გამოიყვანა, თუმცა გამარჯვების მომტანი გოლი რეზერვისტმა **კევინ გამეირომ** გაიტანა. გამეირო მოედანზე 73-ე წუთზე გამოვიდა, ზუსტად 8 წუთში კი ის გოლს ზეიმობდა. საგოლე კომბინაცია „მონპელიეს“ მცველების შეცდომას მოჰყვა - სტუმრებმა ბურთი საკუთარ ნახევარზე დაკარგეს, **ჟერემი მენეზმა** დიდოსტატური პაუზა გააკეთა და დასარტყმელ პოზიციაზე **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** გაიყვანა, შვედმა კი დარტყმის ნაცვლად, პრაქტიკულად ცარიელი კარის წინ მყოფ გამეიროს გადააწოდა, რომელსაც ხელი უკვე ვერავინ შეუშალა.

მოქმედ ჩემპიონს ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია, არადა „მონპელიეს“ ლამის მთელი ძირითადი შემადგენლობა აკლდა. **რენე ჟირარმა** ამ მატჩში **რომენ პიტო, ჟორის მარვო, მარკოს ესტრადა, ჯამელ საიჰი, გარი ბოკალი, ქარიმ აიტ-ფანა** და **სირილ ჟონშამი** ვერ დაიხმარა. ასეთი დანაკლისის მიუხედავად, როგორც აღვნიშნეთ, „მონპელიეს“ ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია და პარიზიდან მინიმუმ ქულის წაღებაც შეეძლო, მაგრამ ლიდერმა ერთი შეცდომა არ აპატია და შინ დამწუხრებული გაუშვა.

*„რაც შეგვეძლო ყველაფერი გავაკეთეთ. პსჟ-ს არაფერი დავუთმეთ და საკმაოდ კარგადაც ვითამაშეთ. გოლი მიუტევებელი შეცდომის გამო გავუშვით, რაც ძალიან სამწუხაროა. ბიჭების მიმართ საპრეტენზიო არაფერი მაქვს, რადგან მათ მასპინძლებს დიდი პრობლემები შეუქმნეს. ვფიქრობ, მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ როდესაც მოგება გსურს, ისეთი შეცდომები არ უნდა დაუშვა, როგორიც დღეს,“* – განაცხადა მატჩის შემდეგ რენე ჟირარმა.

## ერთმა ოლიმპიკმა მოიგო, მეორემ წააგო

„მარსელმა“ სტუმრად მოიგო და მეორე ადგილზე გადავიდა. პროვანსელები „ნიცას“ ხვდებოდნენ, რომელსაც თითქმის სულ ამარცხებენ. წლევანდელი „ნიცა“ იმაზე გაცილებით ძლიერია, ვიდრე ბოლო წლებში, მაგრამ ტრადიცია მაინც არ დაირღვა და ზღვისპირელთა დერბიში გამარჯვება კვლავ „ოლიმპიკს“ დარჩა. შეხვედრის ერთადერთი გოლი **ანდრე-პიერ ჟინიაკმა** მატჩის მე-15 წუთზე, **მატიო ვალბუენას** პასის შემდეგ გაიტანა. „ნიცას“ ამ შეხვედრაში საუკეთესო ბომბარდირი **დარიო ცვიტანიჩი** დაუბრუნდა, მაგრამ არგენტინელს სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა აშკარად ეტყობოდა და მან **სტივ მანდანდას** შეწუხება ვერ მოახერხა. **კლოდ პუელის** გუნდს ვერც ცვლილებაზე შემოსულმა ახალგაზრდებმა, **ალექსი ბოსეტიმ** და 16 წლის **ნილ მოპეიმ** უშველეს.

სენსაციური მარცხი განიცადა „ლიონმა“. **რემი გარდის** გუნდმა „სოშოსთან“ წააგო და მესამე ადგილამდე ჩამოქვეითდა. შესანიშნავი მატჩი ჩაატარა **ჯოვანი სიომ** – ივუარელმა ჯერ გოლი გაიტანა, შემდეგ კი საგოლე პასი გააკეთა. „სოშომ“ გასავარდნი ზონა დატოვა და მე-18 ადგილი „ბრესტს“ დაუთმო, ვინც ზედიზედ მესამე მატჩი წააგო. „ლილთან“ გამართულ შეხვედრაში მასპინძლები კი დანინაურდნენ, მაგრამ შემდეგ ორი ბურთი საკუთარ კარში მიიღეს და 3 ქულა „ძაღლებს“ გაატანეს. **რუდი გარსიას** გუნდიდან გოლები **სალომონ კალუმ** და **ნოლან რუმ** გაიტანეს. „ლილმა“ ბოლო 7 მატჩიდან მე-6 მოიგო და მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა.

## ობამეიანმა და ბრანდაომ კი გაიტანეს, მაგრამ...

თავისი მორიგი გოლები გაიტანეს **პიერ-ემერიკ ობამეიანმა** და **ბრანდაომ**, მაგრამ „მწვანეებს“ ეს გამარჯვებისთვის არ ეყოთ. ბოლო ადგილზე მყოფმა „ტრუამ“ ბოლომდე იბრძოლა და ანგარიში ორჯერ გაათანაბრა. აღსანიშნავია **ბენჟამინ ნივეს** მორიგი გოლი – 36 წლის ვეტერანმა უკვე მე-9 გოლი გაიტანა. „სენტ ეტიენს“ 2013 წელს ჯერ შეხვედრა არ წაუგია, მაგრამ **კრისტოფ გალტიეს** გუნდმა ჩემპიონატში ზედიზედ მესამე ფრე ითამაშა, რის გამოც მესამე ადგილზე მყოფ „ლიონს“ 3 ქულით ჩამორჩება.

ზედიზედ მეორე მატჩები მოიგეს „ნანსიმ“ და „ბასტიამ“. აუტსაიდერმა „რენი“ დაამარცხა, რომელიც **რომენ ალესანდრინის** ტრავმის შემდეგ თამაშს ველარ იგებს, „ბასტიამ“ კი საოცარ შეხვედრაში იმარჯვა – კორსიკელებმა „ვალანსიენის“ კარში 4 გოლი გაიტანეს, საკუთარში 3 მიიღეს და შინ სამი ქულა წაიღეს. სტუმართა მხრიდან ორ-ორი გოლი ვეტერანმა **ტეოფილო მაულიდამ** და ახალგაზრდა **ფლორიან ტოვენმა** გაიტანეს. ამ უკანასკნელით, იანვრის სატრანფერო ფანჯრისას რამდენიმე ძლიერი ევროპული გუნდი იყო დაინტერესებული, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. როგორც ჩანს, მომავალ სეზონს 20 წლის ფეხბურთელი გაცილებით ძლიერ კლუბში დაიწყებს.

**ტატო ბაციკაძე**

## ჰოლანდია

ერედივიზიე. XXVIII ტური.

**ტვენტე-ბრედა 1:1**

გოლები: 0:1 ვან დერ ვეგი (50), 1:1 ბრამა (83).

**ვილემ II-გრონინგენი 1:2**

გოლები: 1:0 ემუტი (26), 1:1 ბაკუნა (66-პენ), 1:2 ტეიშეირა (72).

**უტრეხტი-ვენლო 2:1**

გოლები: 1:0 დუპლანი (5), 2:0 დე კოგელი (16), 2:1 ლინსენი (37).

**ჰერენვენი-ფეიენოორდი 2:0**

გოლები: 1:0 ფინბოგასონი (85), 2:0 ელ განასი (89).

**როდა-პსვ 2:2**

გოლები: 1:0 დემუგი (13), 1:1 ტოივონენი (19), 1:2 ტოივონენი (33), 2:2 მალკი (87).

**ვიტესი-ზვოლე 2:1**

გოლები: 1:0 ბონი (9), 2:0 ჰავენაარი (35), 2:1 ვალპოორტი (78).

**ვაალვაიკი-დენ ჰააგი 4:0**

გოლები: 1:0 ლიდერი (10), 2:0 ვორმგოორი (42-საჯ. კარში), 3:0 ბრაბერი (45), 4:0 დროსტი (88).

**ჰერაკლესი-ალკმაარი 1:2**

გოლები: 0:1 მ. ჰენრიკსენი (22), 0:2 ტე ვირიკი (24-საჯ. კარში), 1:2 ტე ვირიკი (43).

გაძევება: ტ. ლამი (31. ალკმაარი)

**აიაქსი-ნაიმეგენი 4:1**

გოლები: 1:0 ფიშერი (21), 2:0 ვან ეიდენი (25-საჯ. კარში), 3:0 ფიშერი (77), 3:1 ვან დერ ველდენი (78), 4:1 ბაბელი (81).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აიაქსი | 28 | 16 | 9 | 2 | 66-28 | 60 |
| 2. პსვ | 28 | 18 | 3 | 7 | 85-31 | 57 |
| 3. ვიტესი | 28 | 17 | 6 | 5 | 57-32 | 57 |
| 4. ფეიენოორდი | 28 | 17 | 5 | 6 | 53-35 | 56 |
| 5. ტვენტე | 28 | 13 | 9 | 6 | 44-26 | 48 |
| გამყრელიძე | 25 | 4 | 6 | 1 | 3 | 0 | 5 |
| გაბიაშვილი | 24 | 3 | 0 | 4 | 0 | 0 | 12 |
| გოისა | 22 | 5 | 0 | 0 | 0 | 1 | 5 |
| წივწივაძე | 20 | 2 | 1 | 1 | 1 | 0 | 10 |
| გ. ლეჟავა | 11 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| საყვარელიძე | 29 | 2 | 4 | 1 | 3 | 0 | 6 |
| შარაბიძე | 23 | 6 | 1 | 4 | 0 | 0 | 20 |
| ჯგერენაია | 12 | 7 | 0 | 0 | 0 | 1 | 4 |
| ფარღალავა | 30 | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 5 |

**მსაჯები:** *მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე, ირაკლი ბერიშვილი*

სუპერლიგის შაბათის ერთ-ერთი მატჩის ტელერეპორტაჟისას გუნდების შემოკლებული სახელები ასეთი იყო: MIA და KHUთ. პირველი გასაგებია, „მაიამი ჰიტია", მეორე? - იკითხა ერთ-ერთმა ქომაგმა, რომელთან ერთადაც მატჩის გარკვეული მონაკვეთის ტელევიზიით ხილვამ მომიწია. ინტერესის გაღვივების მიზნით ამ კითხვაზე პასუხს მოგვიანებით შემოგთავაზებთ, აქ კი ერთ მინიშნებას გავაკეთებთ - ქართულ გუნდში, რომელიც MIA-ად ეწერა, **ლებრონ ჯეიმსი** არ თამაშობს.

არც სუპერლიგაა NBA, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ჩემპიონატი უინტერესოა. XX ტურის მატჩებმა „არმიას" თავკაც **კოტე ტულუშს** ათქმევინა - ვგონებ ყველა ვრწმუნდებით, რომ წლევანდელი პირველობა ჩემპიონატების არსებობის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესოაო. ხუმრობა ხომ არ არის, შაბათს გამართულ ხუთივე შეხვედრაში გამარჯვებული ბოლო წამებზე გამოვლინდა.

## თსუ-სოხუმი

მეორე წრის წინ **სერგო ათუაშვილისა და ბოშკო სტოიაკოვიჩის** დამატებით „სოხუმი" საგრძნობლად გაძლიერდა. „დინამოსა" და „რუსთავის" ძლევის შემდეგ კი თსუ-სთან ფავორიტად იქცა. თუმცა **ბერუაშვილის, ბაქრაძის, ჩქარეულისა** და **ხიზანიშვილის** სიზუსტის წყალობით სტუდენტები მეოთხე პერიოდს ოთხქულიანი ფორით შეხვდნენ.

საფინალო სირენამდე 1:02 წუთით ადრე თსუ-ელმა **ვასილ ბერუაშვილმა** სამქულიანით თანაგუნდელები მინიმალურად დააწინაურა - 70:69. ბოლო წუთზე კი ჯერ **ქადარიამ** ჩააგდო ორქულიანი, შემდეგ **ბააკაშვილმა** და სტოიაოვიჩმა საჯარიმოს ხაზიდან შედეგიანად სტყორცნეს და 76:71 „სოხუმის" სასარგებლოდ.

გადამწყვეტი მაინც სოხუმელთა მიერ ფარქვეშ მოპოვებული უპირატესობა გამოდგა (ათუაშვილმა ბურთი 25-ჯერ მოხსნა, ქადარიამ - 13-ჯერ) - თსუ-მ მოხსნებში 41:66 დათმო.

## ოლიმპი-რუსთავი

მე-19 ტურში „ოლიმპმა" „შსს აკადემიასთან" პერიმეტრიდან დაბალი პროცენტული სიზუსტით სტყორცნა და ფარქვეშ **სტევან მილოშევიჩის** შედეგიანი თამაში ამაო გამოდგა. 30 მარტს „რუსთავთან" მილოშევიჩი ჩვეულად გაისარჯა (20 ქულა, 15 მოხსნა), რომელსაც სამქულიანის რკალსუკნიდან უკანახაზელები სათანადოდ დაეხმარნენ და შედეგიც შესაბამისი მოიმკეს - 84:72. „ოლიმპის" კალათბურთელებმა ერთბაშად 13 შორეული ტყორცნა გამოიყენეს, საიდანაც **ლევან ფაცაციას** ანგარიშზე 5 სამქულიანი იყო.

„რუსთავი" კი ჩვეულ სტილში, სამი მოძრავი ტანმაღლით სწრაფ ტემპში თამაშით ეცადა წარმატების მიღწევას. ამან მეორე-მესამე პერიოდებში შედეგიც გამოიღო, 12:0 გაქცევით ქვემოქართლელებმა 15-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს, თუმცა სტაბილურად მოთამაშე „ოლიმპთან" მაინც ვერას გახდნენ.

## შსს-ქუთაისი

„შსს აკადემია" ინგლისურად MIA-ად იწერება. ასე რომ, გასაგებია, შესავალში რომელი გუნდი იგულისხმებოდა სიტყვა „მაიამიში". შსს-მ მეექვსეადგილოსან „ქუთაისს" უმასპინძლა. **დავით უსტიაშვილის** გუნდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მიუხედავად კვარტეტს მიღმა „ცხოვრებისა", ნახევარფინალში თამაში რეალურად შეუძლია - რეგულარული ეტაპის ლიდერ ძალოვნებთან გაშლილი, გააზრებული თამაშით ბოლომდე თანაბრად იბრძოდა, მაგრამ „ძალამ აღმართი მოხნა"...

თავად განსაჯეთ, მატჩის ბედი ყველაზე ლონიერმა და ამავე დროს მძიმე წონიანმა კალათბურთელებმა გადაწყვიტეს: შსს-ელმა ფორვარდმა **ბენჟამინ რეიმონდმა** და მეფარე **კირკ არჩიბეკმა**. სირენამდე 4 წუთი რჩებოდა და ტაბლოზე სხვაობა ოდენ 3 ქულა იყო. სწორედ მაშინ რეიმონდმა სამქულიანი ჩააგდო, რასაც კიდევ 4 ქულა მიაყოლა და მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე „შსს აკადემიას" ათქულაინი ფორა დაუბევა (70:60), რაც უკვე გამარჯვებას მოასწავებდა.

40 წუთი ითამაშა ახალგაზრდა აკადემიელმა **რევაზ როგავამ**, რომელმაც ასევე დიდი წვლილი (17 ქულა) შეიტანა მასპინძელთა გამარჯვებაში.

## დინამო-არმია

თუ პირველი წრის შემდეგ „არმიას" ყველა ლეგიონერი გამოაკლდა, „დინამოს" ლეგიონერები ემატება, რომლებიც ტრავმებს ნელ-ნელა იშუშებენ. მეოცე ტურმა დაგვანახა, რომ სადღეისოდ ორივე გუნდი თანაბარი ძალისაა, რაც ციფრებით ასე გამოისახა:

მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე ტაბლოზე 69:69 ეწერა, რის შემდეგაც წუთნახევარმა მშრალად ჩაიარა. სირენას 31 წამი უკლდა, როცა დინამოელმა **ფლინ კლაიმენმა** მარცხენა ფლანგიდან ოქროს სამქულიანი ჩააგდო და მას მერე „არმიამ" სიტუაციის გამოსწორება ველარ შეძლო.

## სტუ-სამედიცინო

სტუ-ს მიმდინარე სუპერლიგაში გამარჯვება არ ჰქონდა მოპოვებული. მოგებათა გრაფაში ერთიანის ჩაწერის ბოლო შანსი შაბათს ჰქონდა, რადგან „თანატოლ" „სამედიცინოს" ეთამაშებოდა. ტექნიკოსებმა მართლაც ძალიან მოინდომეს და პირველი ტაიმის შემდეგ 51:36 დაწინაურდნენ. ასეთი სხვაობა მოხსნებში დაფიქსირებულმა უპირატესობამ განაპირობა: სტუ-მ ამ კომპონენტში მეტოქე აშკარად დაჩაგრა - 35:14.

მეორე ტაიმში ზონურ დაცვაზე გადასვლამ და **ზურაბ მაისურაძემ** „სამედიცინოს" თამაშის შემოტრიალების შანსი მისცეს. სტუ-ს 19-ქულიანი ფორა ძირითადი დროის დასრულებამდე 3 წუთით ადრე -1-ად იქცა. თუმცა დარჩენილ დროში **გიორგი პირველაშვილმა** თავი გამოიდო და სტუ-მ პირველი გამარჯვება მოიპოვა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მაისურაძის თამაში, რომელმაც ტურის რეკორდი დაამყარა - 31 ქულა ჩააგდო. მის ანგარიშზე 11-დან 8 სამქულიანი იყო. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ მისი პირველი ტაიმის მონაგარი მხოლოდ 3 ქულა იყო.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შსს აკადემია | 18 | 16 | 2 | 1473/1188 | 34 |
| 2. ოლიმპი | 18 | 15 | 3 | 1570/1296 | 33 |
| 3. რუსთავი | 19 | 13 | 6 | 1627/1408 | 32 |
| 4. არმია | 18 | 13 | 5 | 1600/1220 | 31 |
| 5. დინამო | 17 | 11 | 6 | 1330/1258 | 28 |
| 6. ქუთაისი | 18 | 10 | 8 | 1433/1312 | 28 |
| 7. თსუ | 19 | 6 | 13 | 1329/1528 | 25 |
| 8. სოხუმი | 17 | 7 | 10 | 1320/1396 | 24 |
| 9. ბათუმი | 18 | 5 | 13 | 1257/1473 | 23 |
| 10. სამედიცინო | 18 | 2 | 16 | 1170/1630 | 20 |
| 11. სტუ | 18 | 1 | 17 | 1188/1588 | 19 |

| | თსუ | სოხუმი |
|---|---|---|
| | 71 | 76 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| თსუ | 20 | 16 | 18 | 17 |
| სოხუმი | 21 | 15 | 14 | 26 |

| თსუ | წთ | მ | ა | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ. ბაქრაძე | 34 | 5 | 5 | 1 | 3 | 0 | 15 |
| მჭედლიშვილი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| თავამაიშვილი | 13 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 2 |
| ხანიაშვილი | 30 | 6 | 4 | 1 | 1 | 0 | 5 |
| კობიძე | 19 | 5 | 0 | 2 | 0 | 1 | 2 |
| ვახანია | 5 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ნ. ბაქრაძე | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბერუაშვილი | 30 | 9 | 0 | 1 | 1 | 1 | 15 |
| ჩქარეული | 29 | 2 | 3 | 0 | 1 | 1 | 16 |
| ხიზანიშვილი | 32 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 16 |

| სოხუმი | წთ | მ | ა | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მიგინეიშვილი | 2 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 |
| კოვალიანი | 16 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 |
| შვანგირაძე | 32 | 4 | 2 | 5 | 1 | 0 | 9 |
| დეკანოიძე | 10 | 6 | 0 | 0 | 1 | 0 | 4 |
| ბააკაშვილი | 19 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 12 |
| ქადარია | 34 | 13 | 1 | 5 | 2 | 0 | 17 |
| ათუაშვილი | 39 | 25 | 1 | 2 | 0 | 2 | 18 |
| ბეშქენაძე | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მუიჟნიეკსი | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სტოიაკოვიჩი | 37 | 5 | 8 | 3 | 0 | 1 | 10 |

**მსაჯები:** *დავით ბერეკაშვილი, გურამ მიქელაძე, მიხეილ ვართანოვი*

| | ოლიმპი | რუსთავი |
|---|---|---|
| | 84 | 72 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 24 | 23 | 15 | 22 |
| რუსთავი | 21 | 16 | 24 | 11 |

| ოლიმპი | წთ | მ | ა | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბულისკერიაშვილი | 14 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 4 |
| სოკი | 25 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 9 |
| ბერიშვილი | 31 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 6 |
| თავართქილაძე | 4 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 |
| მიქელაძე | 20 | 1 | 2 | 3 | 1 | 0 | 3 |
| ფაცაცია | 34 | 5 | 10 | 0 | 1 | 0 | 16 |
| დვალიშვილი | 18 | 9 | 1 | 1 | 0 | 0 | 10 |
| მილოშევიჩი | 32 | 15 | 1 | 4 | 1 | 1 | 20 |
| ანდრიუკაიტისი | 19 | 4 | 3 | 0 | 1 | 0 | 13 |

| რუსთავი | წთ | მ | ა | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბოუი | 33 | 5 | 4 | 2 | 1 | 0 | 16 |
| სტეფანოვი | 22 | 4 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ცეკვავა | 34 | 5 | 5 | 2 | 0 | 0 | 8 |
| აბაიშვილი | 11 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 3 |
| ჩაჩანიძე | 17 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 11 |
| ნელსონი | 38 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 19 |
| ტუჯანი | 24 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 7 |
| ათანელიშვილი | 16 | 4 | 4 | 0 | 1 | 0 | 6 |

**მსაჯები:** *მაკა კუპატაძე, ირაკლი ბერიშვილი, დავით ბერიშვილი*

| | შსს აკადემია | ქუთაისი |
|---|---|---|
| | 72 | 64 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| შსს აკადემია | 18 | 21 | 15 | 18 |
| ქუთაისი | 18 | 19 | 12 | 15 |

| შსს | წთ | მ | ა | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიტაშვილი | 22 | 1 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ვონი | 10 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 4 |
| როგავა | 40 | 6 | 3 | 2 | 1 | 1 | 17 |
| ლონდარიძე | 19 | 3 | 1 | 3 | 0 | 0 | 9 |
| პრევიტი | 23 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 7 |
| ლომოური | 3 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ანთაძე | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბექაური | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| არჩიბეკი | 33 | 9 | 0 | 3 | 0 | 1 | 17 |
| რეიმონდი | 40 | 10 | 3 | 2 | 4 | 0 | 18 |

| ქუთაისი | წთ | მ | ა | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფაშაევი | 33 | 4 | 4 | 3 | 0 | 0 | 11 |
| გაგუნაშვილი | 24 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 |
| დიდია | 32 | 6 | 3 | 2 | 1 | 1 | 7 |
| კვიმსაძე | 25 | 0 | 4 | 1 | 0 | 1 | 10 |
| დ. ბარბაქაძე | 25 | 5 | 0 | 3 | 0 | 0 | 16 |
| გ. ბარბაქაძე | 35 | 1 | 3 | 2 | 3 | 0 | 14 |
| მათიაშვილი | 22 | 6 | 2 | 2 | 1 | 1 | 2 |

**მსაჯები:** *ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, გურამ მიქელაძე*

| | სტუ | სამედიცინო |
|---|---|---|
| | 90 | 86 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| სტუ | 27 | 24 | 18 | 21 |
| სამედიცინო | 19 | 17 | 24 | 26 |

| სტუ | წთ | მ | ა | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩაჩიბაია | 20 | 7 | 4 | 2 | 1 | 0 | 6 |
| თევზაძე | 14 | 1 | 2 | 2 | 0 | 1 | 8 |
| კვეტენაძე | 24 | 6 | 1 | 2 | 1 | 1 | 16 |
| კორკოტაძე | 20 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 |
| მინაშვილი | 12 | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 9 |
| მაჩალაძე | 15 | 9 | 0 | 0 | 1 | 0 | 7 |
| პირველაშვილი | 36 | 12 | 5 | 1 | 1 | 1 | 21 |
| სულაბერიძე | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| დ. დვალიშვილი | 4 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 |
| ძიძიგური | 14 | 4 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 |
| ჯანაშია | 23 | 6 | 1 | 3 | 1 | 0 | 13 |
| ქორიძე | 9 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |

| სამედიცინო | წთ | მ | ა | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯიძია | 10 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | |
| არწივიძე | 8 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| შიოლაშვილი | 4 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| ტუკვაძე | 12 | 4 | 1 | 4 | 1 | 1 | 3 |
| გაბისონია | 19 | 3 | 4 | 2 | 0 | 2 | 4 |
| ლ. რევაზაშვილი | 33 | 7 | 0 | 2 | 0 | 0 | 18 |
| გაფრინდაშვილი | 30 | 4 | 7 | 1 | 1 | 0 | 17 |
| ზ. მაისურაძე | 36 | 3 | 2 | 0 | 5 | 0 | 31 |
| ფერიაშვილი | 29 | 6 | 1 | 0 | 0 | 5 | 2 |
| ქიქველიშვილი | 23 | 3 | 1 | 1 | 1 | 0 | 10 |

**მსაჯები:** *დავით ბერიშვილი, მალხაზ ანდღულაძე, მიხეილ ვართანოვი*

ტრავმა

# ფაჩულიას ოპერაცია სჭირდება

## ...რეაბილიტაცია 6 თვეს გასტანს

*- ექიმებთან, მეგობრებთან, ყოფილ სპორტსმენებთან (რომლებსაც აქილევსის მყესის ტრავმა ჰქონიათ) კონსულტაციების შემდეგ ვეცადე სწორი გადაწყვეტილება მიმეღო. საბოლოოდ ოპერაცია გადაწყდა. ვფიქრობ, ასე სჯობს ჩემი მომავალი კარიერისთვის. ასეთია ცხოვრება... ვიმედოვნებ, რომ ქირურგიული ჩარევის შემდეგ, რაც შეიძლება მალე დავუბრუნდები ჩემს საყვარელ საქმიანობას - კალათბურთს,* - განაცხადა საქართველოს ნაკრების კაპიტანმა **ზაზა ფაჩულიამ**, მას შემდეგ რაც ექიმებმა ოპერაციის თარიღი დაუნიშნეს: 3 აპრილი, შარლოტი, „მერსის საავადმყოფო". საპასუხისმგებლო პროცედურას საკუთარ თავზე იღებს ექიმი **რობერტ ანდერსონი**. ფაჩულიას შარლოტში გაჰყვება „ატლანტა ჰოქსის" ექიმი **მაიკლ ბერნოტი**.

დამეთანხმებით, ასეთი ინფორმაცია იოლი წასაკითხი არ არის, არც დასაწერედაა ადვილი, მაგრამ რამდენიმე დეტალზე კიდევ უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ექიმების ვარაუდით ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაცია 6 თვეს გასტანს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზაზა NBA-ის მიმდინარე სეზონის დასკვნით ეტაპს ველარ ითამაშებს. არადა, მისი გუნდი აღმოსავლეთის კონფერენციის რვაეულშია და რას ნიშნავს პლეი ოფი ფაჩულიასთვის, არაერთხელ ხმამაღლა დაუფიქსირებია.

საქართველოს ნაკრების ზოგმა გულშემატკივარმა პუბლიკაციის შესავლის წაკითხვის შემდეგ, შესაძლოა, უკვე გადათვალა ექვსი თვე. მართლაც, ევროპის ჩემპიონატის გამართვის დრო დღეიდან სწორედ მეექვსე თვეს, სექტემბერს ემთხვევა. გამოდის, რომ საქართველოს ნაკრებს სლოვენიაში ჩასვლა ფაჩულიას გარეშე მოუწევს? ამ კითხვაზე კატეგორიული პასუხის გაცემა არ ვიჩქაროთ, აკი თქვა ფაჩულიამ - იმედია, მოედანს, რაც შეიძლება მალე დავუბრუნდებიო. თუმცა, სანაკრებო თემაზე ლაპარაკი შესაძლოა, უადგილოც იყოს, რადგან ახლა მთავარია ოთხშაბათს დაგეგმილმა ოპერაციამ წარმატებით ჩაიაროს.



გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

### ლერი გოგოლაძე-75



## სპორტსმენი და მეცნიერი

არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრების წესით, საქმიანობითა და გარჯით წარუშლელ კვალს ტოვებენ. ასეთი პიროვნება გახლავთ სახელოვანი სპორტსმენი, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ყმაწვილობიდანვე შრომისმოყვარე, უანგარო, პრინციპული, ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი, თავმდაბალი, უბრალო, წესიერი კაცი ლერი გოგოლაძე.

„გვიან“ დაუმეგობრდა სპორტს - მეცხრე კლასში იყო, „დინამოს“ ზამთრის საცურაო აუზში რომ დაიწყო ვარჯიში ცურვაში. ერთ დღეს იმავე აუზში წყალბურთელებს უნდა ეთამაშათ. ორკარასთვის მოთამაშე მოისაკლისეს და ლერი გოგოლაძეს სთხოვეს კარში ჩადგომა. ისიც დადგა და... დადგა სახელოვანი მეკარე.

1956 წელს სკოლა ფრიადზე დაამთავრა და სპორტშიც მედლით დაიმშვენა მკერდი - როსტომ ჩაჩავას ხელმძღვანელობით საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადის ვერცხლის მედალი მოიპოვა. სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა ლერი გოგოლაძე ტურნირის საუკეთესო მეკარედ აღიარეს. მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის პირველკურსელი თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდში მეორე მეკარედ მიიწვიეს. 1958 წლიდან კი როგორც „დინამოს“, ისე საკავშირო ნაკრების ძირითადში დაიმკვიდრა ადგილი. შვიდი წელიწადი ითამაშა სსრკ-ის ნაკრებში, „დინამოს“ ღირსებას კი 1972 წლამდე იცავდა. ამ ხნის განმავლობაში მრავალ წარმატებას მიაღწია. ლერი გოგოლაძის ჯილდოების კოლექციას რომის ოლიმპიური თამაშების (1960), ევროპის ჩემპიონატისა (ლაიპციგი, 1962) და მსოფლიოს უნივერსიადის (ბრაზილია, 1963) ვერცხლის მედლები ამშვენებს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებსა და ხალხთა სპარტაკიადებზე რვაჯერ II-III ადგილები დაიკავა, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია.

დიდ სპორტთან განშორების შემდეგ (თუმცა წყალბურთისთვის დღემდე არ შეუქცევია ზურგი) მათემატიკაში ჩაეფლო, დაიცვა ჯერ საკანდიდატო, მერე სადოქტორო დისერტაციები, წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრას ედგა სათავეში. იყო დედაუნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი. მისი ხელმძღვანელობით რამდენიმე ასპირანტმა საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, ხოლო სკოლის მოსწავლეებმა მათემატიკის მსოფლიო ოლიმპიადებში გაიმარჯვეს.

სახელოვან სპორტსმენსა და მეცნიერ ლერი გოგოლაძეს დღეს 75 წელი უსრულდება. ამ რამდენიმე წლის წინათ მისმა თანაგუნდელმა და მეგობარმა ოთარ მიმინოშვილმა ხუმრობით უთხრა - პირველ აპრილს დაბადებული ნუ დაიჯერებ, რომ ექვსი ათეული წელი უკან მოიტოვეო.

ბატონო ლერი, დღესაც ხომ პირველი აპრილია და, ისე მხნედ და ჭაბუკურად გამოიყურებით (ამას სიმართლეს ვამბობთ), ნუ დაიჯერებთ, რომ 75 წელი შეგისრულდათ.

იუბილეს გილოცავთ! ჯანმრთელობას, სიმხნევეს გისურვებთ და გვინდა, რომ მუდამ ჩვენს გვერდით იყოთ!

**საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია**

®

### რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

# საპლეიოფო ექვსეული გარკვეულია

| ლელო-არმაზი | 19:18 |
|---|---|

**ლელო** (15-9) ყიასაშვილი, გეგენავა, ანდღულაძე, გუგავა, ნიჟარაძე, ხმალაძე, გიორგი ჭინჭარაული. (1-8) სანიკიძე (გოგიშვილი 50), ხიდეშელი (ბელქანია 48), პატარაია, ჭეიშვილი (ნიკოლაიშვილი 41), ქოიავა, მძინარიშვილი (დარასელია 50), სურგულაძე, ჭყოიძე.

**2ლ:** ხიდეშელი, ყიასაშვილი. **3ს:** ყიასაშვილი.

**სინბინი:** ქოიავა.

**არმაზი** (15-9) ნიკოლავა, ჩხაიძე (კაიფაჯიანი 56), მაისურაძე, მაჩხანელი, ხუციშვილი, კიკნაძე, მჟავანაძე (ბროძელი 41). (1-8) ბუკია, სოსელია, თაგაური (ფრუიძე 46), კაჭარავა (ჯიბლაძე 67), ჭელიძე, კანდელაკი (გიგაური 5), მინაშვილი, თიგიშვილი.

**6ს:** კიკნაძე.

**სინბინი:** თიგიშვილი

**მსაჯი:** რიჩარდ კელი (ახალი ზელანდია)

საქართველოს ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში პლეი ოფის მონაწილე ექვსივე გუნდის ვინაობა გაირკვა. პირდაპირ ნახევარფინალში თამაშის უფლება საქართველოს ჩემპიონმა „არმიამ“ და თბილისის „ლელომ“ მოიპოვეს.

მოწინავე ექვსეულში მოხვედრისთვის მეექვსე ადგილზე მყოფი თბილისის „ლოკომოტივი“ და მისი უახლოესი მდევარი „ბათუმი“ იბრძოდნენ. თუმცა რკინიგზელებმა სტუმრად რუსთავის „ხარები“ დაამარცხეს 22:16 და შავიზღვისპირელები პლეი ოფს მიღმა დატოვეს. მით უფრო, რომ „ბათუმმა“ თავის მხრივ სტუმრად წააგო თბილისის „ჯიქებთან“ - 10:16.

გასარკვევი ბოლო ტურში ისღა იქნება, პლი ოფის ნახევარფინალის შესარჩევ ეტაპზე რომელი გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. მეტნაკლებად გარკვეული სიტუაცია მას შემდეგ იქნება, როცა, ორშაბათს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტის სხდომა გაიმართება, რომელიც მე-16 ტურში „ლელოსა“ და „ჯიქების“ მატჩში, ამ უკანასკნელის მიერ შეცვლის წესის დარღვევას განიხილავს. გამორიცხული არ არის, „ჯიქებს“ ამ მატჩში წაგება ჩაეთვალოს. თუმცა, მოდით მოვლენებს ნუ გავუსწრებთ და სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებას დაველოდოთ.

შეგახსენებთ, რომ „ჯიქებთან“ მატჩში განცდილი მარცხის შემდეგ „ლელომ“ ლიდერობა დაკარგა. ბოლოსწინა ტურში ლელოელები ამჟამად მე-5 ადგილზე მყოფ „არმაზს“ დაუპირისპირდნენ და საკმაოდ მძიმე ბრძოლაში მინიმალური სხვაობით 19:18 მოიგეს.

თამაში საინტერესო გამოდგა. არმაზელები მეტოქეს არც ღონით ჩამოუვარდებოდნენ და გამართულადაც ბურთაობდნენ, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მთელი მატჩის განმავლობაში რეალური სალელოვე შეტევა არ ჰქონიათ. თვრამეტივე ქულა „არმაზს“ მოთამაშე მწვრთნელმა, მგეზავმა **დავით კიკნაძემ** საჯარიმო დარტყმებით მოუტანა. მანვე ორივე ტაიმში თითო საჯარიმო ვერ გამოიყენა. ერთი მათგანი გადამწყვეტ მომენტში, როცა თამაშის დასრულებას სამი წუთი აკლდა და არმაზელები 18:19 აგებდნენ, კიკნაძემ 47 მეტრიდან ვერ გაიტანა.

„ლელომ“ თამაში აქტიურად დაიწყო და ანგარიში უკვე მე-2 წუთზე გახსნა. ფულ ბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** საჯარიმო ხელსაყრელი პოზიციიდან ზუსტად დაარტყა - 3:0. ოთხ წუთში ახლა უკვე ლელოელები დაჯარიმდნენ საკუთარ 22-მეტრიან ზონაში და კიკნაძემ ანგარიში გაათანაბრა - 3:3.

საჯარიმოების გაცვლა-გამოცვლა 31-ე წუთამდე გაგრძელდა. ყიასაშვილმა და კიკნაძემ კიდევ ორ-ორჯერ დაარტყეს ზუსტად - 9:9. შვიდ წუთში კი „ლელომ“ მორიგი საჯარიმო უკვე კარში აღარ დაარტყა. მგეზავმა **ლაშა ხმალაძემ** ბურთი აუტში გადაიტანა. ლელოელებმა ხუთმეტრიანი დერეფანი სუფთად მოიგეს, მოლი შეკრეს, მიაწვნენ და იმ მომენტში, როცა თითქოს „არმაზმა“ მეტოქის მიძალების მოგერიება შეძლო, მოლს შერკინების კვაჭი **დავით ხიდეშელი** მოსწყდა და ჩათვლის მოედანში შეაღწია. ყიასაშვილმა გარდასახვა ვერ გაიტანა - 14:9.

ტაიმის მიწურულს კიკნაძემ კიდევ ერთხელ დასაჯა მეტოქე თამაშის წესების დარღვევის გამო და ანგარიშში სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა - 12:14. ასე დასრულდა პირველი ნახევარი.



დავით ხიდეშელის ლელო

შესვენების შემდეგ, 20 წუთის განმავლობაში „არმაზი“ უკეთ გამოიყურებოდა. ლელოელები ხშირად მარტივ ვითარებაში უშვებდნენ შეცდომებს, რის გამოც შეტევის ორგანიზებას ვერ ახერხებდნენ. ამით არმაზელებმა შესანიშნავად ისარგებლეს. კიკნაძემ 47-ე და 65-ე წუთებზე კიდევ ორი საჯარიმო გაიტანა და თავისიანები ოთხი ქულით დააწინაურა - 18:14.

თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, „ლელო“ მარცხის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. გუნდმა თამაშის ტემპს უმატა და ნელ-ნელა უპირატესობასაც დაეუფლა. 70-ე წუთზე ლელოელებმა საჯარიმო კარში არ დაარტყეს და ისევ დერეფნიდან აგორებული მოლით სცადეს მეტოქის ჩათვლის მოედანში შეღწევა. პირველი მცდელობისას „არმაზი“ დაცვაში დაჯარიმდა. „ლელომ“ ისევ აუტში გადაიტანა ბურთი. მეორე მიძალებისას კი, ბურთი დაკარგა.

ხუთ წუთში ლელოელებმა დერეფანში ბურთი უკვე არმაზელთა ლელოდან 15 მეტრში აագდეს. შეცვლაზე შესულმა **ლევან დარასელიამ** მეტოქის ხაზი გაჭრა და ათიოდ მეტრი გაიარა, იერიში **გიორგი ჭყოიძემ** განაგრძო, რომელიც ჩათვლის მოედნიდან ორ მეტრში შეაჩერეს, ამას მორკინალების რამდენიმე დარტყმა მოჰყვა და ცხრა ნომერმა **გიორგი ჭინჭარაულმა** ბურთი მარცხენა, გრძელ ფრთაზე **ლაშა ხმალაძეს** გაუტანა, ამან კიდევ უფრო მარცხნივ, ერთის გამოტოვებით შეტევაში ფულბეკი **ირაკლი ყიასაშვილი** ჩართო, რომელმაც ლელოში შეღწევა შეძლო, მაგრამ გარდასახვა ვერ გაიტანა. თუმცა ეს საკმარისი აღმოჩნდა მატჩის მოსაგებად - 19:18.

**XVII ტური**

ყოჩები-არმია 3:97, ხარები-ლოკომოტივი 16:22, ჯიქები-ბათუმი 16:10, აკადემია-აია 10:74.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 17 | 15 | 0 | 2 | +277 | 70 |
| 2. ლელო | 17 | 14 | 0 | 3 | +221 | 66 |
| 3. აია | 17 | 12 | 2 | 3 | +252 | 59 |
| 4. ჯიქები | 17 | 10 | 0 | 7 | +73 | 48 |
| 5. არმაზი | 17 | 10 | 0 | 7 | +27 | 44 |
| 6. ლოკომოტივი | 17 | 7 | 2 | 8 | +8 | 38 |
| 7. ბათუმი | 17 | 6 | 0 | 11 | -40 | 30 |
| 8. ხარები | 17 | 4 | 0 | 13 | -144 | 22 |
| 9. აკადემია | 17 | 4 | 0 | 13 | -338 | 18 |
| 10. ყოჩები | 17 | 1 | 0 | 16 | -336 | 7 |

**XVIII ტური**

აია-ყოჩები, ლოკომოტივი-აკადემია, არმაზი-ჯიქები, ხარები-ლელო, ბათუმი-არმია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*

### რაგბი. ევროპის ჩემპიონატი, U-18

# კარგად დავიწყეთ, მაგრამ...

| საქართველო-უელსი | 0:50 |
|---|---|

**საქართველო:** 15. ირაკლი სვანიძე, 14. იოსებ კიკვაძე, 13. სანდრო ილურიძე, 12. თემურ ირემაძე, 11. დავით გულითაშვილი, 10. რევაზ ჯინჭველაშვილი, 9. თეიმურაზ თუთბერიძე. 1. ბექა კაკაბაძე, 2. გიორგი თორაძე, 3. ზურაბ ხარებავა, 4. თორნიკე ზოიძე, 5. როლანდ კვაჭაძე, 6. თორნიკე ბუბუტეიშვილი, 7. დავით პაპავაძე, 8. ჟორა მღებრიშვილი.

16. დავით ფხაკაძე, 17. ბადრი ალხაზიშვილი, 18. გუგა ხანთიძე, 19. ბექა გორგაძე, 20. ვასილ ლობჟანიძე, 21. ბადრი ლიპარტელიანი, 22. დევი დევსურაშვილი, 23. დავით ლობჟანიძე, 24. ბადრი დანგაძე, 25. გიორგი ხვისტანი, 26. ლევან გიკაშვილი.

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა საფრანგეთის ალპებში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ელიტური სარაგბო ქვეყნების გუნდები ასპარეზობდნენ, მე-5 ადგილისთვის მატჩში დიდი ანგარიშით წააგო უელსის 18-წლამდელთა ნაკრებთან - 0:50.

„უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ შარშანდელი შედეგი გაიმეორეს. მათ ისევ ექვსეულს მიღმა დატოვეს ექვსი ერის გათამაშების ქვეყნის, იტალიის 18-წლამდელთა ნაკრები. ცხადია, ჩვენს გუნდს უკეთესი შედეგის მიღწევაც შეეძლო, ცოტა მეტი ყურადღებით რომ ეთამაშა მეოთხედფინალში ირლანდიის ნაკრებთან. „სამყურებმა“, რომლებსაც თითქმის ყველაფერში ვაჯობეთ, მესამე ადგილისთვის მატჩში, ასევე მშრალი ანგარიშით მოუგეს შოტლანდიის ნაკრებს - 40:0. ეს ის შოტლანდიაა, რომელმაც მეოთხედფინალში ჩვენი მძლეველი უელსი დაამარცხა.

საქართველოს ნაკრებმა ტურნირი ძალიან კარგად დაიწყო და ძალიან ცუდად დაასრულა. პირველ მატჩში ირლანდიასთან მარცხის მიუხედავად, ჩვენი გუნდის მიმართ მხოლოდ საქებარი სიტყვები ისმოდა, თუმცა იმ შეხვედრაშიც კარგად გამოჩნდა „უმცროსი ბორჯღალოსნების“ ნაკლოვანებები.

„სამყურებთან“ მარცხს იტალიის ნაკრებთან გამარჯვება მოჰყვა. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თამაშის ხარისხი პირველ მატჩში ნაჩვენებთან შედარებით უარესი იყო. გუნდს არა მარტო ფიზიკური, ფსიქოლოგიური გადაღლაც ეტყობოდა. ირლანდიელებთან მოსაგები თამაშის წაგებამ, როგორც ჩანს, მოთამაშეები ემოციურად დაცალა. „სკუადრა აძურასთან“ დაპირისპირებისას მოთამაშეები თითქოს დაღონებული გამოიყურებოდნენ.

უელსთან მატჩის რეპორტაჟი არ გვინახავს. ტურნირის ორგანიზატორის, FIRA AER-ის მიერ ორგანიზებული ტექსტური Live კი, როგორც ჩანს, მოვალეობის მოხდის მიზნით გაკეთდა, რადგან კომენტატორი ანგარიშებს არაოპერატიულად გვამცნობდა. ამიტომ რაიმეს გადაჭრით მტკიცება შეუძლებელია.

ერთადერთი, შეგვიძლია იმავე კომენტატორის დასკვნა მოვიყვანოთ მაგალითად: „უელსმა მეტოქე ფიზიკურადაც დაჯაბნა და სისწრაფეშიც“. აი ასე, როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს 18-წლამდელთა ამ ფორმაციის ნაკრები ძალიან კარგი გუნდია და შესანიშნავად თამაში შეუძლია, ზედიზედ სამჯერ უმაღლესი რანგის გუნდებთან საასპარეზოდ ჯერ კიდევ მზად არ არის.

ცუდია, როცა დიდი ანგარიშით და თანაც მშრალად აგებ, მაგრამ ეს კიდევ ერთი, საკმაოდ კარგი გაკვეთილია, რომლისგანაც სათანადო, სწორი დასკვნები უნდა გაკეთდეს. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენს გუნდს მოსამზადებელ პერიოდში რამე დააკლდა, მაგრამ ელიტასთან რომ ბოლომდე ბრძოლა შევძლოთ, კიდევ ბევრი რამ გვაქვს სასწავლი და გამოსასწორებელი.

კარგია, რომ იტალიის ნაკრები კიდევ ერთხელ დავამარცხეთ და სარაგბო სამყაროს ვაჩვენეთ, რომ ექვსი ერის ამ ქვეყანას, თუნდაც ამ ასაკში, არა თუ ჩამოვრჩებით, არამედ ვჯაბნით კიდეც. ეს ევროპის ჩემპიონატი უკვე ისტორიის საკუთრებაა. ახლა წინ უნდა გავიხედოთ. ამ გუნდს ჯერ კიდევ ყველაფერი წინ აქვს. მოსაგებია მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის შესარჩევი ტურნირი, მერე თავად ეს შეჯიბრება, რომელიც მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის საგზურს იძლევა.

საქართველოს 18-წლამდელთა ამ ნაკრებმა აუცილებლად უნდა შეძლოს და მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე პლანეტის უძლიერეს გუნდებთან იასპარეზოს. ამის გვჯერა და დიდი იმედი გვაქვს. საამისოდ კი ბევრი, მუყაითი და მუხლჩაუხრელი შრომაა საჭირო.

**ევროპის ჩემპიონატი**

**VII ადგილისთის**

 იტალია-პორტუგალია 13:7

**V ადგილისთვის**

საქართველო-უელსი 0:50

**III ადგილისთვის**

ირლანდია-შოტლანდია 40:0

**ფინალი**

ინგლისი-საფრანგეთი 27:22

**საბოლოო მდგომარეობა**

1. ინგლისი, 2. საფრანგეთი, 3. ირლანდია, 4. შოტლანდია, 5. უელსი, 6. საქართველო, 7. იტალია, 8. პორტუგალია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კობი ჩემბერლენის ზემოთ

როგორც მოსალოდნელი იყო, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ლიდერი **კობი ბრაიანტი** შაბათს, „საკრამენტოსთან“ მატჩის შემდეგ, NBA-ის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მეოთხე პოზიციაზე გადავიდა. ბრაიანტმა „მეფეების“ წინააღმდეგ 19 ქულა დააგროვა და ახლა მის აქტივში 31434 ქულაა.

„ლეიკერსის“ ლიდერმა გაუსწრო მეხუთე ადგილზე დაქვეითებულ **უილტ ჩემბერლენს** (31419) და ახლა მის წინ სამი კალათბურთელი რჩება: **ქარიმ აბდულ-ჯაბარი** (38387), **კარლ მელოუნი** (36298) და **მაიკლ ჯორდანი** (32292).

ამასობაში „ლეიკერსის“ ბანაკიდან ერთი უსიამოვნო ცნობაც გავრცელდა. გუნდს გამოაკლდა ძირითადი გამთამაშებელი **სტივ ნეში**. კანადელმა ჯერ კიდევ პარასკევს, ფეხის ტრავმის გამო ვერ შეძლო „მილუოკისთან“ მატჩის დასრულება, გუშინ კი „საკრამენტოს“ წინააღმდეგ მეორე წუთიდან მიატოვა შეხვედრა და მოედანზე აღარ დაბრუნებულა.

■ ■ ■

კარიერის დასრულების გადაწყვეტილება მიიღო სახელოვანმა ვეტერანმა, 1995 წლის დრაფტის მესამე ნომერმა **ჯერი სტეკჰაუსმა.**


კობი ბრაიანტი

ბოლო ინტერვიუში ფორვარდმა განაცხადა, რომ არ აპირებს მომდევნო სეზონში მოედანზე დაბრუნებას. როგორც ჟურნალისტები წერენ, სტეკჰაუსი ზაფხულში გამოაცხადებს ოფიციალურად კარიერის დასრულების შესახებ.

18 წლის განმავლობაში სტეკჰაუსმა NBA-ის რვა კლუბში ითამაშა: „ფილადელფიაში“, „დეტროიტში“, „ვაშინგტონში“, „დალასში“, „მილუოკიში“, „მაიამიში“, „ატლანტასა“ და „ბრუკლინში“. წელს „ბრუკლინის“ რიგებში მისი საშუალო შედეგიანობა 4.5 ქულა იყო.

■ ■ ■

საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო „დენვერ ნაგეტსის“ ერთ-ერთმა ლიდერმა **ანდრე იგუოდალამ.** ის არ აპირებს მოქმედ კონტრაქტში არსებული პუნქტის ამოქმედებას, რომლის მიხედვითაც ფორვარდს „ნაგეტსში“ კიდევ ერთი წლით დარჩენის უფლება აქვს და ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტების ბაზარზე გავა.

*„სიმართლეს თვალებში უნდა შეხედო: ისეთი სეზონის შემდეგ, როგორიც წელს „დენვერს“ აქვს, უმჯობესია შანსი გამოიყენო და თავისუფალი აგენტების ბაზარზე გახვიდე. მიზეზი მარტივია: „დენვერის“ წარმატებებში ჩემი წვლილიცაა და ახლა ასოციაციის გუნდებმა იციან, რას წარმოვადგენ სინამდვილეში. შესაბამისად, უფრო სარფიანი კონტრაქტის მიღების საშუალება მექნება. თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ „დენვერმა“ კარგი პირობები შემომთავაზოს და მე აქ დავრჩე სათამაშოდ“,* - განაცხადა იგუოდალამ.

მიმდინარე სეზონში ანდრემ 72 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 12.7 ქულა, 5.1 მოხსნა და ამდენიმე შედეგიანი გადაცემა დააგროვა.

**29 მარტი**

| | |
|---|---|
| ორლანდო-ვაშინგტონი | 97:92 |
| ბოსტონი-ატლანტა | 118:107 |
| ნიუ იორკი-შარლოტი | 111:102 |
| დეტროიტი-ტორონტო | 82:99 |
| კლივლენდი-ფილადელფია | 87:97 |
| მემფისი-ჰიუსტონი | 103:94 |
| ნიუ ორლეანი-მაიამი | 89:108 |
| მინესოტა-ოკლაჰომა | 101:93 |
| სან ანტონიო-კლიპერსი | 104:102 |
| დენვერი-ბრუკლინი | 109:87 |
| პორტლენდი-იუტა | 95:105 |

**30 მარტი**

| | |
|---|---|
| დალასი-ჩიკაგო | 100:98 |
| ატლანტა-ორლანდო | 97:88 |
| ფილადელფია-შარლოტი | 100:92 |
| ჰიუსტონი-კლიპერსი | 98:81 |
| მინესოტა-მემფისი | 86:99 |
| მილუოკი-ოკლაჰომა | 99:109 |
| იუტა-ბრუკლინი | 116:107 |
| ფინიქსი-ინდიანა | 104:112 |
| საკრამენტო-ლეიკერსი | 98:103 |
| გ. სტეიტი-პორტლენდი | 125:98 |

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. z-მაიამი | 72 | 57 | 15 | 79.2 |
| 2. x-ინდიანა* | 74 | 47 | 27 | 63.5 |
| 3. x-ნიუ იორკი* | 71 | 45 | 26 | 63.4 |
| 4. x-ბრუკლინი | 73 | 42 | 31 | 57.5 |
| 5. x-ატლანტა | 74 | 41 | 33 | 55.4 |
| 6. x-ჩიკაგო | 71 | 39 | 32 | 54.9 |
| 7. ბოსტონი | 72 | 38 | 34 | 52.8 |
| 8. მილუოკი | 72 | 35 | 37 | 48.6 |
| 9. ფილადელფია | 73 | 30 | 43 | 41.1 |
| 10. ტორონტო | 72 | 27 | 45 | 37.5 |
| 11. ვაშინგტონი | 72 | 26 | 46 | 36.1 |
| 12. დეტროიტი | 73 | 24 | 49 | 32.9 |
| 13. კლივლენდი | 71 | 22 | 49 | 31.0 |
| 14. ორლანდო | 74 | 19 | 55 | 25.7 |
| 15. შარლოტი | 73 | 17 | 56 | 23.3 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. x-სან ანტონიო* | 72 | 55 | 17 | 76.4 |
| 2. x-ოკლაჰომა* | 74 | 54 | 20 | 73.0 |
| 3. x-დენვერი | 74 | 50 | 24 | 67.6 |
| 4. x-კლიპერსი* | 74 | 49 | 25 | 66.2 |
| 5. x-მემფისი | 73 | 49 | 24 | 67.1 |
| 6. გ. სტეიტი | 74 | 42 | 32 | 56.8 |
| 7. ჰიუსტონი | 73 | 40 | 33 | 54.8 |
| 8. იუტა | 74 | 38 | 36 | 51.4 |
| 9. ლეიკერსი | 74 | 38 | 36 | 51.4 |
| 10. დალასი | 73 | 36 | 37 | 49.3 |
| 11. პორტლენდი | 73 | 33 | 40 | 45.2 |
| 12. საკრამენტო | 74 | 27 | 47 | 36.5 |
| 13. მინესოტა | 72 | 26 | 46 | 36.1 |
| 14. ნიუ ორლეანი | 73 | 25 | 48 | 34.2 |
| 15. ფინიქსი | 74 | 23 | 51 | 31.1 |

*z - კონფერენციის ჩემპიონი; x - გავიდა პლეი ოფში, * - დივიზიონის ლიდერი*

# ისრაელი კალათბურთის გარეშე

ისრაელში საკალათბურთო ჩემპიონატი რეალურად ჩაშლის პირას არის მისული. ადგილობრივი კალათბურთელების გაფიცვის გამო, უკვე გაუქმდა რეგულარული სეზონის სამი ტური.

გაფიცვის მონაწილეები ისრაელელი მოთამაშეების არიან. მათ დავა აქვს პროფესიული საკალათბურთო ლიგის დირექტორატთან. კალათბურთელები ითხოვენ, რომ ისრაელის ჩემპიონატის მატჩებში, ერთი გუნდიდან მოედანზე ერთდროულად მინიმუმ სამი ადგილობრივი მოთამაშე იმყოფებოდეს, ლიგის დირექტორატი კი ირწმუნება, რომ ეს რიცხვი ორს არ უნდა აღემატებოდეს. კონფლიქტის კიდევ ერთი მიზეზია გუნდების განაცხადებში ლეგიონერთა რაოდენობის შემცირება და შესაბამისი ლიმიტის დაწესება.

*„სწრაფი ნაბიჯებით ვუახლოვდებით კატასტროფას“,* - ამბობს თელ-ავივის „მაკაბის“ მთავარი მწვრთნელი **დევიდ ბლატი.** ამ კლუბის ხელმძღვანელობამ აუკრძალა თავის მოთამაშეებს გაფიცვაში მონაწილეობა. „მაკაბიში“ სერიოზულად არიან შეშფოთებულნი იმის გამო, რომ ჩემპიონატის მატჩების გაუქმება ცუდად აისახება გუნდის სათამაშო ფორმაზე ევროლიგის პლეი ოფის მატჩების წინ.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# კროსბის კბილები ჩამოუღეს

ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარულ ჩემპიონატს ახალი ლიდერი ჰყავს. „პიტსბურგმა“ „მშრალი“ ანგარიშით მოუგო „აილენდერსს“, ზედიზედ მე-15 გამარჯვება გაიფორმა და გაუსწრო ქულათა რაოდენობით დასავლეთის პირველ გუნდს - „ჩიკაგოს“.

„პიტსბურგისა“ და „აილენდერსის“ მატჩი საყოველთაო ინტერესს იწვევდა, რადგან „პინგვინების“ რიგებში დებიუტი ჰქონდა ვეტერან ფორვარდ **ჯერომ იგინლას**, რომელიც რამდენიმე დღის წინ „კალგარიდან“ „პიტსბურგში“ გადავიდა.

სახელოვანმა ფორვარდმა **ევგენი მალკინთან** და **ჯეიმს ნილთან** შეადგინა შემტევი სამეული. მატჩის დაწყებიდან ცოტა ხნის შემდეგ ეს ტრიო „პინგვინების“ მთავარ დამრტყმელ ძალად იქცა, რადგან შეხვედრის მესამე წუთიდან, „პიტსბურგს“ გამოაკლდა თავისი ლიდერი, რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **სიდნი კროსბი.** მას **ბრუქს ორპიკის** დარტყმული შაიბა სახეში მოხვდა და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. მოგვიანებით გაირკვა, რომ კროსბიმ რამდენიმე კბილი დაკარგა და მას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს.

ამ ტრავმამ გარკვეული დაღი დაასვა მასპინძლების თამაშს. ორმა პერიოდმა ისე გაიარა, რომ ინიციატივას „კუნძულელები“ ფლობდნენ და ბევრჯერ შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. მეორე პერიოდში იყო მომენტი, როცა „პინგვინები“ ხუთი წუთი რიცხობრივ უმცირესობაში იყვნენ, მაგრამ ამ დროს შესანიშნავად ითამაშა მასპინძელთა მეკარემ **ტომაშ ვოკოუნმა,** რომელიც ბოლო მატჩებში ტრავმირებულ **მარკ-ანდრე ფლერის** ცვლიდა. ჩეხმა ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ ამოცანას - „მონრეალთან“ და „ვინიპეგთან“ მან ორი „მშრალი“ მატჩი ჩაატარა, კვირას კი ზედიზედ მესამე „შათაუტი“ შეასრულა.


კროსბი ტრავმის შემდეგ

თავიანთი მეკარის დამაჯერებელი თამაში მის პარტნიორებსაც გადაედოთ და მესამე პერიოდში „პიტსბურგმა“ გატეხა „აილენდერსის“ წინააღმდეგობა. ჯერ **მეტ კუკმა** ითამაშა კარგად დამატებაზე, ხუთი წუთის შემდეგ კი მალკინის პასით შეხვედრას წერტილი **ნილმა** დაუსვა - 2:0.

■ ■ ■

გასულ უქმეებზე ჩატარებულ მატჩებში ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. „დალასის“ ჩეხმა ვეტერანმა **იარომირ იაგრმა** საგოლე გადაცემა მიითვალა „მინესოტასთან“ მატჩში. ეს ლეგენდარული ჰოკეისტის რიგით მე-1000 შედეგიანი პასი იყო კარიერაში.

იაგრი მე-12 ჰოკეისტია ლიგის ისტორიაში, ვინც ასეთ შედეგს მიაღწია. დღეისთვის, იარომირს 1378 მატჩში 1679 ქულა (679+1000) აქვს დაგროვებული.

**30 მარტი**

| | |
|---|---|
| ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი | 5:4 (ბ) |
| ჩიკაგო-ანაჰაიმი | 1:2 |
| დალასი-მინესოტა | 5:3 |
| კალგარი-კოლამბუსი | 4:6 |

**31 მარტი**

| | |
|---|---|
| ფილადელფია-ბოსტონი | 3:1 |
| პიტსბურგი-აილენდერსი | 2:0 |
| ვინიპეგი-კაროლინა | 1:3 |
| კოლორადო-ნეშვილი | 1:0 (ო) |
| ბაფალო-ვაშინგტონი | 3:4 (ბ) |
| მონრეალი-რეინჯერსი | 3:0 |
| ოტავა-ტორონტო | 0:4 |
| ფლორიდა-ნიუ ჯერსი | 3:2 (ო) |
| მინესოტა-ლოს ანჯელესი | 4:3 (ბ) |
| ედმონტონი-ვანკუვერი | 4:0 |
| სან ხოსე-ფინიქსი | 3:2 (ბ) |

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ო-წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პიტსბურგი* | 36 | 28 | 8 | 0 | 56 |
| 2. მონრეალი* | 34 | 22 | 7 | 5 | 49 |
| 3. ვინიპეგი* | 36 | 18 | 16 | 2 | 38 |
| 4. ბოსტონი | 33 | 21 | 8 | 4 | 46 |
| 5. ოტავა | 35 | 19 | 10 | 6 | 44 |
| 6. ტორონტო | 36 | 20 | 12 | 4 | 44 |
| 7. ნიუ ჯერსი | 35 | 15 | 11 | 9 | 39 |
| 8. რეინჯერსი | 34 | 16 | 15 | 3 | 35 |
| 9. აილენდერსი | 35 | 16 | 16 | 3 | 35 |
| 10. კაროლინა | 33 | 16 | 15 | 2 | 34 |
| 11. ვაშინგტონი | 34 | 16 | 17 | 1 | 33 |
| 12. ბაფალო | 35 | 13 | 16 | 6 | 32 |
| 13. ტამპა ბეი | 34 | 15 | 18 | 1 | 31 |
| 14. ფილადელფია | 34 | 14 | 17 | 3 | 31 |
| 15. ფლორიდა | 36 | 11 | 19 | 6 | 28 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ო-წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიკაგო* | 33 | 25 | 5 | 3 | 53 |
| 2. ანაჰაიმი* | 34 | 23 | 7 | 4 | 50 |
| 3. მინესოტა | 34 | 21 | 11 | 2 | 44 |
| 4. ვანკუვერი* | 35 | 19 | 10 | 6 | 44 |
| 5. ლოს ანჯელესი | 34 | 19 | 12 | 3 | 41 |
| 6. სან ხოსე | 34 | 17 | 11 | 6 | 40 |
| 7. დეტროიტი | 34 | 17 | 12 | 5 | 39 |
| 8. სტ. ლუისი | 33 | 17 | 14 | 2 | 36 |
| 9. დალასი | 33 | 16 | 14 | 3 | 35 |
| 10. ედმონტონი | 34 | 14 | 13 | 7 | 35 |
| 11. ნეშვილი | 35 | 14 | 14 | 7 | 35 |
| 12. კოლამბუსი | 35 | 14 | 14 | 7 | 35 |
| 13. ფინიქსი | 35 | 14 | 15 | 6 | 34 |
| 14. კალგარი | 33 | 13 | 16 | 4 | 30 |
| 15. კოლორადო | 34 | 12 | 18 | 4 | 28 |

** - დივიზიონის ლიდერი*

ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბრემერჰავენი-ტრირი | 105:73 |
| ბამბერგი-გისენი | 105:54 |
| ოლდენბურგი-ლუდვიგსბურგი | 88:79 |
| ულმი-ალბა | 92:73 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| პერისტერი-კავალა | 81:72 |
| პაოკ-ილისიაკოსი | 73:69 |
| პანიონიოსი-პანათინაიკოსი | 63:56 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ბილბაო-ფუენლაბრადა | 82:90 |
| ხუვენტუდი-სარაგოსა | 59:71 |
| უნიკახა-კახა ლაბორალი | 93:72 |
| რეალი-კახასოლი | 84:74 |
| ესტუდიანტესი-მანრესა | 90:75 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ეფესი-კოლეილილერი | 85:67 |
| ანტალია-ბეშიქთაში | 83:90 |

**ჰოკეი**

**NHL**

| | |
|---|---|
| დეტროიტი-ჩიკაგო | 1:7 |

**კჰლ**

| | |
|---|---|
| აკ ბარსი-ტრაქტორი | 1:2 (ო) |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| კლაგენფიურტი-ვენა | 2:1 (ო) |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| კოშიცე-ნიტრა | 6:3 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-ზლინი | 1:2 (ბ) |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლულეო-ფერიესტადი | 5:2 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მაიამი**

| | |
|---|---|
| მარეი-ფერერი | 2:6, 6:4, 7:6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი. მაიამი

# სერენას მეექვსე, მარიას ხუთიდან ნული


სერენა უილიამსი

**მარია შარაპოვასა** და **სერენა უილიამსის** ურთიერთდაპირისპირების ისტორია 2004 წლის უიმბლდონიდან იღებს სათავეს, როცა რუსმა სენსაციურად დაამარცხა ფინალში ამერიკელი. იმავე წელს, მარიამ წლის შემაჯამებელ ტურნირშიც მოუგო სერენას, მაგრამ იქიდან მოყოლებული დაიწყო უმცროსი ამერიკელის დომინირების პერიოდი. ის ამარცხებდა შარაპოვას ნებისმიერი ტურნირის ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ საფარზე. ამერიკელს დაუგროვდა ზედიზედ ათი მოგება, აქედან რვა - ორ სეტში.

მაგრამ მაიამის ტურნირზე რუსის მიერ ნაჩვენები დამაჯერებელი თამაშის გათვალისწინებით, ამერიკელს ფინალში იოლი გასეირნება არ ელოდა. შარაპოვამ მთავარი შეძლო - არ ჩამორჩებოდა მეტოქეს აქტივობაში. რუსმა პირველმა მოახერხა ბრეიკით დაწინაურება, მაგრამ საკუთარი შეცდომების შემდეგ დაკარგა ეს უპირატესობა. პარტიის ბოლოს თანაბარი თამაში იყო. შარაპოვამ დიდი გაჭირვებით შეინარჩუნა საკუთარი მოწოდება, შემდეგ გეიმში მეორე ცდაზე აიღო ბრეიკი, რასაც „ნულზე" მოგებული თავისი გეიმი მოჰყვა და შარაპოვამ 2008 წლის შემდეგ პირველად მოუგო სეტი სერენას.

რა თქმა უნდა, ასეთ დაძაბულ მატჩში ეს დიდი უპირატესობა იყო, მაგრამ უილიამსი ნაადრევად დანებებას არ აპირებდა. სხვათა შორის, სერენას მოქმედ ჩოგბურთელებს შორის გამარჯვებათა საუკეთესო პროცენტი აქვს პირველი სეტის წაგების შემდეგ (45.5%). სეტის დასაწყისში მან ბრეიკი გააკეთა, თუმცა უკვე მომდევნო გეიმში დაეხმარა მეტოქეს ანგარიშის გათანაბრებაში. შემდეგი ორი გეიმი რუსმა ბრწყინვალედ ჩაატარა. მას შესანიშნავი სტილის შეტევები გამოსდიოდა და ამით მარიამ ბრეიკით წინ გასვლის საშუალება მიიღო - 3:2. იმ მომენტში ისე ჩანდა, რომ მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო.

მაგრამ ამის შემდეგ თამაშის სურათი მკვეთრად შეიცვალა. იმის თქმა არ შეიძლება, რომ მარიას თამაში მთლიანად მოიშალა. მას ჰქონდა წარმატების განვრცობის შანსი. მაგალითად, ერთ-ერთ გეიმში სამმაგი გეიმბოლიდან წააგო, შემდეგ ორი ორმაგი შეცდომაც დაუშვა. სწორედ ამის შემდეგ მიიღო სერენამ დაფარული სეტბოლი, რაც კარგად გამოიყენა და შემდეგ სეტზე ჩააწოდა.

მესამე სეტის წინ, მარიამ კორტზე თავისი მწვრთნელი - **ტომას ჰოგსტედი** გამოიძახა. ეს უკანასკნელი არწმუნებდა თავის შეგირდს, რომ საშიში არაფერი მომხდარა და ყველაფერი ნულიდან იწყებოდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ ინიციატივას გამოცდილი უილიამსი ფლობდა. შარაპოვა არ ნებდებოდა, მაგრამ ამერიკელმა ფანტასტიკური თამაში აჩვენა მნიშვნელოვან ბურთებზე. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა შვიდიდან შვიდი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა! უილიამსი ერთხელაც არ მოდუნდა, ზედიზედ 10 გეიმი მოიგო და მაიამიში მორიგი ტრიუმფი გაიფორმა - 4:6, 6:3, 6:0.

სერენამ მეექვსედ მოიგო მაიამის ტურნირი და ამ მხრივ, აბსოლუტური რეკორდსმენი გახდა - გაუსწრო ხუთგზის ჩემპიონ **შტეფი გრაფს**, მარია შარაპოვამ კი მეხუთედ ითამაშა ამ ტურნირის გადამწყვეტ მატჩში და მეხუთედ დამარცხდა.

**ფინალი**

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-მარია შარაპოვა (რუს, 3) 4:6, 6:3, 6:0.

**უილიამსის ტიტულები (48)**

**2013** - მაიამი, ბრისბენი
**2012** - შემაჯამებელი, აშშ-ის ღია, ოლიმპიადა, სტენფორდი, უიმბლდონი, მადრიდი, ჩარლტონსნი
**2011** - ტორონტო, სტენფორდი
**2010** - უიმბლდონი, ავსტრალიის ღია
**2009** - შემაჯამებელი, უიმბლდონი, ავსტრალიის ღია
**2008** - აშშ-ის ღია, ჩარლტონსნი, მაიამი, ბანგალორი
**2007** - ავსტრალიის ღია, მაიამი
**2005** - ავსტრალიის ღია
**2004** - მაიამი, პეკინი
**2003** - ავსტრალიის ღია, პარიზი, მაიამი, უიმბლდონი
**2002** - სკოტსდეილი, მაიამი, რომი, როლან გაროსი, უიმბლდონი, აშშ-ის ღია, ტოკიო, ლაიპციგი
**2001** - ინდიან უელსი, ტორონტო, WTA-ის ჩემპიონატი
**2000** - ჰანოვერი, ლოს ანჯელესი, ტოკიო
**1999** - პარიზი, ინდიან უელსი, ლოს ანჯელესი, აშშ-ის ღია, დიდი სლემის თასი

# ბალახზე მეტს ითამაშებენ



პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ ბალახის სეზონის გახანგრძლივების გადაწყვეტილება მიიღო. შესაბამისი ცვლილებები 2015 წლიდან შევა ძალაში.

წლევანდელი კალენდრის მიხედვით, ბალახის სეზონი მოიცავს ლონდონის, ჰალეს, ისტბურნისა და ჰერტოგენბოშის ტურნირებს, რის შემდეგაც იმართება „დიდი სლემის" რიგით მესამე ჩემპიონატი - უიმბლდონი. ბოლოს კი ბალახის კორტების სპეციალისტები ამერიკის ქალაქ ნიუპორტში იკრიბებიან.

ATP-ის ხელმძღვანელებს სურდათ, ნიუპორტის ტურნირიც უიმბლდონამდე გადაეტანათ, რითაც როლან გაროსსა და უიმბლდონს შორის პერიოდში ბალახის სეზონი კიდევ ერთი კვირით გაიზრდებოდა, მაგრამ ამერიკული ტურნირის ორგანიზატორებმა ამაზე უარი განაცხადეს.

ამიტომაც გადაწყდა, რომ საფარსა და თარიღს შეიცვლის შტუტგარტის ტურნირი - Mercedes Cup, რომელიც აქამდე ივლისის შუა რიცხვებში იმართებოდა გრუნტის კორტებზე.

● ფორმულა 1


ფეტელი ისევ ფავორიტია

# უებერიც ასე მოიქცეოდა

მალაიზიის გრანპრიდან ერთი თვის თავზე, „რედ ბულის" ბოსმა **კრისტიან ჰორნერმა სებასტიან ფეტელის** მხარე დაიჭირა იმ კონფლიქტში, რომელიც ავსტრიული საჯინიბოს პილოტებს შორის წარმოიშვა. შეგახსენებთ, რომ გერმანელმა პილოტმა ყური არ უგდო გუნდის ბრძანებას და ბოლო წრეებზე გაუსწრო თანაგუნდელ **მარკ უებერს**, რითაც პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

*„ფეტელის ადგილას ალონსო ან ჰემილტონი რომ ყოფილიყვნენ, ისინიც ასე მოიქცეოდნენ, - ამბობს ჰორნერი. - ვფიქრობ, იმავეს გააკეთებდა მარკ უებერიც. მოდით, საკუთარ თავს ნუ მოვატყუებთ - ასეთი საქციელი არა მხოლოდ ფეტელს, არამედ ნებისმიერ პილოტს აქვს სისხლში გამჯდარი".*

■ ■ ■

ახალ სეზონში გამართული ორი გრანპრის შემდეგ, ბუკმეიკერებმა გარკვეული კორექტივები შეიტანეს ჩემპიონობისთვის ბრძოლის კოეფიციენტებში.

გათვალისწინებულია „ფერარისა" და „მერსედესის" პროგრესი, **კიმი რაიკონენის** გამარჯვება ავსტრალიის გრანპრიზე და „მაკლარენის" წარუმატებელი დასაწყისი. თუმცა, ამ კორექტივების მიუხედავად, ფავორიტი უცვლელი დარჩა - საბესტიან ფეტელი, რომელიც გენერალური კლასიფიკაციის ლიდერია.

| | |
|---|---|
| სებასტიან ფეტელი | 1.91 |
| ფერნანდო ალონსო | 4.33 |
| კიმი რაიკონენი | 7.00 |
| ლუის ჰემილტონი | 13.00 |
| მარკ უებერი | 21.00 |
| ჯენსონ ბატონი | 29.00 |
| ფელიპე მასა | 41.00 |
| ნიკო როსბერგი | 51.00 |
| რომენ გროსჟანი | 101.00 |
| სერხიო პერესი | 101.00 |
| ვალტერი ბოტასი | 1001.0 |
| პასტორ მალდონადო | 1001.0 |
| პოლ დი რესტა | 1001.0 |
| ადრიან სუტილი | 1001.0 |
| ნიკო ჰიულკენბერგი | 1001.0 |
| ესტებან გუტიერესი | 1501.0 |
| ჟან-ერიკ ვერნი | 2501.0 |
| დანიელ რიკარდო | 2501.0 |

● კრივი

# რევანში ლას ვეგასში

გასულ უქმეებზე გამართული ბრძოლებიდან ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა შეხვედრა ლას ვეგასში, სადაც 63.5-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBO-ის დროებითი ტიტული თამაშდებოდა 26 წლის **მაიკ ალვარადოსა** (34-1, 23KO) და 32 წლის **ბრენდონ რიოსს** (31-1-1, 23 KO) შორის.

ეს მოკრივეები მეორედ ხვდებოდნენ ერთმანეთს და არ გაუცრუეს იმედები მაყურებლებს - მათ თავიდანვე გაცვალეს იერიშები, თუმცა ალვარადო უფრო მეტად ფრთხილობდა, ვიდრე პირველ ბრძოლაში, რომელიც მან მეშვიდე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით წააგო. მაიკი ბევრს მუშაობდა ფეხებით და დისტანციიდან შეტევას ცდილობდა. მიუხედავად ამისა, ბრძოლის დიდი ნაწილი მოკრივეები დარტყმებს საშუალო დისტანციიდან ცვლიდნენ და ორივეს ჰქონდა წარმატებული მომენტები თუ ჩავარდნები.

ბრძოლის მეორე ნახევარში მოკრივეთა მოქმედებას დაღლილობამ დაატყო კვალი, თუმცა ამით დარტყმების რაოდენობა და მონდომება არ გამქრალა. 12-რაუნდიანი ბრძოლის შემდეგ, მსაჯებმა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით გამარჯვება ალვარადოს მიანიჭეს - 115:113, 115:113, 114:113.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის ოქტომბერში ამ მოკრივეთა პირველი შეხვედრა „წლის ბრძოლის" სტატუსზე აცხადებდა პრეტენზიას.

რიოსმა ამ ბრძოლისთვის 1 250 000 დოლარი მიიღო, ალვარადომ კი, მოგების მიუხედავად, ორჯერ ნაკლები - 625 ათასი.


შეტევაში მაიკ ალვარადო

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* ***ნიკოლოზ ნეფარიძე***
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
***პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge*** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 01:50
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**